

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტი

მ. ჩხარტიშვილი

ქართული ჰაბიტობრაფიის  
წყაროთმცოდნეობითი შესწავლის  
პრობლემები

„ცხოვრებად წიღისა ნინოძისი“



ბაზოგვეფლოგა „მეცნიერება“

თბილისი

1987

წიგნი ეძღვნება შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემის — ქართული ორიგინალური პაგიოგრაფიის როგორც ისტორიული წყაროს — კვლევას. კონკრეტულად აქ განხილულია „ნინოს ცხოვრების“ დათარიღებასთან, ატრიბუციისა და საზოგადოებრივი ფუნქციის გამორკვევისთან დაკავშირებული საკითხები.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტების — ისტორიკოსებისა და ფილოლოგებისათვის, — აგრეთვე ძველი ქართული მწერლობის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები ისტ. მეცნ. დოქტ. რ. კიკნაძე  
ისტ. მეცნ. დოქტ. ზ. ალექსიძე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდ. ნ. შოშიაშვილი  
ისტ. მეცნ. კანდ. ჯ. ოდიშელი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

I. პაგიოგრაფიული ნაწარმოებები წმინდანად მიჩნეულ პირთა ღვაწლის ამსახველი თხზულებებია. ისინი ფართოდაა გავრცელებული მთელ შუასაუკუნეობრივ ლიტერატურაში როგორც ქრისტიანულში, ასევე მუსლიმანურში. ამ მხრივ გამონაკლისს არც ძველი ქართული მწერლობა წარმოადგენს, რომელშიც ამ უნარის ძეგლების წილი საკმაოდ დიდია. /

ქართული პაგიოგრაფია წარმოაჩენს ექსტრაორდინარულ (უმტკიცესი ნებისყოფისა და საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე) პიროვნებებს ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა პერიოდიდან. სხვა პაგიოგრაფთა მსგავსად ქართველი ავტორებიც გვარწმუნებენ, რომ აღწერენ ისტორიულ („უტყუველ“) ამბებს. სრულიად ბუნებრივია, რომ თხრობითი წყაროების შედარებითი ნაკლებობის პირობებში აღნიშნული სახის ლიტერატურამ ადრევე მიიქცია საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტთა ყურადღება, და მისც, როგორც ისტორიული წყაროს შეფასება, საქართველოში წყაროთმცოდნეობითი კვლევის ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემად იქცა. სწორედ ამის შედეგია, რომ ქართული პაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით შესწავლას დიდი ტრადიცია აქვს. ქართველოლოგიური ლიტერატურა მდიდარია ამ სფეროში მიღებული დასკვნებით, რომელთა დიდი ნაწილი გამოყენებულა ისტორიული კვლევის პრაქტიკაში. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით ძიებათა გავრძელება საჭიროა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ისტორიული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპის შესაბამისად ერთი პრინციპით და სისტემურად კვლავ უნდა იქნეს გააზრებული უკვე მიღებული შედეგები. მეორეც, უნდა შესაძლებელი გახდეს ქართული პაგიოგრაფიის როგორც გარკვეული წყაროთმცოდნეობითი ფენომენის ზოგადი დახასიათება.

წინამდებარე მონოგრაფია ქართული წყაროთმცოდნეობის ამ დიდ პერსპექტიულ მიზნებს უკავშირდება. კონკრეტულად კი მასში ერთ-ერთი პაგიოგრაფიული თხზულების „ნინოს ცხოვრების“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის შედეგებია წარმოდგენილი. დასმულ

პრობლემაზე მუშაობის დასაწყისში ამ ძეგლზე ჩვენი არჩევანი შემთხვევით არ შეჩერებულა: აღწერილი ფაქტების ქრონოლოგიის მიხედვით („ნინოს ცხოვრება“ პირველია ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიაში — IV ს-ის I ნახევრის ამბებს ეხება; ამ ძეგლის მნიშვნელობაც განსაკუთრებულია იმის გამო, რომ იგი რომელიმე „რიგითი“ წმინდანის კი არა, არამედ განმანათლებლის ბიოგრაფიაა; და ბოლოს, შემორჩენილ რედაქციათა შედარებითი მრავალრიცხოვნება აღნიშნული თხზულების მიმართ საკმაოდ რთული წყარომცოდნეობითი პრობლემების დასმისა და გადაჭრის საშუალებას იძლევა, რის გამოც მასზე ჩატარებული მუშაობის გათვალისწინებას ქართული ჰაგიოგრაფიის სხვა ნიმუშების შესწავლისათვის გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

„ნინოს ცხოვრების“ როგორც ისტორიული წყაროს შეფასება სინამდვილისადმი მისი მიმართების გარკვევას მოითხოვს (ე. ი. უნდა დადგინდეს თუ რამდენად შეესაბამება ან შეიძლება შეესაბამებოდეს ისტორიულ რეალობას ძეგლში დაცული ცნობები). ამ რთული ამოცანის გადაჭრა აღნიშნული თხზულების წარმოშობისა და განვითარების მთელი ისტორიის გათვალისწინებით არის შესაძლებელი. მიუხედავად „ნინოს ცხოვრების“ შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომებისა, ამ ისტორიის უმთავრესი მომენტები დღემდე ბუნდოვანია) ქვემოთ სწორედ აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივი შევსების ცდაა მოცემული.

II. ძველ ქართულ მწერლობაში რამდენიმეა ისეთი ძეგლი, რომლებსაც მკვლევრები „ნინოს ცხოვრებას“ უწოდებენ. ეს ძეგლებია: ა) „ცხოვრებად წმიდისა ნინოისი“ — „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეორე ნაწილი<sup>1</sup>. ამ ძეგლს სპეციალურ ლიტერატურაში „ფსევდო-ეპიგრაფიკული“ ან „შატბერდულ-ქელიშური“ „ნინოს ცხოვრების“ სახელით მოიხსენიებენ; ბ) „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“ („ნინოს მიერ ქართლის ნოქცევა“)<sup>2</sup> — „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართული ძეგლია. კონკრეტულად იგი ლეონტი მროველის თხზულების „მეფეთა ცხოვრების“ ნაწილს წარმოადგენს. ტერმინებით „მატიანისეული“, „მროველისეული“ ვხვდებით მის მოხსენიებას ლიტერატურაში; გ) „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ და ლუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოისი, რომელმან ქადაგა ქრისტე. ღმერთი ჩუენი, ქუეყანასა ჩრდილომსასა და განანათლა ნათესაჲი ქართველთაჲ“<sup>3</sup>. ესაა მეტაფრასული თხზულება, რომელსაც ოგი მკვლევარი ანონიმის შედგენილად მიიჩნევს<sup>4</sup>, ზოგი არსენ ბერს<sup>5</sup> ან არსენ იყალთოელს<sup>6</sup> მიაწერს. უწოდებენ „მეტაფრასულ“ ან „არსენისეულ“ „ნინოს ცხოვრებას“; დ) „ცხოვრებაჲ და მოქალაქო-

ბაა ღორისა და მოციქულთა სწორისა ნინოასი“<sup>7</sup>. ამ ძეგლის სახელ-  
დებანი მკვლევართა მიერ ასეთია: „პერიფრაზული“ ან უცნობი ავ-  
ტორის „ნინოს ცხოვრება“.

აღნიშნული ძეგლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: სხვადას-  
ხვაგვარად არის, როგორც ვხედავთ, ფორმულირებული მათი სათაუ-  
რები, სხვადასხვაგვარია მათი გარემოცვა (ზოგი სხვა ნაწარმოებშია  
ჩართული, სხვა ნაწარმოების ნაწილს შეადგენს, ზოგი კი ცალკეა),  
ფორმა (ზოგს ცალკეულ პერსონაჟთა მონათხრობის სახე აქვს, მათ  
კრებულს წარმოადგენს, ზოგი ავტორის პირით გადმოცემული ერთი-  
ანი თხრობაა) და ა. შ. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები მათ, საე-  
სებით სამართლიანად, განსხვავებულ ნაწარმოებებად კი არა, არამედ  
ერთი ნაწარმოების მოდიფიკაციებად (რედაქციებად) მიიჩნევენ. საქ-  
მე ის არის, რომ აღნიშნული განსხვავებანი არაფერია იმ არსებით  
მსგავსებასთან შედარებით, რაც ერთმანეთთან აკავშირებს ყველა ჩა-  
მოთვლილ ძეგლს: საერთო იდეა და ამ იდეის ერთნაირი მატერიალუ-  
რი განსახიერება ყველა მათგანში — ნინოს მიერ ქართლის მოქცევის  
გარკვეული იდენტური ეპიზოდებით წარმოსახვა.

ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ ჩვენთვის საინტერესო ძეგლის,  
როგორც ლიტერატურული ფენომენის, განსაზღვრა შემდეგია: „ნი-  
ნოს ცხოვრება“ არის ნაწარმოები (ან „ნინოს  
ცხოვრებაში“ იგულისხმება ნაწარმოები). რომელ-  
შიც ეპიზოდების გარკვეული სისტემით გადმო-  
ცემულია განმანათლებელი ქალის ნინოს მოღვა-  
წეობის შედეგად ქართლის გაქრისტიანების ის-  
ტორია.

თხზულების არსების ცნების სახით ჩამოყალიბება საშუალებას  
იძლევა არც ერთ სხვა ნაწარმოებში არ ავუროთ იგი. ამავე დროს  
მრავალ სხვა ლიტერატურულ ფენომენში აღმოვაჩინოთ ამ არსებითი  
ნიშნით აღბეჭდილი ერთეულები: ყოველი ძეგლი, მიუხედავად მისი  
სათაურისა, გარემოცვისა, ფორმისა შეიძლება განვიხილოთ როგორც  
„ნინოს ცხოვრება“, ე. ი. შევიტანოთ „ნინოს ცხოვრების“ ციკლში,  
თუ იგი ქართლის მოქცევის ისტორიას განმანათლებლიან მოღვაწეო-  
ბის პრიზმაში გარდატეხილს განსაზღვრული მასალით წარმოგვიდგენს.

ზემოთ ითქვა, რომ მკვლევართა მიერ გამოყოფილი „ნინოს  
ცხოვრების“ ერთ-ერთი რედაქცია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ანორე  
ნაწილს შეადგენს. ამ ძეგლის პირველი ნაწილი კა. ისტორიული ქრო-  
ნიკაა, რომელიც მოიცავს ქართლის ისტორიას ძვ. წ. IV ს.-დან ახ. წ.  
IX ს.-მდე. სწორედ ამ ქრონიკაში ვხვდებით „მოქცევაჲ ქართლისაჲში“  
თავდაპირველად თხრობას ქართველთა განმანათლებელზე და ქართ-  
ლის გასაქრისტიანებლად გაწეულ მის ღვაწლზე: აქ მოცემულია ნინოს

შესახებ არა ერთი ცნობა, არამედ მისი მთელი ბიოგრაფია, რომელიც მისიონერი ქალის ქართლში მოსვლამდე იწყება. აღნიშნული თხრობა აშკარად: „ნინოს ცხოვრების“ თავისებური რედაქციაა. ეს თვალში საცემია ერთი შეხედვითაც. მას გარკვეული დისონანსი შეაქვს ქრონიკაში, ჯერ ერთი, თავისი მოკულობით (დანარჩენი ნაწილის თითქმის ნახევარს შეადგენს), მეორეც იმით, რომ გაქრისტიანების შესახებ თხრობისას მეფე ერთგვარად უკანა პლანზეა და წინ წამოწეულია ნინოს მოღვაწეობა, მაშინ როცა, ჩვეულებრივ, აღნიშნული ქრონიკა ასახელებს ჯერ მეფეს ან ერისთავს და მხოლოდ ამის შემდეგ მიუთითებს მათ მმართველობაში მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტებზე.

ნათქვამი რომ თვალსაჩინო იყოს, ქვემოთ მოვიყვანოთ „ნინოს ცხოვრების“ ამ მცირე რედაქციის ტექსტს და ამავე დროს შესაღარებლად ზოგ ცნობას ქრონიკიდან.

მცირე „ნინოს ცხოვრება“: „და იყო დღეთა კოსტანტინე მეფისათა, ქრისტეს აღმალეებითგან სამას და მეთათესა წელსა. იყო ლუაწლი ბრძოლისაჲ მტერთაგან და ფრიალ ერეოდეს მეფესა კოსტანტინეს ძესა კოსტაესსა. და გულგდებულ იყო ურვათაგან კოსტანტი კეისარი. იყო ვინმე კაცი ეფესელი და წარმოთქუა წინაშე მეფისა, ვითარმედ: „ქრისტიანენი იგი ჰრომნი და ყოველნი ჰინდონი და ვისცა ვის აქუს შჯული იგი ახალი ქრისტეს წმიდისაჲ ძელითა ჟუარისაჲთა და მისითა სასოვებითა სძლევენ მტერთა ძლიერად“. მას ესმსა აღიძრა მეფე გუნდებითა, და წარავლინა მოყვანებად ებისკოპოსთა იერუსალემით, ანტიოქიამთ, ჰრომით და ალექსანდრიათ და ნათელ-ილო მან თავადმან და დედამან მისმან ბანაკითურთ.

მით ესმითგან მეთათესა წელსა წარვიდა ჰელენე იერუსალემდ მიებად პატროსნისა ჟუარისა. და მეთათობმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადაგი, სახელით რიფსიმე, რომლისამე მიზეზისათვს დედა-მძუძითურთ. და იყო მის თანა ტყუე ერთი დედაკაცი შეუენიერი, სახელით ნინო, რომლისა საქმე მისი გამოიძია ჰელენე დედოფალმან: და იყო იგი ჰრომი მთავარი და თვთ მოევლო გზამ თვისი და ექმნნეს კურნებანი და მოწეენულ იყო საბერძნეთა და ჰმოდლურიდა მთავარსა მას რიფსიმეს.

და ვითარცა წარმოვივლტოდა რიფსიმე ზღუად, გაძანე და ნინო და სხუანი ვინმე მათ თანა გამოვიდეს არეთა სომხეთისათა, საყოფელსა თრდატ მეფისასა, და ივინი იმარტვლნეს მუნ.

ხოლო ნინო დაშთა და წარმოემართა მთათა კერძო ჩრდილომსათა და მოვიდა მდინარესა მტყუარსა, მოჰყვა და მრვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა, მეფეთა საჯდომელსა.

და იყო, სამ წელ ეგრეთ, ილოცვიდა ფარულად ადგილსა შებურვილსა ბრძამლითა მაყულისაჲთა. და შექმნა სახე ჟუარისაჲ ნასხ-

ლევისაჲ, და მუნ დაადგრა და ილოცვიდა. და ადგილი იყო ზღუდესა გარჯან. ხოლო მათ მაყუალთა ადგილი არს ზემოასა ეკლესიისა საკურთხევლისა ადგილი.

და მეოთხესა წელსა იწყო თქუმაღ ქრისტე ღმერთი და შჯული: და „მე ვპოვე ცდომასა შინა ჩრდილოასა ესე ქუეყანაჲ“. და მეექუსესა წელსა არწმუნა ცოლსა მეფისასა ნანას სენსა შინა მისსა. და მეშვდესა წელსა მეფესა არწმუნა სასწაულითა ქრისტესმიერთა. და მსწრაფლ აღაშენა ეკლესიაჲ ქუემოჲ სამოთხესა შინა, და სუეტი იგი იყო ძელისაჲ, რომელი თვთ აღეპართა.

და ვითარცა აღაშენეს ეკლესიაჲ, წარავლინა მოციქული და წიგნი ნინოასი საბერძნეთა, მეფესა კოსტანტინესა, თხოვად მღღელთა. ხოლო იგინი მსწრაფლ მიიწინეს. და მოსცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღღელნი და ერთი დიაკონი, და წიგნი ელენე დედოფლისაჲ, და ხატი მაცხოვრისაჲ და ძელი ცხორებისაჲ ნინოასთჳს.

და ვითარცა მოვიდეს, ნათელი მოილო მირეან მეფემან და დედოფალმან და ყოველმან სახლმან მათმან.

ითხოვეს ხმ, რაჲთა შექმნან ჭუარი... (აკლია)

და წარემართა მეფჳ, და ყოველი ქართლი ქრისტეანობასა მოსწრაფებითა დიდითა. მაშინ ნეტარმან მან დედაკაცმან. ნინო თქუა: „კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსი, რომელმან მოაელინა სიტყუაჲ წმინდაჲ მისი ცათა მალალთაჲთ თვთ ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქუეყანად მდაბლად უეჭუელად შობად კორციელად თესლისა დავითისა დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა წმიდისა და უბიწოასა, რომელი სათნო-ეყო მას. და ამით მიზეზითა ცხორებაჲ ჩუენი შეიქმნა. და ყოველი ცასა ქუეშე მყოფი განანათლა და უმეტეს მისა მიმართ მორწმუნენი აცხოვნნა. რამეთუ იშვა ვითარცა კაცი, პატივ-ეცა ვითარცა ღმერთსა, ნათელილო ვითარცა მსახურმან ვინმე შჯულისამან წყლისა და მიწისაგან, ხოლო მამით და სულით წმინდით ზმგარდამო იწამა და იდიდა, ჭუარს-ეცუა, დაეფლა და აღდგა, აჲდა მათვე სიმაღლეთა მამისა თანა და მომავალ არს დიდებითა, რომელსა შუენის გალობაჲ ამენითა“.

და ვითარცა ესე თქუა, წარიყვანა იაკობ მღღელი, საბერძნეთით მოსრული, და ერისთავი ერთი, წარვიდა და დადგა წობენს. და მოუწოდა მთეულთა, ქართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოვებაჲ ქრისტჳსი. ხოლო მათ განუყარეს თავი. და ერისთავმან მცირედ წარამართა მახვლი, და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალენად.

და გარდავიდა ერწუდ. და დადგა ქალეთს, დაბასა ედემს, და ნათელ-სცა ერწუ თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა, რომელნი უკუნაჲსკნელ იპოვნეს: თრდატ მეფემან მოიყვან-

ნა და მონათლნა. და ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს. მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერთიურთ მათით.

და გარდავიდა კახეთად და დადგა ქცელ დაბას. და მოიყვანნა კახნი მთავარნი და მონათლნა.

და დასნეულდა და წარმოემართა მცხეთად. და ვითარცა მოიწია კხოეთას, დაბასა რომელსა ჰრქჳან ბოდინი, ვერღარა ეძლო სლვად. და მო-ხოლო-ვიდეს უუარმით ქალაქით რევ, ძმ მეფისაჲ, და სალომე, ცო-ლი მისი, და ასული მისი, და ზედ-ადგეს მოურნედ. და მოუვლინეს მცხეთით მეფემან და ცოლმან მისმან ნანა იოვანე მთავარ ებისკოპოსი ხილვად და წარყვანებად. ხოლო მან არა ინება, არამედ დაჰვედრა-იაკობ მღდელი, რაჲთა „შემდგომად შენსა მან დაიპყრას საყდარი“. და მის წინაშე მისცა წიგნი იგი ჰელენე დედოფლისა მოწერილი, რომელი მოეწერა ნინოჲსა, დედოფლობით და მოციქულად და მახარებ-ლად შეემკო; და ძელი ცხორებისაჲ წარმოეცა დედოფლისა ნანაჲსა.

და შეწირა. ეჲმი იოვანე, და აზიარა ნინო ჯორჯსა და სისხლსა ქრისტესსა, და წარიღო ესე საგზლად სულისა.

და შეჰვედრა სული თვისი კელთა ღმრთისათა ქართლად მოსვ-ლითგან მეთხუთმეტესა წელსა, ქრისტეს აღმალლებითგან ტლმ წელ-სა, დასაბამითგან ჰყლმ წელსა.

მაშინ შეიძრნეს ორნი ესე ქალაქნი: მცხეთაჲ და უუარმაჲ და ყო-ველი ქართლი სიკუდილისა მისისათჳს. და მოვიდეს და დაჰმარხეს ძლევიტ შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა ბუდს, დაბასა კხო-ეთისასა“<sup>8</sup>.

ასეთია ნინოს შესახებ თხრობა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ I ნა-წილში. სხვა შემთხვევებში კი ქრონიკის თხრობა მოკლეა: „და დაჯ-და მეფედ ბაკურ, ძმ რევისი. და მოკულდა იოვანე ებისკოპოსი და და-ჯდა იაკობ, მღდელი იგი მუნითვე მოსრული, მთავარ ებისკოპოსად“. ან კიდევ: „და დაჯდა მეფედ ძმჲ მისი თრდატ და მთავარ ებისკოპო-სი იყო ნერსე სომეხთა კათალიკოზისა დიაკონი იობ. და მეფემან რუ-მსთვისა რუჲ გამოიღო და ეკლესიისა საფუძველი დადგა, და მის ზე-ვე ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღიშენა განსრულებით“<sup>9</sup>.

ყველა ეს მომენტი (მოცულობა, დასრულებულობა, ქრონიკისა-თვის არაორგანულობა) და, რაც მთავარია ის, რომ აღნიშნულ თხრო-ბას აქვს „ნინოს ცხოვრების“ ციკლის თხზულებებისათვის დამახასია-თებელი არსებითი ნიშანი, უფლებას გვაძლევს ისიც განვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოების გარკვეულ შოდიფიკაციად — რე-დაქციად. და ამის საწინააღმდეგო, როგორც ითქვა, ვერ იქნება ის გარემოება, რომ ამ რედაქციას არა აქვს სათაური და ჩართულია სხვა ნაწარმოებში<sup>10</sup>.



ამგვარად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში ჩართულია „ნინოს ცხოვრების“ ერთ-ერთი რედაქცია. ეს რედაქცია მოცულობის სიმცირით გამოირჩევა. ამის გამო აქ ხშირად აუცილებელი ეპიზოდები ორიოდ სიტყვითაა გადმოცემული. მოცულობის სიმცირე აშ რედაქციის თვალსაჩინო მახასიათებელია. ამიტომ შას შეიძლება ეწოდოს მცირე „მოქცევისეული“ „ნინოს ცხოვრება“ ან უბრალოდ მცირე „ნინოს ცხოვრება“

რახან სახელდებაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე უნდა ითქვას „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წარმოდგენილი მეორე „ნინოს ცხოვრების“ შესახებაც. ტერმინი „ფსევდო-ეპიგრაფიკული“ აშქარად არ გამოდგება მისთვის თუნდაც იმიტომ, რომ „ნინოს ცხოვრების“ ციკლის სხვა წარმომადგენელიც (მროველისეული) ასევე თანამედროვეთა ჩანაწერების სახით არის გაფორმებული. სახელდება კი არა მარტო თვალსაჩინო, უდავო ნიშნით უნდა შეირჩეს, აღრევის თავიდან ასაცილებლად, უნდა იყოს მკაცრად ინდივიდუალური, არ გადაკვეთდეს ციკლის არცერთ სხვა ერთეულს. ამასთან, ტერმინმა „ფსევდო-ეპიგრაფიკული“ შეიძინა წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით უარყოფითი ელფერი. სახელწოდება კი არ უნდა შეიცავდეს შეფასებას და სეიტრალური პოზიციით ყოველგვარი ამოცანის მიმართ განსაზღვრავდეს ობიექტს.

თავისთავად ცხადია, სანომენკლატურო ტერმინი ყოველთვის უნდა მიემართებოდეს პროტოძეგლს. ასეთები შეიძლება აღმოჩნდნენ ჩვენამდე მოღწეული რედაქციებიც, თუმც უფრო მოსალოდნელია, რომ არა. ამიტომ კვლევის დასაწყისში უნდა დაეღუშვათ, რომ პროტოძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, ყველა ჩვენს ხელთ არსებული რედაქცია მათ გამოვლინებას წარმოადგენს მხოლოდ, როგორც კონკრეტული აბსტრაქტულ. იდეალურ ობიექტს გამოაველენს. ტერმინი „შატბერდულ-ქელიშური“ კი კონკრეტული შინაარსით არის დატვირთული და აბსტრაქტული (პროტო) ძეგლისადმი მიმართვის საშუალებას არ იძლევა. ამიტომ მისი გამოყენებაც არ ჩანს მიზანშეწონილი!?. ამავე დროს აღნიშნული რედაქცია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიულ ქრონიკაში ჩართულ რედაქციასთან შედარებით არის ვრცელი. ასევე შეიძლება განვსაზღვროთ იგი: ვრცელი „მოქცევისეული“ „ნინოს ცხოვრება“ ანუ ვრცელი „ნინოს ცხოვრება“.

V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი თავის „სომხეთის ისტორიის“ მეორე წიგნის 86-ე თავში ნინო განმანათლებლის ქართლში ქადაგებისა და ქართველთა გაქრისტიანების შესახებ მოგვითხრობს. ამ თავის სათაურია: „სანატრელი ნუშესა და იმის შესახებ თუ როგორ გახდა იგი ქართველთა ხსნის მიზეზი“. აღნიშნულ თავში მოთხრობილია, რომ ვინმე ქალმა სახელად ნუნემ, ერთ-ერთმა რიფსიმეანთაგანმა, ლტოლვილმა, მიაღწია ქართველთა მთავარ ქალაქ

მცხეთას, სადაც მან, დაჯილდოებულმა კურნების ნიჭით, მრავალი სნეული განკურნა, მათ შორის ქართველთა წინამძღოლის მიპრანის ცოლიც. ამით გაკვირვებულმა მიპრანმა ჰკითხა ნუნეს, თუ ვისი ძალით იქმნოდა ამგვარ სასწაულებს. ქალმა სახარებით აუხსნა. ეს შემთხვევა მიპრანმა თავის ნახარაგებს უამბო. ამასობაში ქართლს მოაღწია ცნობამ ამ სასწაულთა შესახებ, რომლებიც შეემთხვათ სომხეთში მეფესა და ნახარაგებს, აგრეთვე ნუნეს მეგობრებს (ე. ი. დანარჩენ რიფსიმეანებს). ამის შესახებაც გამოჰკითხა მიპრანმა ნუნეს და მისგან ყველაფერი დაწვრილებით შეიტყო. მერე, როცა სანადიროდ წასულ მიპრანს ჩამოუბნელდა, შეშინებულს მოაგონდა ნუნეს მონათხრობი იმის შესახებ, თუ რა რისხვა ეწია უფლისაგან ასევე სანადიროდ მყოფ თრდატს — სომეხთა მეფეს. მიპრანმა აღუთქვა ნუნეს ღმერთს, რომ იწამებდა, თუ დაიხსნიდა ამ განსაცდელისაგან. თხოვნა შეუსრულდა. მიპრანმაც ქრისტე იწამა. ამის შემდეგ ნუნემ გრიგოლის (სომეხთა განმანათლებლის) რჩევით არამაზღას კერპი შემუსრა და ჯვარი აღმართა. შემდეგ ქართლის სხვა კუთხეებშიც იქადაგა ქრისტიანობა<sup>13</sup>.

ძნელი არ არის შეენიშნოთ, რომ ამ შემთხვევაშიც „ნინოს ცხოვრების“ თავისებურ რედაქციასთან გვაქვს საქმე. ოღონდ აქ ნინოს (ნუნეს) მოღვაწეობა და ქართლის მოქცევა დანახული და წარმოჩენილია სომხეთის ისტორიის თვალსაზრისით (ქართველთა განმანათლებელი რიფსიმეანია; სომხეთში დატრიალებული ამბების გაგება საფუძველს ამზადებს ქართველთა მოქცევისათვის; მიპრანი, ისევე როგორც სომეხი თრდატი, ნადირობისას შეეყრება ღვთაებრივ სასწაულს და მისთვის თრდატის გახსენება მცირე როლს როდი ითამაშებს, რათა ქრისტე იწამოს; კერპს, რომელსაც ამზობს ნუნე, თანამოსახელე ჰყავს სომხეთში; ქართლის განმანათლებელი თავისი მოღვაწეობის საბოლოო ღონისძიებასთან დაკავშირებით მოქმედებს სომეხთა განმანათლებლის მითითებათა შესაბამისად; ზორენელის თბრობაში დიდი ადგილი უკავია ჯვრის აღმართვის ეპიზოდს. ეს კი უეჭველია იმიტომ, რომ ძველ სომხურ მწერლობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ სხვადასხვა ჯვართა ისტორიები<sup>14</sup>).

ამგვარად, მოსე ხორენელის ნაშრომში დაკულია „ნინოს ცხოვრების“ გარკვეული რედაქცია — „ნინოს ცხოვრების“ სომხური ვერსია.

ქართველთა მოქცევის ისტორიის და მათი განმანათლებლის თავისებური ვერსია შემოგვინახა ბიზანტიურმა მწერლობამაც. IV—V სს-ის ისტორიკოსები გელასი კესარიელი, რუფინუსი, თეოდორიტი კვირელი, სოკრატე სქოლასტიკოსი, ერმია სოზომენი თავიანთ „საეკლესიო ისტორიებში“ არსებითად ერთგვარად გადმოგვცემენ

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების ფაქტს: იბერებთან მოხვდა ტყვე ქალი, რომელმაც სასწაულებრივ განკურნა წარმართი ბავშვი და დედოფალი. ტყვე ქალის სიტყვით, კურნების ძალას მას ქრისტე ანიჭებდა. ამის გამო იბერთა დედოფალმა ირწმუნა ქრისტე და თავის მეუღლესაც ურჩევდა იგივე გაეკეთებინა. მალე ნადირობის დროს მომხდარმა სასწაულმა (მეფეს ჩამოუბნელდა და ქრისტეს რომ შეთხოვა შეელა, გაუნათდა) ეს უკანასკნელიც დააწმუნა ტყვე ქალის ღმერთის ძლიერებაში, ირწმუნა იგი და თავისი ქვეშევრდომებიც მოაქცია ახალ რჯულზე. ეკლესიის მშენებლობის დროს ახლადმოქცეულ იბერებს კვლავ მოევლინათ სასწაული: სვეტი, რომელიც მშენებლებმა ვერაფრით ვერ დაძრეს ადგილიდან, ტყვე ქალის ლოცვამ თავის ხარისხს დაამყარა, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ხალხის რწმენა. ეკლესიის დასრულების შემდეგ მოციქულები გაგზავნეს კონსტანტინე მეფესთან და მღვდელთმთავრები ითხოვეს. კონსტანტინემ სიამოვნებით დააკმაყოფილა მათი თხოვნა<sup>15</sup>.

ზემოთ მოტანილი თხრობაც, თუმც მასში სახელით მოხსენიებული არ არის ქართველთა განმანათლებელი, აშკარად „ნინოს ცხოვრების“ თავისებური რედაქცია ანუ ვერსიაა.

## თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

### „ნინოს ცხოვრება“ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“

ზემოთ ითქვა, რომ „ნინოს ცხოვრების“ ციკლი შედგება ადგილობრივი და უცხოური ვერსიებისაგან. როდის შეიქმნენ ისინი, როგორია მათ შორის ურთიერთმიმართებანი?

დავიწყოთ ადგილობრივი ვერსიით. როგორც აღნიშნული იყო, იგი რამდენიმე რედაქციით არის წარმოდგენილი. მათი ურთიერთდამოკიდებულება დღეისათვის შეიძლება გარკვეულად ჩაითვალოს: პერიფრაზული მეტაფრასულისაგან წარმოიშვა<sup>1</sup>, მეტაფრასული და მრაველსეული კი „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წარმოდგენილი რედაქციებიდან მომდინარეობენ<sup>2</sup>. ასე რომ, ადგილობრივი ვერსიისა შექმნის ისტორია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ უკავშირდება<sup>3</sup>. განვიხილოთ ეს ძეგლი.

როგორც სათაური მიუთითებს, აღნიშნული ნაწარმოები ქართლის ისტორიის გარკვეულ ფაქტს — მოქცევას (გაქრისტიანებას) ეძღვნება. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, მართლაც, მოთხრობილია ამ ისტორიული მოვლენის შესახებ, თუმც, როგორც მიუუთითებდით, მისი შინაარსი გაცილებით ფართოა და მოიცავს ქართლის ისტორიას ძვ. წ. IV ს-დან ახ. წ. IX ს-მდე. ეს ისტორია „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მოცემულია ქრონიკის სახით. თხრობა ქართლის მოქცევის შესახებ კი აღნიშნულ ძეგლში წარმოდგენილია „ნინოს ცხოვრების“ მცირე და ვრცელი რედაქციებით. პირველი მათგანი ქრონიკაშია ჩართული ქრონოლოგიურად შესაბამის ადგილას, ხოლო მეორე ერთვის ქრონიკას.

„ნინოს ცხოვრების“ „მოქცევისეული“ რედაქციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან<sup>4</sup>. ეს სხვაობა მართაოდენ მოცულობას როდი შეეხება. მოციყვანთ მაგალითებს:

ა) მცირე რედაქციის მიხედვით ნინო და რიფსიმე ერთმანეთს ხედებიან ბიზანტიელთა მოქცევის შემდგომ<sup>5</sup>, ვრცელით კი მოქცევამდე<sup>6</sup>.

ბ) მცირე რედაქციის მიხედვით ჯვართა აღმართვის ადგილებად შეარჩიეს მცხეთა და თხოთის მთა: „სამ გუჲმად შექმნნეს ხისა მის ტანისაგან სამნი ჭუარნი და აღმართნეს მცხეთას, ვითარცა სწერია

მცირესა მას შოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლისა მოქცევისასა, გრიგოლი დიაკონისა მიერ აღწერილსა. და ერთი ჭუარი აღმართა მი- რიან მეფემან მთასა ზედა მდნარისასა, რომელსა ჰრქვან თხოთისა. და ერთი-გი მახლობელად პატრონისა ჭუარისავე“.

განსხვავებულ ცნობას გვაწვდის ვრცელი „ცხოვრება“: ნინოს მითითებით ჯერები აღმართეს თხოთს, მცხეთას, უუარმას<sup>8</sup>.

გ) მცირე რედაქცია გვაუწყებს, რომ მირიან მეფემ ქრისტეს სა- მოსლის და ელიას ხალენის მცხეთაში ყოფნის შესახებ გაიგო მთა- ვარეპისკოპოსისაგან: „აღივსო ურვითა (მირიანი. — მ. ჩ.) და დააყენა საქმე მოსწრაფებისა, ვიდრე არა ისწავა მთავარებისკოპოსისაგან, ვი- თარმდე: „შენ თანა არს ამას ქალაქსა შინა სამოსელი ქრისტესი ყო- ლად ზეგარდმო ქსოვილი, რომელი ჭუარის მცუმელთა მათ განიყვეს, და კუართი იგი ამათ იხუედრეს, ჩრდილოსა ამას ქალაქსა შინა და- ფარეს, და აწ შეილნი მათნი არიან, ვინ უწყის, თუ ადგილიცა იყო- დენ. ხოლო ჟამი მისი მერმე არს, ოდეს გამოჩნდეს დიდებით ქუეყა- ნასა ზედა. ეგრეთვე ხალენი ელიაჲსი აქვე დამარხულ არს“<sup>9</sup>.

ამავე ცნობას ვრცელი რედაქციის მიხედვით მეფეს აწვდის ნი- ნო: „მე ვხედავ, რამეთუ არს ამას ქალაქსა სასწაული ერთი, სამოსე- ლი ძისა ღმრთისაჲ, და ხალენისა მის ელიაჲსი ყოფაჲ ვიეთმე აქა თქუეს“<sup>10</sup>.

დ) ლაკონურობის მიუხედავად, „ნინოს ცხოვრების“ მცირე რე- დაქცია ქრისტეს ჯვარცმის ცერემონიალზე დასასწრებლად მცხეთი- დან გაგზავნილ ებრაელთა უფრო სრულ სიას იძლევა, ვიდრე ვრცე- ლი. იგი მოგვითხრობს: „აქეთ წარვიდეს ელიოზ მცხეთელი და ლონ- გინოზ კანისელი და თაღენავ და მისაელ“<sup>11</sup>.

ვრცელ რედაქციაში კი ვკითხულობთ: „და წარვიდა ელიოზ და ყოველნი ჰურჩანი ქართლით“ ან „წარვიდა ელიოზ და ყოველნი ქართველნი“<sup>12</sup>.

ე) მცირე „ცხოვრების“ მიხედვით მირიან მეფემ ქრისტიანული სარწმუნოების სიკეთეში დარწმუნებისთანავე „მსწრაფლ აღაშენა ეკ- ლესიაჲ ქუემოჲ სამოთხესა შინა“. და მხოლოდ აშენების შემდეგ („ვითარცა აღაშენეს ეკლესიაჲ“) „წარავლინა მოციქული და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთა, მეფისა კოსტანტინესა, თხოვად მღდელთა“<sup>13</sup>.

ვრცელი „ცხოვრების“ მიხედვით კი ქრისტიანობის აღიარების- თანავე („ხვალისა დღე“) მირიანმა მოციქულები გაგზავნა საბერ- ძნეთს და მხოლოდ ამის შემდგომ იწყო ზრუნვა ეკლესიის მშენებლო- ბისათვის<sup>14</sup>. აქ ნინოს წიგნის შესახებაც არაფერია ნათქვამი.

ვ) „ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქცია მოგვითხრობს, რომ საჯვარე ხის შერჩევასი მონაწილეობა მიიღეს მეფის ძე რევმა და მთავარდიაკონმა<sup>15</sup>.

ვრცელი „ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ სასულიერო პირთაგან ჯვრის დამზადებაში მონაწილეობს იაკობ მღვდელი, რადგან ამ საკითხისადმი მიძღვნილი თავი მას მიეწერება<sup>16</sup>.

ზ) მცირე რედაქციის მიხედვით კონსტანტინე მეფემ სამღვდლოებასთან ერთად ქართლში გამოგზავნა „წიგნი ელენე დედოფლისაჲ, ხატი მაცხოვრისაჲ და ძელი ცხოვრებისაჲ ნინოასისა“<sup>17</sup>.

ვრცელი „ნინოს ცხოვრება“ კი მარტოოდენ სამღვდლოების მოსვლის შესახებ აღნიშნავს<sup>18</sup>.

თ) მცირე და ვრცელი „ცხოვრებანი“ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საერთო გეგმითაც: ვრცელში თხრობა ნინოს დასწავლუბას ამბით იწყება და ამაზე უფრო აღრიხდელი მოვლენები შემდგომად წარმოდგენილი, მცირე კი იცავს ქრონოლოგიური თანამიმდევრობის პრინციპს. ვრცელი რედაქციის თავები პირველ პირშია ნაწერი, განსხვავებით მცირე „ცხოვრებისაგან“, რომელშიც თხრობა თავიდან ბოლომდე მესამე პირში წარმოებს.

მოტანილი მასალა აჩვენებს, რომ აღნიშნულ რედაქციებს შორის არ არის უშუალო დამოკიდებულება: არც ერთი წარმოდგენა მეორის შემოკლებას და არც მეორე პირველის გავრცობას, რომ ისინი სხვადასხვა წარმომავლობისანი არიან. აღნიშნული დასკვნა შეიძლება განმტკიცდეს შესადაარებელი რედაქციების ავტორისეული სტილის მათემატიკური ანალიზითაც.

ავტორის სტილს გარკვეული გრამატიკული ცვაზირებისაყენ მიღრეკილება ახასიათებს, რაც რაოდენობრივად გამოხატულებას გრამატიკული კლასების წყვილადი შეხვედრის  $\alpha_1$  სიხშირეებში პოულობს. ამ სიხშირეების აღნუსხვა და შემდგომ მათი შედარება სტილისტიური ანალიზის მიზნით შესაძლებელია ფორმალური მეთოდით, რომელიც რამდენიმე სამუშაო ეტაპით წარმოგვიდგება: 1. თავდაპირველად ხდება მოცემული პერიოდის ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული კლასების სისტემის შერჩევა. თითოეულს ანიჭებენ ინდივიდუალურ საკოდო ნომერს. მოცემული კოდით გადაიწერება შესადაარებელი ნაწარმოებების ერთნირი მოცულობის ნაწყვეტები; 2. შემდეგ ითვლიან გრამატიკული კლასების წყვილადი შეხვედრის სიხშირეებს. ამ დროს ითვალისწინებენ მხოლოდ ისეთ კავშირებს, რომლებიც წინადადების გაშლის მიმართულებას შეესაბამებიან. წერტილით გაყოფილ გრამატიკულ კლასებს შორის კავშირი არ აღიროცება. შედეგებს თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ წყვილადი შეხვედრის მატრიცებში; 3. მატრიცებში აისახებიან როგორც ძლიერი (მაღალი სიხშირის), ე. ი. კანონზომიერი, ასევე სუსტი (დაბალი სიხშირის), ე. ი. შემთხვევითი კავშირები. მათ გასამიჯნავად შეარჩევენ ზღვარს (მატრიცების კონკრეტული სახის გათვალისწინებით) და ყველა დაბა-

ლი სიხშირის  $a_{11} < a$  კავშირი ირიცხება მოცემული კავშირების სიმრავლიდან. დარჩენილი მაღალი სიხშირის  $a_{11} \geq a$ , ანუ ძლიერი კავშირების გათვალისწინებით კი აიგება ძლიერი კავშირების გრაფი  $G$  ძლ. რომლის წვეროებს გრამატიკული კლასები, ხოლო რკალებს ძლიერი კავშირები შეესაბამებია.  $G$  ძლ. კანონზომიერი გრამატიკული კავშირების ამსახველი გრაფია; 4. ავტორის სტილისათვის დამახასიათებელი გრამატიკული კავშირები კანონზომიერი გრამატიკული კავშირების მხოლოდ ნაწილია. ამ უკანასკნელთა ნაწილი კი საერთო-ენობრივი თუ უანობრივი ნორმებითაა გამოწვეული და ავტორისეულ საწყისზე არას მიუთითებს. ავტორის სტილისტური თავისებურებებით განპირობებული კავშირების გამოსაცალკევებლად აგებენ ე. წ. „საერთო-ენობრივი ბირთვის“ გრაფს —  $G$  საერ. ამ გრაფში შეიტანება ის კავშირები, რომლებიც ყველა ან უმეტესი შესაღარებელი ტექსტების ძლიერი კავშირების გრაფებს ახასიათებენ. ავტორის სტილის ინდივიდუალურობის მაჩვენებელია ე. წ. „არსებითი კავშირების“ გრაფი —  $G$  არს., რომელიც, ცხადია, ძლიერი კავშირის გრაფიდან საერთო-ენობრივი ბირთვის გრაფის გამორიცხვით მიიღება:  $G$  არს. =  $G$  ძლ. —  $G$  საერ. 5. შესაღარებელი ტექსტების სტილისტური სიახლოვის დადგენა ხდება მსგავსების კოეფიციენტით  $d$ , რომელიც უდრის აღებული ორი ტექსტის არსებითი კავშირების გრაფების ერთნაირი წვეროების რიცხვის შეფარდებას წვეროების მთელ რიცხვთან<sup>19</sup>.

შესაღარებლად ავიღეთ მცირე „ნინოს ცხოვრება“ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდული რედაქციის მიხედვით, რომელიც თავსდება 83<sub>12</sub>—91<sub>9</sub> სტრიქონებზე<sup>20</sup>. მას მხოლოდ 88<sub>2</sub>—88<sub>24</sub> სტრიქონებზე მოთავსებული ტექსტის ნაწილი გამოვაკელით, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოს პარაფრაზი; რომელშიც ავტორისეული სტილის გამოვლენის ალბათობა მცირეა. იგი აღნიშნული ადგილის გარეშე შეიცავს 513 ნიშნად სიტყვას. ვრცელი „ნინოს ცხოვრებიდან“ შერჩეულ იქნა ამავე მოცულობის ორი ნაწყვეტი ნებისმიერად. პირველი ნაწყვეტი ნინოს „ანდერძის“ ნაწილია, მოიცავს 106<sub>20</sub>—114<sub>38</sub> სტრიქონებს რიგი ადგილების გამოტოვებით, რაც მოტივირებულია ტექსტის დიალოგებისაგან განტვირთვის და აგრეთვე „ანდერძის“ სხვადასხვა მონაკვეთის წარმოდგენის მიზნით. გამოტოვებული ადგილებია: 107<sub>18</sub>—107<sub>24</sub>, 108<sub>1</sub>—108<sub>15</sub>, 108<sub>35</sub>—108<sub>38</sub>, 109<sub>14</sub>—109<sub>17</sub>, 109<sub>23</sub>—109<sub>25</sub>, 110<sub>3</sub>—110<sub>23</sub>, 111<sub>8</sub>—114<sub>23</sub>. მეორე ნაწყვეტი კი წარმოდგენს თავს „პატიოსნისა ჯუარისათჳს, რომელი აღწერა იაკობ“ (147<sub>40</sub>—152<sub>24</sub>). აქ გამოტოვებულია მხოლოდ 150<sub>4</sub>—150<sub>12</sub> სტრიქონებზე მოთავსებული ტექსტი.

პარამეტრებად არჩეული გრამატიკული კლასების რაოდენობა 23-ით განისაზღვრა<sup>21</sup>. მათი რიცხვის მეტი ზრდის საშუალებას არ იძლევა მცირე რედაქციის მოცულობა (513 ნიშნადი სიტყვა).. საკოდო ნომერთა მიხედვით გრამატიკულ კლასთა განლაგება შემდეგია: ზმნა აწმყოს მწკრივში (1); ზმნა უწყვეტელში (2); ზმნა წყვეტილში (3); ზმნა მეორე კავშირებითში (4); ზმნა მეორე ხოლმეობითში (5); ზმნა მეორე თურმეობითში (6); არსებითი სახელი წრფელობით ბრუნვაში (7); არსებითი სახელობითში (8); არსებითი მოთხრობითში (9); არსებითი მიცემითში (10); არსებითი ნათესაობითში (11); არსებითი მოქმედებითში (12); არსებითი ვითარებითში (13); ნაცვალსახელი წრფელობით ბრუნვაში (14); ნაცვალსახელი სახელობითში (15); ნაცვალსახელი მოთხრობითში (16); ნაცვალსახელი მიცემითში (17); ნაცვალსახელი ნათესაობითში (18); ნაცვალსახელი მოქმედებითში (19); ნაცვალსახელი ვითარებაში (20); ზედსართავი სახელი (21); რიცხვითი სახელი (22); ზმნიზედა (23).

ზმნისათვის მახასიათებლად ავიღეთ მწკრივი, როგორც რთული კატეგორია, რომელიც რამდენიმე ელემენტისაგან შედგება<sup>22</sup>. მწკრივთა მთელი სიმრავლიდან პარამეტრებში შევიტანეთ მხოლოდ დასახელებული ექვსი, რადგან დანარჩენები ტექსტის მითითებულ მონაკვეთებში დადასტურებული არ ყოფილან. ქართულში სახელთათვის უმთავრესი კატეგორია არის ბრუნვა. ჩვენ მიერ შერჩეულ გრამატიკულ კლასებში არსებითი სახელისა და ნაცვალსახელისათვის შეიღწვიდი ბრუნვაა აღებული. ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელ ბრუნვათა სისტემიდან გამოკლებულია მიმართულებითი, როგორც ბრუნვა, რომელიც სხვაზე (ვითარებითზე) დაიყვანება, და წოდებითი. ეს უკანასკნელი შესადარებელი ტექსტების კონკრეტულად აღებულ მონაკვეთებში არ შეგვხვედრია.

პარამეტრების სიაში თითო-თითო საკოდო ნომრით შევიტანეთ ზედსართავი და რიცხვითი სახელები, ე. ი. მათთვის არ გავეითვალისწინებია არც ერთი გრამატიკული კატეგორია. ვფიქრობთ, ზედსართავი და რიცხვითი სახელების ხარჯზე პარამეტრების რიცხვის შემცირება არ ჩაითვლება დიდ შეცდომად, თუ გავითვალისწინებთ, რომ წინადადებაში მათი ბრუნვა ხშირ შემთხვევაში მექანიკურად განისაზღვრება არსებითი სახელით და ნაცვალსახელით, რომელთა მსაზღვრელებადაც ისინი გვევლინებიან. ასევე ერთი საკოდო ნომერი მივაკუთვნეთ ზმნიზედას, რომლის მიერ დამყარებული კავშირები მეტყველების სხვა ნაწილებთან მის შინაარსზე დამოკიდებული არაა.

აღნიშნული პარამეტრებით აიგო (შესადარებელი ნაწყვეტების შესაბამისი) მატრიცები<sup>23</sup>. ძლიერი კავშირების ქვედა საზღვრად ავიღეთ  $\alpha=5$  შემდეგი მოსაზრების გამო:  $\alpha_{ij} < 5$ -იან სიხშირეების



რაოდენობა დიდია, რომელიც ერთი სიხშირიდან მეორეზე გადასვლისას ნახტომისებურად იცვლება. მეორე მხრივ,  $\alpha_{11} \geq 5$ -იანი სიხშირების რიცხვი მცირეა და პრაქტიკულად სტაბილური. ცხადია, რომ  $\alpha_{11} < 5$  შეესაბამება სუსტ, შემთხვევით კავშირებს, ხოლო  $\alpha_{11} \geq 5$  ძლიერ კანონზომიერ კავშირებს. სწორედ ამიტომ ჩავთვალეთ, რომ გამართლებულია  $\alpha = 5$ .

ძლიერი და არსებითი კავშირების, აგრეთვე, საერთო-ენობრივი ბირთვის გრაფები, რომლებიც მივიღეთ აღნიშნული ნაწყვეტებისათვის, მოცემულია დანართში (დანართი 1).

არსებითი კავშირების გრაფების თვისებრივი ანალიზიც ნათლად გვიჩვენებს, ვრცელი რედაქციის ორი ნაწყვეტის სტილი ერთმანეთის მსგავსია. განცალკევებით დგას მცირე რედაქცია. რაოდენობრივადაც არსებითი კავშირების გრაფების შედარება იძლევა იმავე სურათს (დანართი 1. იხ. ცხრილი).

როგორც მოსალოდნელი იყო, სტილისტურად ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ ორი ნაწყვეტის სიახლოვე დადასტურდა თვალსაჩინოდ ( $d = 83\%$ ). ორივე მათგანს კი თითქმის თანაბრად დაცილდა ამ მხრივ მცირე რედაქცია ( $d = 20\%$  და  $d = 23\%$ ). ის გარემოება, რომ მცირე ნინოს ცხოვრებაში გარკვეული მსგავსება მაინც გვიჩვენა ვრცელთან შედარებისას, დასახელებული თხზულებების ხანგრძლივი თანაარსებობით შეიძლება აიხსნას.

ამრიგად, ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წარმოდგენილი „ნინოს ცხოვრების“ ორი რედაქციის განსხვავებული წარმომავლობის შესახებ დასტურდება მათი ავტორების სტილის ფორმალურ-რაოდენობრივი მეთოდით ანალიზის დროსაც<sup>24</sup>.

გენეტიკური არაერთგვაროვნება ემჩნევათ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სხვა ნაწილებსაც. უკვე ითქვა, რომ მცირე „ნინოს ცხოვრებას“ გარკვეული დისონანსი შეაქვს ქრონიკის თხრობის სტილში. უფრო თვალსაჩინოდ სხვაობს ერთმანეთისაგან ქრონიკა და „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია. მაგალითად, პირველ მათგანში ქართველთა წარმართულ კერპებს შორის დასახელებული არიან გაცი და გაიმ, არმაზი, ანინა, დანინა და ზადენი<sup>25</sup>. ვრცელი „ცხოვრება“ კი ანინას და დანინას არ იცნობს. ქრონიკისაგან განსხვავებით, რომლითაც მირიანი ქართლის 33-ე მეფეა<sup>26</sup>, ეს რედაქცია მირიანს ქართლს 36-ე მეფედ წარმოგვიდგენს<sup>27</sup>.

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ აღნიშნული სხვადასხვა წარმომავლობის ნაწილები მექანიკურად არაა თავმოყრილი, არამედ ჩატარებულია მუშაობა. მათ ვასაერთიანებლად. ამ მუშაობის კვალი იგრძნობა

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ყველა ნაწილში. აშკარაა მისი შემდგენლის ცდა — მოტანილი არაერთგვაროვანი მასალა დააკავშიროს, გაიაზროს ერთიანობაში, ცალკეული ნაწილები ერთმანეთისათვის ორგანული გახადოს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს მცირე „ნინოს ცხოვრების“ მაგალითზე.

როგორც ითქვა, ეს რედაქცია ლაკონიზმით ხასიათდება. მასში მოცემულია ნინოს ბიოგრაფიისა და ქართველთა მოქცევის ისტორიის მხოლოდ ზოგადი ქარგა და სრულყოფილად გახსნილი არაა ბევრი მნიშვნელოვანი პასაჟი<sup>28</sup>. აშკარაა, რომ იგი უფრო სრული დედნის შემოკლებას წარმოადგენს. ეს შემოკლება კი ჩატარებულია ქრონიკის სტილისტურ და უანრობრივ თავისებურებებთან „ცხოვრების“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

„ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციაში გვხვდება ადგილი, რომლის გაგებისათვის აუცილებელია ქრონიკის შინაარსის გათვალისწინება: „მაშინ განმხიარულდა მირიან მეფე, რაჟამს ეუწყა, ვითარმედ: „პირველ მოწევნულ იყო კუართი იგი ქრისტესი იერუსალჴმით. მცხეთად“. მაღლობდა ღმერთსა და იტყოდა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, რამეთუ შენ პირველვე გენება ქსნაჲ ჩუენი ეშმაქისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა, ოდეს-იგი სამოსელი შენი წარმოვეც ებრაელთა ამათ წმიდით ქალაქით იერუსალჴმით, უცხოთა ამათ ნათესაეთა ქალაქად, რამეთუ ჯუ-არცუ მასა შენსა აქას ქალაქსა მამანი ჩუენნი მეფობდე“<sup>29</sup>. ის ფაქტი, რომ მირიანის წინაპრები მცხეთაში ქრისტეს ჯვარცმის დროსაც იყვნენ, მკითხველმა უნდა გაიგოს ქრონიკით, რომელშიც მოთხრობილია ქართველ მეფეთა ქართლის ტერიტორიაზე მოსვლა. ამრიგად, აქ ქრონიკასა და მცირე „ცხოვრებას“ შორის ორგანული, შინაარსობრივი კავშირი ჩანს გაბმული.

მცირე „ნინო ცხოვრების“ მასალაზე („ზემოწერილზე“) მითითებას ვხვდებით ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“: „და ხყო სუეტისა მისა საშინელ ხილვაჲ და საძირკუელი, რომელი ზემო წერილ არს“<sup>30</sup>; ან კიდევ: „მაშინ მოვიდეს მოციქულნი საბერძნეთით მღდელთ მოქალაქარი, მღდელნი და დიაკონნი და იწყეს ნათლის-ცემად, ვითარცა ზემო წერილ არს, ყოვლისა ერისა“<sup>31</sup>.

ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“ დიდი ადგილი უკავია თხრობას ებრაელთა როლის შესახებ ქართველთა მოქცევის საქმეში. სწორედ ამის გავლენით უნდა იყოს ისტორიულ ქრონიკაში მითითებულ ებრაელთა მოსვლა ქართლში: „მეფობდა ქარძამ არმაზს და მცხეთას ბრატმან. და ამათთა უმთა ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“<sup>32</sup>. ამ უაღრესად ლაკონიურ ცნობაში, სადაც ორი პიროს მეფობა ორი წინადადებით არის გადმოცემული, ხაზგასმულია ებრაელთა მცხეთაში

შოსვლა! აშკარაა, რომ ქრონიკაში ამ ფაქტის წარმოჩენა (ფაქტისა, რომელსაც ტიპოლოგიურად ანალოგი არ ეძებნება საალმშენებლო ამბებით სავსე თხზულებაში), ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ გავლენითაა გამოწვეული.

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წარმოდგენილი მასალის მთლიანობაში გააზრების აუცილებლობა კარგად ჩანს შემდეგი ადგილიდანაც: „და უბრძანა (მეფემ. — მ. ჩ.) ზუროთა მოკვეთა ხისაჲ მის. და შექმნეს სახე პატიოსნისა ჟუარისა, ვითარცა ასწავა მთაგარდიაკონმა, სამ გუამად შექმნეს ხისა მის ტანისაგან სამნი ჟუარნი და აღმართნეს მცხეთას, ვითარცა სწერია მცირესა მას ზოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლის მოქცევისასა, გრიგოლი დიაკონისა მიერ აღწერილსა“. ეს რედაქცია იმდენად მცირეა, რომ თუ არა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შემდგენლის მიერ მისი ვრცელთან ერთად გააზრება, წარმოუდგენელია მანზე მცირე წიგნის არსებობა. მით უმეტეს, რომ როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, პატიოსანი ჯვრის აღმართების შესახებ თხრობა გრიგოლ დიაკონთან უფრო ვრცელი ყოფილა, ვიდრე მცირე „ცხოვრებაში“<sup>33</sup>. გრიგოლ დიაკონის ნაშრომზე მიმთითებელს მხედველობაში ჰქონდა მთელი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, მცირე რედაქცია ქრონიკით და ვრცელი რედაქციითურთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოუდგენელია, მას გრიგოლ დიაკონის თხზულების მიმართ ეთქვა ეპითეტი „მცირე“.

ამრიგად, მართალია, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გენეტურად განსხვავებული ნაწილებისაგან შედგება, მაგრამ ეს ნაწილები შემთხვევით კონგლომერატს კი არ წარმოადგენს ცალკეული ნაწარმოებებისა, არამედ ერთ მთლიან, განუყოფელ სისტემას. ამიტომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი ნაწარმოები

რატომ დასჭირდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ანონიმ შემდგენელს ქართლის მოქცევის კონკრეტულ ფაქტებზე მოთხრობისათვის ასეთი რთული სტრუქტურის ნაწარმოების შექმნა? განა მისი მიზნისათვის (ქართლის მოქცევის ისტორიის აღსაწერად) საკმარისი არ იყო მარტოოდენ ვრცელი „ნინოს ცხოვრება“, რომელშიც აღნიშნული მოვლენა დეტალურად იყო წარმოდგენილი, რაღა საჭირო იყო ქრონიკა მცირე „ნინოს ცხოვრებითურთ“?

„ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში ქართლის მოქცევა დათარიღებულია სინქრონული ამბებით. კერძოდ, ამ რედაქციიდან შეგვიძლია განვსაზღვროთ; დაახლოებით როდის უნდა მოსულიყო ქართველთა განმანათლებელი ქართლში. ნინო მიუთითებს თავის „ანდერძში“: „მაშინ მოხედნა ღმერთმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კოსტანტინეს და ელენეს, დედასა მისსა, და ჰრისტე ღმერთი სიხარულით აღიარეს ყოველმან ერთმან და პალატ-ბანაკმან მათმან და-

საბაშითგანთა წელთა ხუთი ათას რუბლს ორმოც და ერთსა და ქრისტეს ამალღებოთგან სამას ათვრამეტსა წელსა და წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტიანობასა ზედა. მეშვდესა წელსა კრებაჲ იყო ნიკიას, და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით“<sup>34</sup>. ამგვარადაა ნახვენები ნინოს ქართლში მოღვაწეობის ქრონოლოგია პარალელური მოვლენების საშუალებით, მაგრამ არ ჩანს ამ ფაქტის ადგილი ისტორიულ პერსპექტივაში.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შემდგენელი შეეცადა ეს ხარვეზი აეცილებინა თავიდან. მან ქართლის მოქცევა წარმოადგინა ქართლის მთლიან ისტორიაში ჩართულად, გვიჩვენა ამ ფაქტის დისტანციური მიმართება, როგორც წარსულთან, ასევე აწმყოსთან და ამით თვალსაჩინოდ დაათარილა იგი.

იმისათვის, რათა მოქცევის ფაქტის ისტორიულ პერსპექტივაში აღქმა გაადვილებულიყო, ანონიმმა ქრონიკაში ჩართო „ნინოს ცხოვრების“ შეკუმშული რედაქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ქრონიკაში ვრცელი თხრობის შეტანის შემთხვევაში, მკითხველი მხედველობიდან დაკარგავდა ქართლის ისტორიის თხრობის მთლიან ქარგას და ქრონოლოგიური ლოკალიზაციის თვალსაჩინოების ეფექტი გამკრთალდებოდა.

მაგრამ ის, რაც მცირე „ცხოვრებაში“ იყო მოცემული ქართლის განმანათლებლის მოღვაწეობის და ქართველთა მოქცევის შესახებ, საკმარისი არ იყო მკითხველთა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად (გარკვეული იდეის სრულად გასატარებლად?). ამიტომ, თითქოს სქოლიოში ჩაიტანა განმარტება, ანონიმმა ქრონიკას დაურთო ვრცელი „ნინოს ცხოვრება“.

ამრიგად, აშკარაა: ა) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, როგორც ნაწარმოები, არის ახალი თვისებრიობა მის წყაროებთან შედარებით, იგი არ დაიყვანება ამ წყაროთა უბრალო ჯამზე. მის არსებას განსაზღვრავს იდეა ქართლის მოქცევის ფაქტის ისტორიულ პერსპექტივაში წარმოდგენისა, რაც არა აქვს მის შემადგენელ არც ერთ ნაწილს ცალ-ცალკე. (ამიტომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შემქმნელს მართებულთა ვუწოდოთ არა უბრალოდ შემდგენელი, არამედ ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ნაშრომის ავტორი; ბ) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სახით საქმე გვაქვს თავისებურ ისტორიოგრაფიულ ნაწარმოებთან, სადაც ერთი მოვლენის არსის გასახსნელად მოხმობილია ქვეყნის მთელი ისტორია, სადაც ერთი ფაქტი იკითხება ვრცელ ისტორიულ კონტექსტში.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი ისტორიული მიდგომის გარდა აქტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ისტორიული სინამდვილისადმი. იგი არაა მოვლენების უბრალო რეგისტრატორი, ისტორიის მდი-

ნარების პასიური ამსახველი. იგი ცდილობს ქართლის მოქცევის ფაქტის არა მარტო დროში განსაზღვრას, არამედ მისთვის ადგილის გამოანახვას ქართლის ისტორიაში როლის მიხედვითაც. მას სურს გვითხრას: ქართლის მოქცევის ფაქტი არა მარტო გადაწველება საუკუნეებს და უკავშირდება ქართლის წარსულსა და აწმყოს, ის უფრო მეტია, ვიდრე ქართლის მთელი ისტორია. ამისათვის „მოქცევა ქართლისაჲს“ ავტორი თავის ნაწარმოებში მასალას ანაწილებს არათანაბრად. წარმართულ პერიოდს კუმშავს, ორიოდ სიტყვით გადმოგვცემს გაქრისტიანების შემდგომი ხანის სხვა პერიოდებსაც და ვრცლად საუბრობს მხოლოდ მოქცევაზე ისე, რომ ამ ფაქტის აღწერილობა აღემატება ყველა დანარჩენი ფაქტის აღწერილობას ერთად აღებულს.

ნათქვამის საწინააღმდეგოდ შეიძლება გვეფიქრა, რომ ქრონიკის ლაკონიურობა საგანგებოდ კი არაა ავტორის მიერ მიღწეული, არამედ უნებლიეა, წყაროების სიმცირითაა გამოწვეული. მაგრამ ეს ვარაუდი უნდა უარყვით. წყაროები ქრონიკაში აღწერილი ამბების შესახებ საქართველოში რომ უხვად ყოფილა, ამაზე მეტყველებს ლეონტი მროველის „ქართველ მეფეთა ცნობრება“, რომელიც დაახლოებით იმავე პერიოდს ეხება, რასაც „მოქცევა ქართლისაჲს“ ქრონიკა და სადაც ქრონიკის მიერ ორიოდ სიტყვით გადმოცემულის მაგიერ, ვხედავთ ისეთ აღწერილობებს, რომელთა წარმოშობა წყაროთა მნიშვნელოვანი ბაზის გარეშე. მარტოოდენ ფანტაზიით, გამოორცხულია. მაგალითად, V ს. მეფის მირდატის შესახებ „მოქცევა ქართლისაჲს“ ქრონიკა გვამცნობს: „და მისა შემდგომად მეფობდა მირდატ. და ესე წარიყვანა პიტიახშმან ვარაშ ბაღდადს და მუნ მოკულა“<sup>35</sup>. შტრ. ლეონტი მროველის ინფორმაცია იმავე მეფის შესახებ: „და დაჲდა მეფედ ძმა მისი მირდატ. ასულის წული თრდატისი, ძე ვარაზ-ბაქარისი, მამულად ბაქარიანი, დედულად რევიანი, ორთავე მირიანის ძეთა ნათესაი. და იყო ესე მირდატ კაცი ქუელი, მკედარი შემმართებელი, ურწუნუნო და უშიში ღმრთისა, ლალი და ამპარტავანი. და მინდობილი ნკედრობასა თვისსა... არა მსახურა ღმერთსა, არც აღაშენა ეკლესია, არცარა მატა შენებულთა, და სილალითა მისითა მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა. ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა. მაშინ სპარსთა მეფემან გამოგზავნა ერისთავი, რომელსა ერქუა უფრობ, სპითა ძლიერთა, მირდატის ზედა. მაშინ მირდატ, სილალითა თვისითა არა ჰრიდა სიმრავლესა სპარსთასა, მცირედითა სპითა მიეგება გარდაბანს და ეწყო. იოტეს და შეიპყრეს სპარსთა, მოვიდეს ქართლად, დაიპყრეს ქართლი და განრყუნნეს ეკლესიანი. ხოლო ნათესავნი მეფეთანი დარჩეს კევსა კახეთისასა, და სკმონ ეპისკოპოსი მის თანავე. ხოლო მირდატ წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკულა“<sup>36</sup>.

ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიული ქრონიკის ლაკონიურობა ქართული ფეოდალური ხანის ისტორიოგრაფიის სიმწირით კი არაა გამოწვეული, არამედ სწორედ იმით, რომ ნაწარმოების ავტორის მიერ ისტორიული სინამდვილე ხელოვნურად არის დეფორმირებული გარკვეული იდეის წარმოსაჩენად<sup>37</sup>.

როდის შეიქმნა ეს ძეგლი? აღნიშნული პრობლემის გასაღები ისტორიულ ქრონიკაში უნდა ვეძებოთ, რადგან ავტორის მიერ ქართლის მოქცევის ფაქტის შემდგომი მოვლენების გადმოცემა, როგორც ითქვა, ამ ფაქტის თანამედროვეობასთან (რგულისხმება ავტორის ეპოქა) მიმართების ჩვენებას ისახავს მიზნად. ამ თვალსაზრისით ლოგიკურია ე. თაყაიშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ძირითადი ტექსტის სტეფანოზ II-ის მმართველობამდე (639—663 წწ.) მოტანა (აქედან მოყოლებული IX ს-მდე მმართველთა და ეპისკოპოსთა მხოლოდ სიაა მოცემული ცალ-ცალკე) ქრონიკის VII ს-ის შუა ხანებში შექმნაზე მიუთითებს<sup>38</sup>. გავავრცელოთ ეს თარიღი მთლიან ძეგლზე, რომლის ერთიანობაში უკვე დაერწმუნდით.

როგორც ითქვა, VII ს-ის შუა ხანების შემდგომ IX ს-მდე ერისმთავართა და ეპისკოპოსთა მხოლოდ სიაა მოცემული. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ამ დროს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ განიცადა გარკვეული რედაქცია. არაა გამორიცხული, რომ VII ს-ის შუა ხანებიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შექმნის კი არა, არამედ აგრეთვე ერთ-ერთი რედაქტირების დროა. მაგრამ ეს მოსაზრება კვლევის ამ ეტაპზე მხოლოდ ვარაუდია და, ჯერჯერობით რაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ისაა, რომ VII საუკუნის შუა ხანებისათვის „ნინოს ცხოვრების“ ადგილობრივი ვერსიის არსებობა ფაქტია. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ მცირე და ვრცელ რედაქციებს შორის ურთიერთმიმართებას, იმას, რომ მათ შორის უშუალო კავშირი გენეტური თვალსაზრისით არ არის, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ აღნიშნული დროისათვის „ნინოს ცხოვრების“ ციკლს განვითარების გარკვეული გზა უკვე განვლილი ჰქონდა<sup>39</sup>.

როგორია ეს გზა, თავიდანვე გადის ადგილობრივ ვერსიაზე თუ მის დასაწყისში უცხოურ ვერსიებს ვხედავთ?

## თ ა ვ ი მ ე ო რ ე

### „ნიროს ცხომრების“ სომხური ვერსია

როგორც ითქვა, თბრობა ქართველთა განმანათლებლის შესახებ მოსე ხორენელს მოცემული აქვს „სომხეთის ისტორიის“ II წიგნის 86-ე თავში. ეს თავი მთავოდება შემდეგი სიტყვებით: „... *გიორგამარბასქიმ ასის, არაფსლოჩხ ხეხალ ქარიფხაე ჯ ჯარჯაე ასისალ არ გროაქე სკონაე ს ყააქიე მჩხეკ ჯ საამანაე შაახქაე, ირასა ისოივანტ ესე სკაქმანგსიი*:<sup>1</sup> — „...რომლის (ნუნეს.—მ. ჩ.) შესახებ გავბედავ ვთქვა, რომ მოციქული ქალი გახდა; იქადაგა კლარჯებიდან დაწყებული ალანთა და კასპთა კარით მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც გასწავლის შენ აგათანგელოსი“<sup>2</sup>.

ნუნეს შესახებ ცნობები აგათანგელოსს არა აქვს. ამიტომ სპეციალისტთა ერთმა ნაწილმა აღნიშნული ცნობა ხორენელის მიერ დაშვებულ უზუსტობად მიიჩნია<sup>3</sup>, ნაწილმა კი გაიზიარა მისი სისწორე და დაუკავშირა იგი აგათანგელოსის ჩვენამდე მოღწეველ რედაქციას, რომელშიც, მათი მითითებით, მართლაც უნდა ყოფილიყო შესაბამისი ცნობები<sup>4</sup>. ბოლო ხანებში სომეხი მკვლევარი ა. ტერ-ლევონდიანი ამ უკანასკნელი ვარაუდის განმტკიცებას ახლად აღმოჩენილი მასალებით შეეცადა. კერძოდ, მან მიუთითა, რომ აგათანგელოსის ციკლის გარკვეულ თხზულებებში არის ცნობა ქართველთა ქრისტიანიზაციასთან დაკავშირებით. ეს კი, მკვლევრის აზრით, აჩვენებს ხორენელის მითითების სიზუსტეს, იმას, რომ ჩვენამდე მოღწეული სომხური აგათანგელოსის გარდა ხორენელი თხზულების სხვა, უფრო ძველი, რედაქციითაც სარგებლობდა<sup>5</sup>.

ნაგრამ მოტანილი ორი თვალსაზრისიდან არცერთი არაა დამაჯერებელი: აუხსნელია, რატომ უნდა ჩაედინა ხორენელს ამ შემთხვევაში სიყალბე<sup>6</sup>, რატომ უნდა მიეთითებინა აგათანგელოსი და არა ის წყარო, რომელიც ნამდვილად გამოიყენა. არაა გამართლებული აგათანგელოსის მოღწეველ რედაქციაზე დამყარებაც: აგათანგელოსის არცერთ ჩვენამდე მოღწეულ რედაქციაში (მათი რიცხვი კი დიდია) არ არის ნუნეს ხსენებაც კი, არათუ მისი საპისიონერო მოღვაწეობის აღწერა. ცნობა, რომელიც მხედველობაში აქვს ა. ტერ-ლევონდიანს,

შეეხება არა ნუნეს მიერ ქართველთა მოქცევას; არამედ გრიგოლის მიერ სამღვდლო პირის გაგზავნას ქართლში კვემოთ, სათანადო კვლევის საფუძველზე, ნაჩვენები იქნება, რომ ეს ცნობა სულაც არ მიუთითებს ქართველთა მოქცევას გრიგოლისაგან. ყოველგვარი ძეგლის გარეშე კი აშკარაა, რომ ეს ცნობა არ შეიძლება იყოს წყარო ნუნეს მიერ ქართველთა მოქცევის შესახებ ხორენელისეული თხრობისა.

აგათანგელოსთან ნუნეს შესახებ თხრობის ძებნა არც არის მართებული. ხორენელი არ უთითებს, რომ აგათანგელოსი წყაროა მთელი მნ-ე თავისათვის: მას შემდეგ, რაც უკვე ყველაფერი აქვს ნათქვამი ქართველთა განმანათლებლის შესახებ, ისტორიკოსი იძლევა მისი მოღვაწეობის შეფასებას, უწოდებს მას მოციქულ ქალს. ამ შეფასების წყაროდ იგი უთითებს საკუთარ დაკვირვებას („გავბედავ ვთქვა“). შეფასების შემდეგ მოცემული აქვს ნუნეს მოღვაწეობის არეალი, რომელიც განსაზღვრულია ოთხი პუნქტით (კლარჯეთი, ალანთა და კასპთა კარი, მასქუთთა საზღვრები) და რომელიც მთავრდება მითითებით ახალ წყაროზე—აგათანგელოსზე. აშკარაა, რომ ხორენელი აგათანგელოსს მიაწერს მხოლოდ ცნობას ნუნეს სამოქმედო ასპარეზის შესახებ.

არის კი აგათანგელოსი ამ ცნობის წყარო? მკვლევრები მოსე ხორენელის აღნიშნულ ცნობას უკავშირებენ აგათანგელოსის თხზულების იმ ადგილს, სადაც გრიგოლ განმანათლებლის მოღვაწეობის არეალია განსაზღვრული: გრიგოლმა იქადაგა „...*ქ საათაჟაყულიჲ დაჟაჟჲ მქნჯჲ ათი აჯი... რანს შაგოსსაჟ. მქნჯჲ ათი ლაჟარჯიჲ, მქნჯჲ ქ აყათი ქ საამანსა შააქქსაჟ, მქნჯჲ ქ ირიონა სკანასაჟ. მქნჯჲ ქ საამანს ლაჟარჯიჲ, ქ შაქოსკარანს დაჟაჟჲ არქაქიქხანს ჯაქიჲ*“.<sup>7</sup>—გრიგოლმა იქადაგა „ქალაქ სატალიდან ზალთა ქვეყანამდე, კლარჯებამდე, მასქუთთა საზღვრების ბოლომდე, ალანთა კარამდე, კასპთა საზღვრებამდე, სომეხთა სამეფო ქალაქ ფაიტაკარანში“...<sup>8</sup>

მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ აქ განსაზღვრული გრიგოლის სამოღვაწეო ასპარეზის ანალოგიური ტერიტორია მოუხაზა ნუნეს ხორენელმა<sup>9</sup>.

ამ ორ ცნობას შორის მართლაც არის მსგავსება. კერძოდ, აგათანგელოსს მოხმობილი აქვს გრიგოლის ქადაგების გავრცელების საზღვრების საჩვენებლად სხვებთან ერთად ის ოთხი პუნქტიც, რომლებიც ნუნეს სამოქმედო ასპარეზის მოსახაზად გამოუყენებია ხორენელს: კლარჯთა, ალანთა, კასპთა, მასქუთთა საზღვრები. მაგრამ ტექსტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გრიგოლისა და ნუნეს ქადაგების ტერიტორია, მიუხედავად ამ რამდენიმე ერთი და იგივე განმსაზღვრელი პუნქტისა, ერთმანეთს არ ემთხვევა.



აგათანგელოსის მიხედვით, გრიგოლმა იქადაგა კლარჯებამდე ტერიტორიაზე (*„მჩხე საი ყაფარეც“*),<sup>1</sup> ხოლო ნუნეს, ხორენელის მიხედვით, თავისი მოღვაწეობა სწორედ კლარჯებით დაუწყო (*„ჩი ყაფარეცჲ ასახაჲ“*). აგათანგელოსის მითითებით, გრიგოლს უმოღვაწეობა მთელ მასქუთეთში (*„მჩხე ჩი საყაი ჩი საამანაი შააქმანე“* „მასქუთთა საზღვრებრს ბოლომდე“), ხოლო ხორენელით, ნუნეს მასქუთებამდე უქადაგა მხოლოდ (*„მჩხე ჩი საამანაი შააქმანე“* — „მასქუთთა საზღვრებამდე“). აგათანგელოსის მითითებით, გრიგოლის მოღვაწეობა ალანთა და კასპთა სამყოფელში არ გავრცელებულა, მას ალანთა კარამდე და კასპთა საზღვრებამდე ტერიტორიები დაუმოდგრავს (*„მჩხე ჩი გრიონაი სკანანე მჩხე ჩი საამანაი ყააყიჲ ალანთა კარამდე, კასპთა საზღვრებამდე“*). ხოლო ნუნეს, ხორენელით, კლარჯეთიდან მასქუთებამდე არეალი მოუქცევია ალანთა და კასპთა კარის დამატებით (*„საი გრამეც სკანანე სი ყააყიჲ“* — „ალანთა და კასპთა კარით“).

თუ ამ ცნობების გეოგრაფიულ შინაარსს ჩაუთვლირდებით, დავინახავთ იგივეს, კერძოდ იმას, რომ აგათანგელოსი და ხორენელი ერთსა და იმავე არეალზე არ საუბრობენ. გრიგოლის სამისიონერო გზა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ერთკემის ნუნეს მიერ დამოდგრილ ადგილებს. გრიგოლი იწყებს საქმრეთიდან (ქ. სატალა), მერე გეზს ნელ-ნელა იღებს აღმოსავლეთისაკენ (ხალდიამდე, კლარჯეთამდე, მასქუთთა ბოლომდე), აღის ჩრდილოეთით (ალანთა კარამდე), ბრუნდება ისევ სამხრეთით (კასპთა საზღვრებამდე და ქ. ფაიტაკარანში).

ამგვარად, ხორენელი ნუნესათვის სრულიად სხვა სამოქმედო ასპარეზს მოხაზავს, ვიდრე გრიგოლისათვის აქვს მოცემული აგათანგელოსს. და ეს სრულიად ბუნებრივია. გაუგებარი იქნებოდა, რომ ხორენელს ქართველთა განმანათლებლისათვის იმ ტერიტორიების დამოდგრა მიეწერა, რომლებიც ძველი სომხური ისტორიოგრაფიული ტრადიციით, გრიგოლის წილხვედრად ითვლებოდა.

მაგრამ ამასთან არ შეიძლება უარყოფოთ, რომ მსგავსებაც არის აგათანგელოსისა და ხორენელის აღნიშნულ ცნობებში: რამდენი სხვა პუნქტით შეიძლებოდა ნუნეს სამოქმედო ასპარეზის განსაზღვრა, ხორენელმა კი სწორედ აგათანგელოსის მიერ შერჩეული პუნქტები მოიშველია. თანაც არ შეიძლება საერთოდ არ ვილოთ ყურად, რომ ხორენელი ამ ფრაზის წყაროდ აგათანგელოსს ასახელებს.

თუ დავუკვირდებით გრიგოლის მარშრუტს, დავინახავთ, რომ იგი ქმნის გარკვეულ მრუდს, რომელიც წარმოადგენს ქართული ტე-

რიტორიების სასაზღვრო კონტურს. აგათანგელოსის ცნობის მიხედვით, გრიგოლს გვერდი აუვლია ზუსტად ქართული მიწებისათვის. ამიტომ ხორენელმა, რომელმაც რომელიღაც წყაროდან იცოდა, რომ ქართველთა განმანათლებელი ნუნე იყო, ჩათვალა, რომ გრიგოლის სამისიონერო გზის ამგვარი განსაზღვრით, აგათანგელოზი მიუთითებდა — ქართული მიწები მოაქცია ნუნემ. ეს აზრი დევს აგათანგელოსის განხილულ ცნობაში. ამგვარად, 86-ე თავის ბოლო წინადადება მართლაც დამოკიდებულია აგათანგელოსზე, მაგრამ აგათანგელოსი არის მისი არა პირდაპირი, არამედ ირიბი წყარო. სწორედ ამიტომ ამდენი ხნის განმავლობაში არ ხერხდებოდა მისთვის ზუსტი მისამართის დაძებნა.

მაგრამ რომელია განსახილველი თავის ძირითადი წყარო, ძეგლი, რომლიდანაც ნუნეს მიერ ქართველთა მოქცევის შესახებ ცნობები ამოიღო მოსე ხორენელმა?

სავარაუდო წყაროებს შორის ასახელებენ V ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის სოკრატე სქოლასტიკოსის „საეკლესიო ისტორიის“ ძველ სომხურ თარგმანს<sup>10</sup>. ამ თხზულების მე-20 თავში მოთხრობილია ქართველთა გაქრისტიანების შესახებ და ამიტომაც სპეციალისტთა ერთმა ნაწილმა იგი მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ II წიგნის 86-ე თავის წყაროდ მიიჩნია<sup>11</sup>. მაგრამ ეს თვალსაზრისი არ არის სწორი. ამის საფუძველს იძლევა ხორენელისა და სოკრატეს თხზულებების შესაბამისი ადგილების შედარება<sup>12</sup>:

ა) „ერთი თავის ცხოვრებით სათნო და უმანკო ქალი, რალაც ღვთის განგებით, იბერთა მიერ იქნა დატყვევებული“, — ასე იწყებს ქართველთა განმანათლებლის შესახებ თხრობას სოკრატე<sup>13</sup>. ხორენელის მიხედვით კი, ნუნემ თვით მიაღწია ქართველთა მთავარ ქალაქ მცხეთას.

ბ) სოკრატეს არც ამ ქალაქის ხსენება და არც, რალა თქმა უნდა, მისი სახელი აქვს მოცემული. არ იცის მან ასევე ქართველთა მეფის, ქართველთა მთავარი კერპის სახელებიც. ხორენელი კი გვამცნობს ამ დეტალებს: მწხითა, მიჰრანი, არამაზდა.

გ) ხორენელის მიხედვით, ქართველთა განმანათლებელი რიფსიმეანია, რაც არ იცის სომხურმა სოკრატემ.

დ) ხორენელი თავის თხრობაში დიდ ადგილს უთმობს ჯვრის აღმართვაზე საუბარს კერპების დამხობის შემდგომ. ასეთი ცნობა არა გვაქვს აღნიშნულ თარგმანში.

ე) ხორენელის მითითებით, ნუნემ ქართველთა სხვა მხარეებიც გააქრისტიანა. ამის შესახებ დღემს სოკრატეს მთარგმნელი.

ვ) როცა ნადირობისას მიჰრანს ჩამოუბნენლდა, ხორენელის სიტყვით, იგი „თავზარდაცემული მოჰყვა ლოცვა-ვედრებას, რათა ღის-

ლი გაფანტულიყო და შინ მშვიდობით მისულიყო. [სამაგიეროდ], იგი პირობას დებდა, რომ თავყვანს სცემდა ნუნეს ღმერთს<sup>14</sup>. სოკრატესთან მეფის პირობის შესახებ არაფერია ნათქვამი: „ბოლოს მოაგონდა იმ ტყვე-ქალის ღმერთი და მოუხმო მას დასახმარებლად“<sup>15</sup>.

ზ) ხორენელის მიხედვით, ქართველთა განმანათლებელს მეფემ ქრისტეს შესახებ ნადირობამდე ჰკითხა, სოკრატეთი — ნადირობის შემდეგ.

ამგვარად, შედარების შედეგად ირკვევა, რომ ხორენელის თხრობა შეიცავს ჯერ ერთი, მეტ ფაქტობრივ ინფორმაციას, რომლის საფუძველი არაფრით არ შეიძლება იყოს სოკრატეს მონაცემები ხორენელის დიდი შემოქმედებითი უნარისა და ფანტაზიის მიუხედავად. ამასთან ამ ორი ავტორის ჩვენებები ზოგჯერ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამით აშკარა ხდება, რომ სოკრატეს „საეკლესიო ისტორია“ (არც ორიგინალი და არც თარგმანი — ე. წ. „დიდი სოკრატე“) არ შეიძლება ხორენელის წყაროდ მივიჩნიოთ ქართველთა მოქცევის შესახებ თხრობისას.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, მოსე ხორენელის აღნიშნული თავისათვის წყარო არის არა ე. წ. „დიდი სოკრატე“ — სოკრატე სქოლასტიკოსის „საეკლესიო ისტორიის“ ზუსტი სომხური თარგმანი, არამედ ამ ნაწარმოების თავისუფალი თარგმანი სომხურად, რეტერპოლირებული სოკრატე ანუ ე. წ. „მცირე სოკრატე“.

მაგრამ ორად-ორი ფაქტი, რომელიც „დიდი სოკრატესაგან“ განსხვავებით და ხორენელის მსგავსად აქვს „მცირე სოკრატეს“, არის ცნობა ნუნის (ასე უწოდებს მთარგმნელი ქართველთა განმანათლებელს) რიფსიმეანობის და ჯვრის აღმართვის შესახებ. არცერთი სხვა დეტალი, თვით კერპების დამხობა, რომელიც უკავშირდება ჯვრის აღმართვის ეპიზოდს, მთარგმნელს მოტანილი არა აქვს.

ა. კარიერის მითითებით, ხორენელია და „მცირე სოკრატეს“ სიახლოვეზე, კერძოდ იმაზე, რომ მოსემ ამ უკანასკნელით ისარგებლა, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მეტყველებს ჯვრის აღმართვის ეპიზოდი.

შევადაროთ ორივე ავტორის მონათხრობი. ხორენელი: „ქალაქის დიდებულები აღსდგნენ ნუნეს წინააღმდეგ, რამეთუ აღარ უწყოდნენ, კერპთა ნაცვლად თავყვანი ვისთვის ეკათ. [ნუნემ] მიუთითა მათ ქრისტეს ჯვრის გამოსახულებაზე. მაშინ შექმნეს და აღმართეს ჯვარი შესაფერ ბორცვზე ქალაქის აღმოსავლეთით, რომელსაც მისგან შედარებით პატარა მდინარე გამოჰყოფდა. განთიადისას, თითოეული სახლის სახურავიდან კვლავინდებურად ყველამ თავყვანი სცა მას. მაგრამ როცა ბორცვზე ასულებმა დაინახეს გათლილი ზე და არა ოსტატთა ნახელავი, უმრავლესობამ არაფრად ჩააგდო ის და თქვეს, რომ

ასეთებით სავსეა მათი ტყეები. ისინი გაეცალნენ იქაურობას. სახიერ-  
მა ღმერთმა, იხილა რა მათი ცდომილება, ცით მოავლინა ღრუბლის-  
სვეტი; მაშინ საამო სურნელებით აივსო მთა, მოისმოდა მრავალრი-  
ცხოვან ფსალმუნის მგალობელთა მეტად ტკბილი ხმა, ამობრწყინდა  
სხივი, იმ ხის ჭვრის მსგავსი, იგივე ზომისა და მოყვანილობისა, რო-  
მელიც აღმართა მის თავზე თორმეტი ვარსკვლავითურთ. ამის დანა-  
ხვაზე ყველანი მოიქცნენ სარწმუნოებაზე და თავყვანი სცეს ჭვარს,  
რომელიც ამის შემდეგ სასწაულებრივად კურნავდა: კიდეც<sup>17</sup>.

„მცირე სოკრატე“: „... და ბრძანებდა, საღმე აღმართათ  
ნიში ქრისტეს ჭვრისა. და რადგან ხელოვნის ნამუშევარი არ იყო ჭვა-  
რი, მრავალთაგან აბუჩად იქნა აგდებული. ხოლო იმ წმინდა დედა-  
კაცმა ლოცვაში გაატარა მთელი ღამე. და მეორე დღეს ის ჭვარი გა-  
შობრწყინდა, რომელმაც აღაფრთოვანა შორეულნიც და ახლონიც:  
და განამტკიცა სარწმუნოებაზე“<sup>18</sup>.

მოტანილი ნაწყვეტები თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ, რომ „მცირე  
სოკრატე“ არაა ხორენელის წყარო. პირველის მწიარ ცნობებზე ვერ  
აღმოცენდებოდა უკანასკნელის გავრცობილი თხრობა<sup>19</sup>. ამასთან ხო-  
რენელის ფრაზა „გავბედავ ვთქვა, რომ მოციქული ქალი გახდა“, გვა-  
ფიქრებინებს, რომ იგი იყო პირველი სომხურ ლიტერატურაში, ვინაც  
ქართველთა განმანათლებელს მოციქული ქალი უწოდა. „მცირე სოკ-  
რატე“ კი ცნობას ნუნეს მოციქულობის შესახებ წარმოგვიდგენს რო-  
გორც უდავო ფაქტს. ეს კი მიუთითებს, რომ ნუნეს მოღვაწეობის  
ამგვარ შეფასებას გარკვეული ტრადიცია ჰქონდა „მცირე სოკრატეს“  
შექმნის დროისათვის სომხურ ლიტერატურაში<sup>20</sup>. აქვე უნდა აღინიშ-  
ნოს, რომ ინტერპოლაციები, რომლებიც გააჩნია „მცირე სოკრატეს“  
„დიდი სოკრატესაგან“ განსხვავებით (ცნობები ქართლის განმანათ-  
ლებლის რიფსიმეანობის, მისი სახელის შესახებ), არაორგანულია მის-  
თვის: „მოქცევა ქართველთა ქრისტეს სჯულზე ღმერთის ზრუნვით.  
რიფსიმეანთა მეგობარი ქალის ნუნის მიერ და ჭვრის აღმართვა“ —  
ასე დაუსათაურებია „მცირე სოკრატეს“ მთარგმნელს ეს თავი<sup>21</sup>. მი-  
უხედავად იმისა, რომ ამგვარად თავიდანვე გავჯარკვია, ვინ იყო ქარ-  
თველთა განმანათლებელი, თხრობას მაინც ასე იწყებს: „ქალი ერთი,  
საუსე სათნოებით...“<sup>22</sup> და მერე მის სახელს აღარც ახსენებს, თი-  
თქონდა უცნობი იყოს.

მკვლევართა ნაწილის აზრით, „მცირე სოკრატე“, პირიქით, თვი-  
თონაა დამოკიდებული ხორენელის თხზულებაზე როგორც წყაროზე<sup>23</sup>.  
ზემოთ ციტირებული ნაწყვეტი (ჭვრის ეპიზოდი) ეწინააღმდეგება  
ამგვარ თვალსაზრისსაც, რადგან საეჭვოა, რომ „მცირე სოკრატეს“  
მთარგმნელს, რომელსაც, როგორც სათაურიც გვიჩვენებს, განსაკუთ-  
რებით ჭვრის აღმართვის ამბები აინტერესებდა, ენახა და არ შეეტანა

თავის ნაშრომში მოსე ხორენელის მომხიბლავი მოთხრობა ჯერის აღმართვის დროს მომხდარი სასწაულის შესახებ, ან ეთქვა „სადმე“, რომ სკოდნოდა ხორენელის მითითება იმის თაობაზე, რომ „აღმართეს ჯვარი შესაფერ ბორცვზე ქალაქის აღმოსავლეთით, რომელსაც მისგან შედარებით პატარა მდინარე გამოჰყოფდა“.

„მცირე სოკრატე“ მიჰყვება „დიდ სოკრატეს“ (ცხადია, მხედველობაში გვაქვს ქართველთა მოქცევის შესახებ თხრობა) და არა ხორენელს. მისი ინტერპოლაციები კი სავესებით თავსდება განათლებული სომეხი მწიგნობრის ზეპირი ცოდნის ფარგლებში: მან ცხადია, იცის რიფსიმეანთა თავგადასავალი და სომხურ მწერლობაში საკმაოდ პოპულარული ნინოს ჯერის „ისტორიაც“ და შესაბამის დანამატებს ურთავს ტექსტს. მათ გარეშე ალბათ აზრიც არ ექნებოდა მის შრომას, გაწეულს სოკრატეს „საეკლესიო ისტორიის“ სომხური თარგმანის რედაქტირებისათვის.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ქართლის მოქცევის შესახებ საუბრისას მოსე ხორენელს ხელთ არ ჰქონია არც ერთი საგარეულო სომხური წყარო, ბუნებრივად დგება საკითხი მნ-ე თავის „ნინოს ცხოვრების“ ადგილობრივ ვერსიასთან ურთიერთმომართების დადგენის შესახებ.) კვლევა ამ მიმართულებით განსაკუთრებით იმედის მომცემად ჩანს მას შემდეგ, რაც ნაჩვენები იქნა, რომ VII ს-ის პირველი ნახევრისათვის „ნინოს ცხოვრების“ ციკლს განვითარების გარკვეული გზა განვლილი აქვს.

ფ. კონიბერის მითითებით, მთელი რიგი დეტალებისა ხორენელის მონათხრობში, რომელიც არ არის არც „დიდი“, არც „მცირე“ სოკრატეში, იძებნება სწორედ ქართულ წყაროებში. მიუხედავად ამისა, მკვლევარი შაინც იმ დასკვნას აკეთებს, რომ ხორენელი აჯათანგელოსით სარგებლობდა<sup>24</sup>. გ. ხალათიანცის აზრით, ზოგიერთი იმ ცნობისათვის, რომელიც „მცირე სოკრატეზე“ შეტი აქვს მოსეს (მაგალითად, ქართველთა მეფის სახელი), იგი სარგებლობს რომელიღაც გვიანდელი ქართული თქმულების ზეპირი ან წერილობითი ვერსიით, რომელთა შემდგომად განვითარებას. ამ მეცნიერის ნითითებით. წარმოადგენს „ქართული ქრონიკა“ ანუ „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი<sup>25</sup>.

ფაქტობრივად, ფ. კონიბერისა და გ. ხალათიანცის მსჯელობათა მიმართულება ლოგიკურად მოითხოვს დასკვნას, რომ მოსე ხორენელი ქართველთა მოქცევის შესახებ საუბრისას სარგებლობდა ადგილობრივი (ე. ი. ქართული) მასალებით, რადგან სწორედ ქართულ წყაროებში არის ყველაფერი ის, რასაც ვხვდებით მოსესთან. თუ მათ ასეთი დასკვნა არ გააკეთეს, ეს იმიტომ, რომ „ნინოს ცხოვრების“ ციკლის შესწავლა მაშინ მხოლოდ იწყებოდა. ამავე დროს არმენო-

ლოგის ურთულესი პრობლემებით გატაცებულებმა ქართულ მასალას სათანადო ყურადღება, ჩანს, ვერ დაუთმეს.

შევუღაროთ მოსე ხორენელის თხრობა ქართლის მოქცევის შესახებ ადგილობრივი ვერსიის ჩვენამდე მოღწეულ რედაქციათა შორის ყველაზე აღრინდლებს — „მოქცევისეულ“ ვრცელ და მცირე „ნინოს ცხოვრებებს“.

ა) *„იქნ იამნ, იანონ სონტ, ენსხრავ სრციე ლიქიქსქმსანე ქ ვრიოსციენ“*<sup>28</sup> („დედაკაცი ერთი, სახელად ნუნე, დაფანტულ წმინდა რიფსიმენათაგანი“) — ასე იწყებს მოსე ხორენელი თავის თხრობას, რაც ძალიან წააგავს ფორმით და შინაარსით კი ემთხვევა მცირე „ცხოვრების“ დასაწყისს: „და მეთათხმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევლდაგი, სახელით რიფსიმე რომლისამე მიზეზისათჳს დედა-მძჳითურთ. და იყო მის თანა ტყუე ერთი დედაკაცი შეენიერი, სახელით ნინო“<sup>21</sup>.

ბ) ხორენელი განაგრძობს: *„...ქაქაასსამაჲ ზაახოაქ კაუქსარან ლრავ ქ შაქსქმაქ, ქ ზიოვ ჟაღაჲნ ზაქაღაჲ“*<sup>28</sup> („მოაღწია ქართველთა ქვეყანას, მათ სატახტო ჭალაქ მცხეთას“). მცირე „ცხოვრებაში“ შესაბამისად ვკითხულობთ: *„...წოვიდა მცხეთად, ჭალაქსა დიდსა, მეფეთა საჯდომელსა“*<sup>29</sup>.

გ) „სომხეთის ისტორიის“ განსახილველ თავში ვხვდებით წინადადებას: *„ლასან ირიქ ზარესაქ ღნა შჩირანაქ, სქქ ირიქ დიროქმხამაჲ აინხა ჟაქა სჳანჯიქსა` იოსაღ დჳარიღიქჩინს მასხარანჩინ ჴრქათი-სჩ.“*<sup>30</sup> („რის [კურნების] სასწაულთა.—მ. ჩ.] გამოც ჰკითხავდა მიპრანი მას [ნუნეს.—მ. ჩ.] თუ ვისი ძალით იქმოდა ამ სასწაულებს. გაიგო, რომ ქრისტეს სახარებით“). შესაბამისი ცნობა აქვს ვრცელ „ნინოს ცხოვრებას“: *„...და მეფეცა იხილავდა მცირე-მცირედ საქმესა მას [კურნების] სასწაულებს.—მ. ჩ.] და ორგულებით ეტყოდა ნინოს: „რომლისა ღმრთისა ძალითა იქმ საქმესა ამას კურნებისასა“?... მიუგო ნეტარჳან ნინო მეფესა და ჰრქუა: „მეფე, შენ უკუნისამდე ცხოვნიდი სახელითა ქრისტესითა და ვედრებითა წმიდისა დედისა მისისაჲთა და მის თანა ყოველთა წმიდათაჲთა. მოავლინენ შენ ზედა ღმერთმან ცისა და ქუეყანისა შემოქმედმან, დამბადებელმან ყოვლისა დაბადებულისამან... და მეცნიერ გყავნ შენ ამას ყოველსა ზედაპიწევნით, რამეთუ ღმერთი არს ცათა შინა და უხილავ არს თავადი იგი ყოვლისაგან დაბადებულისა, თვნიერ მის, რომელ-იგი მისგან გამოვიდა. ესე მოავლინა ქუეყანას ზედა ვითარცა კაცი, რომელმან ყოველივე აღსარულა, რომლისათჳსცა მოსრულ იყო, და აღჯდა მათვე სიმაღლეთა მამისა თანა“...<sup>31</sup>.*

დ) ხორენელის მიხედვით, აღნიშნული კითხვა მიჰრანმა ნუნეს ნადირობამდე დაუსვა. ასევეა ეს ვრცელ „ცხოვრებაშიც“. ამაზე ყურადღებას იმითომ ვამახვილებთ, რომ, როგორც ითქვა, სოკრატეს სომხურ თარგმანებში ანალოგიურ კითხვას მეფე განმანათლებელს მხოლოდ ნადირობის შემდეგ აძლევს. ეს ნათლად აჩვენებს მოსე ხორენელისეული და „ნინოს ცხოვრების“ ადგილობრივი ვერსიის სიახლოვეს, ისევე როგორც მოტანილი სხვა მაგალითაც: მკითხველს ეხსომება, რომ არც „მცირე“ და არც „დიდ“ სოკრატეში იბერთა მთავარი ქალაქი არ იხსენიება.

ე) ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“ ნადირობის ეპიზოდი იწყება ასე: „და იყო დღესა ერთსა, უამსა ზაფხულისასა, თუესა იელისსა :კ: დღესა შაფათსა, აღჯდა მეფე და განვიდა ნადირობად“<sup>32</sup>. ეს დასაწყისი ძალიან გვაგონებს შესაბამისი ეპიზოდის დასაწყისს ხორენელის თხრობაში: „*ნღ სჲს ღნჲ ასორან ღნჲ აქნორიქ სქანხქ შჩირანაჲ კირა*“<sup>33</sup> ...მოტანილი სომხური ტექსტი ხაზგასმული ქართული ტექსტის ზუსტი ასლია, იმ განსხვავებით, რომ „მეფის“ მაგიერ ხორენელს აქვს „მიპრანი“.

ვ) გარდა იმისა, რომ მოსე ხორენელის მიერ გადმოცემული ნადირობის ეპიზოდი შინაარსობრივად ემთხვევა ქართული წყაროს მონაცემებს, სიახლოვის შესახებ მიუთითებს შემდეგი ფრაზაც: „*ნღ სჲს კიღიღ მსბას აყაჯარქაჲ, სჩირხაჲ აგიქჩან ლოსაორიქ იგიჲს სჲანაჲ საჲაჲიქიქხამჲ, აყაჯთხჲ ოქსთილადნ სოხჲ სიოთანაჲ*“<sup>34</sup> („შიშით გარემოცული ლოცვით შესთხოვდა ნისლის განათებას და მშვიდობით დაბრუნებას ნუნეს ღმერთს და მსახურებას პირდებოდა“). შდრ. ვრცელი „ცხოვრება“: „და იარებოდა მათათა ზედა და მადნართა შინა შეშინებული და შეძრწუნებული... და თქუა: „ღმერთო ნინოსო, განმინათლე ბნელი ესე და მიჩუენე საყოფელი ჩემი და აღვიარო სახელი შენი, და აღვჰმართო ძელი ჭუარისა შენისა და თაყუანისესე მას...“<sup>35</sup>.

ა) მოსე ხორენელი ხაზს უსვამს ნუნეს სადა ჩაცმულობას: „...*ღიქიოქ ანაყანოღნაჲარ ს აოანჲ ასხიორყაჲ*“...<sup>36</sup> („დადიოდა [ნუნე.— მ.ჩ.] შეუმკობლად, ზედმეტობათა გარეშე“). შესაბამისად ვრცელ „ცხოვრებაში“ ნათქვამია: „რამეთუ ჰხედვიდა ყოველი კაცი პირსა ნინოესსა ვითარცა ზეცისა ანგელოზისასა, დასცუეთდეს მცირესა-მას და ძუელსა სამოსელსა მისსა მთხუევითა სარწმუნოვებით და იძულებით“<sup>37</sup>. ხორენელს ქართული რედაქციის ფრაზის „ვითარცა ზეცისა ანგელოზისასა“ შესატყვისიც აქვს: „...*ასთარაჲხაჲ ქაქსარჯჲ ს ირიჲ ამა*“ (გაუუცხოვდა სააქაოს და სააქაო [გაუუცხოვდა] მას)<sup>38</sup>.

თ) ხორენელი გვაძეცნობს, რომ ნუნემ ქართველთა სხვა კუთხე-  
ებიც დაიმოწაფა: „*ჩასკ ხერახსიქს ზიონტ სკ ყნაფ ანთი აჯასკირთსკ  
ჲ დაქა სს დაღათი ჴრავ*“<sup>30</sup> („ხოლო იქიდან ნეტარი ნუნე წავიდა  
ქართველთა სხვა კუთხეების დასამოწაფებლად“). შესაბამისი ცნობა  
აქვს მხოლოდ ადგილობრივ ვერსიას. ესაა თხრობა შთიელთა  
მოქცევის შესახებ<sup>40</sup>.

ი) მოსეს კერპების დამხობა მეფის მოქცევის შემდგომ მოვლენ-  
ად წარმოუდგენია. ასეა ეს შატბერდულ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“  
შემონახულ საკითხავში „აღმართებაჲ პატიოსნისა ჭუარისა მცხეთი-  
საჲ და შერმე კუალად გამოჩინებაჲ“: „და ვითარცა აღმართა ნიში  
ჭუარისაჲ (ჭვარი კი, ამ საკითხავით, მოქცევის შემდეგ აღმართეს. —  
მ. ჩ.) ქუეყანასა მას ქართლისასა, მეყსეულად მახ უამსა დაეცნეს ყო-  
ველნი კერპნი“<sup>41</sup>.

კ) პატიოსანი ჯვრის „საკითხავთან“ სიახლოვეს ავლენს ხორენე-  
ლის მონათხრობის შემდეგი ადგილიც: „*აიღახავს ქრისტიე აქსნ სამაიქ,  
ჲ ცვალ ქხაიან რიღამამ ანილიქსხანს ჲ ბაქს რაღამქხანს საი-  
მიხრეღავს ცხიქ ხელ დაფერ ქიქ, ჲ ბაფხავს ქიქ თაყალიქხთამ  
ქაჯი, ესთ ბიქ ჲ ჯაქიქ იქათხეჩხსჩს. ჲ კაქიქ ქ ქსრქ ზირა ჲან-  
ღებდ ხრქითასანს აითხეღ, ქორ ამსხხვიანს ჲალათავხსაქ ხრქიყაყხ-  
ვჩს ზამა: ს. ქაქამ ჲსთქ დალიქსჩს. დაღათავხსაქ ხრქიყაყხვჩს  
ზამა: ს. ქაქამ ჲსთქ დალიქსჩს. დაღათავხსაქ ხრქიყაყხვჩს  
ზამა: ს. ქაქამ ჲსთქ დალიქსჩს. დაღათავხსაქ ხრქიყაყხვჩს*“<sup>42</sup>  
(„გამოგზავნა [ღმერთმა. — მ. ჩ.] ციდან ღრუბლის სვეტი და აივსო  
მთა სურნელებით და ისმოდა მრავალ მეფესალმუნეთა ძალიან ტკბი-  
ლი ხმა და ამობრწყინდა ჯვრის გამოსასულების სხივი ხის ჯვრის  
ფორმისა და ზომის, რომელიც დაადგა მას [ხის ჯვარს. — მ. ჩ.] თორ-  
მეტი ვარსკვლავითურთ, ვველამ ირწმუნა და თაყვანი სცეს მას. და  
ამიერიდან ძალი კურნებისა აღსრულდებოდა მისგან“). შდრ. „საკითხა-  
ვი“: „აჲა ესერა სუეტი ნათლისაჲ სახედ ჭუარისა და ზედა ჭუარსა  
მას და ათორმეტნი ანგელოზნი დაგვრგვნებულ იყვნეს გარემოჲს მი-  
სა, ეგრევე სახედ ათორმეტი ვარსკულავნი დაგვრგვნებულ იყვნეს.  
ხოლო ბორცვ იგი ჭუარისა ერთ-სახედ კუმოდა სულნელად. და ვითარ  
ჰხედვიდეს სასწაულსა მას, მრავალნი უღმრთოთაგანნი მოიქცეოდეს  
და ნათელს-იღებდეს... და კმანი დიდნი ისმოდეს. და ყოველი იგი ერი  
ჰხედვიდა მას და ესმოდა თხრად იგი გალობისა...“ აქვეა ცნობები  
ჯვრის მიერ ქმნილ კურნებათა შესახებ: „მრავალნი სნეულნი პირად-  
პირადითა სენითა მოვლენედ ვედრებად პატიოსნისა ჭუარისა და გა-  
ნიკურნებედ ვიდრე დღევანდელად. დღემდე“<sup>43</sup>.

ლ) აღნიშნულ საკითხავში ჯვრის აღმართვის ადგილის შესახებ  
შემდეგია ნათქვამი: „ვითარცა შემწუხრდა, მას დამესა ჩუენებით



დაადგრა ანგელოზი უფლისაჲ მირეან მეფესა და უჩუენა მას ბორცვ ერთი არაგუსა წიად კერძო, მახლობელად მცხეთასა... აღიღეს ჭუარი იგი და აღმართეს ბორცუსა მას ზედა მძღმ ნიშნი ჭუარისაჲ მცხეთასა მახლობელად, მართლ წინაშე, აღმოსავალით<sup>44</sup>. ასეთივე მითითებით გვიხსნის ჯვრის აღმართვის ადგილს ხორენელიც: „მაშინ შექმნეს და აღმართეს ჯვარი შესაფერ ბორცვზე ქალაქის აღმოსავლეთით, რომელსაც მისგან შედარებით პატარა მდინარე გამოჰყოფდა“.

მოტანილი მაგალითები აშკარად აჩვენებენ გენეტურ კავშირს მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ II წიგნის 86-ე თავსა და „ნინოს ცხოვრების“ ადგილობრივ რედაქციებს შორის. ამასთან პრიორიტეტი ამ უკანასკნელთ ეკუთვნით. უპირველესად იმიტომ, რომ ადგილობრივი რედაქციების ცნობები სრულია, ხორენელის კი შემოკლებული. ამასთან, როგორც გამოიჩვენა, მოსე ხორენელის თხრობა სიახლოვეს იჩენს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სხვადასხვა ნაწილთან<sup>45</sup>. ე.ი. შეიძლება ვთქვათ, რომ ხორენელი უკავშირდება არა ზოგადად „ნინოს ცხოვრების“ ადგილობრივ ვერსიას, არამედ კონკრეტულად „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტიპის ძეგლს. ეს უკანასკნელი კი, როგორც ითქვა, რთულია თავისი შედგენილობით, მისი ნაწილები ეკუთვნის სხვადასხვა ავტორს. გამორიცხულია, რომ თითოეულს მიემართა ხორენელის ნაშრომისათვის და ცალკეული ფაქტები ანოელო მისგან. უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ხორენელმა შეამოკლა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“. ესეც რომ არა, რატომაა უფრო დამაჯერებელი ვაბტკიცოთ, რომ საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვან მოვლენის შესახებ ქართველმა ავტორებმა გაიგეს სომეხი ისტორიკოსისაგან? პირიქით, სწორედ მას შემდეგ, რაც ნუნეს რიფსიმეანობას ამოიკითხავდა და თავისთვის საინტერესო სხვა ფაქტებსაც იპოვიდა ქართულ თხზულებაში, სომეხი ისტორიკოსი საჭიროდ ჩათვლიდა ქართველთა მოქცევის შესახებ საუბარს ნაშრომში, რომლის მიზანი სრულებითაც არ იყო ისტორია ეთხზა ქართველებისათვის. ამგვარად, ლოგიკური არგუმენტებიც იმასვე გვეუბნებიან, რასაც ფაქტობრივი.

ქართლის მოქცევის შესახებ ხორენელისეული თხრობის და „ნინოს ცხოვრების“ ციკლის გენეტიკური კავშირის შესახებ აზრს არ ეწინააღმდეგება ხორენელის ის ცნობაც, რომლის მიხედვით ქართველთა მოქცევის შემდეგ ნუნემ სანდო ხალხი გაგზავნა გრიგოლთან და თხოვა მიეთითებინა. თუ რა ექნა მომავალში. არათუ „მოქცევაჲ ქართლისაჲსი“ წარმოდგენილ „ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში. არამედ ამ ციკლის არცერთ სხვა რგოლში არ არის ასეთი ცნობა. „ქართველ მოციქულთა სომხეთში გაგზავნა ნინოს და რიფსიმეს მეგობრობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. იმ მწერალს, რომელმაც იცოდა თქმულება იმის შესახებ, რომ წა ქალწულნი ამხანაგები იყვნენ,

ადვილად შეეძლო წარმოედგინა, რომ ნინოს სასიხარულო ამბავი პირველად უნდა შეეტყობინებინა გრიგოლისათვის, რომლის ცხოვრებას და მოღვაწეობას რიფსიმესთან მკიდრო კავშირი აქვს“, — ასე ხსნიდა ამ მოვლენას, ვფიქრობთ, სრულიად მართებულად, ივ. ჭავჭავიძე<sup>16</sup>. აშკარაა, რომ ამ ტიპის მონაცემები დაბრკოლება ვერ იქნება გენეტური ურთიერთობის განსაზღვრის დროს.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ნინოს ცხოვრების“ სომხური ვერსიის ამოსავალია ადგილობრივი ვერსია, კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტიპის ძეგლი. შესაბამისად, ზემოთ გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ VII ს. შუა ხანები „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შექმნის კი არა, არამედ მისი ერთ-ერთი რედაქტირების დროა, მტკიცე საფუძველს იძენს V საუკუნის მიწურულისათვის აღნიშნულ ძეგლის არსებობა ფაქტია.

## თავი მესამე

### „ნინოს ცხოვრების“ ბიზანტიური ვერსია

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „ნინოს ცხოვრების“ თავისებური ვერსია შემოგვინახა ბიზანტიურმა მწერლობამ. გელასი კესარიელი და რუფინუსი აღნიშნავენ, რომ იბერებში ქრისტიანობის გავრცელების ისტორია მათ ბაკურისაგან შეიტყუეს „ეს ჩვენ გვიამბოფრიად სარწმუნო ბაკურიმ, კაცმა ფრიად ღვთის-მოშიშმა, მეფის შთამომავალმა და იბერთა შორის სახელოვანმა, რომელიც გახდა რომაელთა სატრაპი და აწარმოვა ომი ზარბაროს საკინოზთა წინააღმდეგ პალესტინის მწვერვალებზე და სათზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა“ (გელასი)<sup>1</sup>; „რომ ყველაფერი ასე მოხდა, ჩვენ გვიამბოფრიად სარწმუნო კაცმა ბაკურიმ, თვით ამ ხალხის მეფემ, რომელიც ჩვენში იყო დომესტიკთა კომსი (იგი უალრესად ზრუნავდა როგორც მორწმუნეობაზე, ისე ქეშმარიტებაზე), როდესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა სრულის ერთსულოვნებით იერუსალიმში. მაშინ ის იყო პალესტინის საზღვრების სარდალი“ (რუფინუსი)<sup>2</sup>.

„ნინოს ცხოვრების“ ბიზანტიური ვერსიის ანალიზისათვის უთუოდ მნიშვნელობა აქვს ბაკურის პიროვნების ნათლად წარმოდგენას. ამიტომ ქვემოთ შევჩერდებით მასზე დაწვრილებით.

ორივე ისტორიკოსის მიერ ერთი და იმავე ინფორმატორის დასახელება, ზოგი მკვლევრის აზრით, იძლევა საფუძველს ერთ-ერთი მათგანის ინფორმაციის მეორესაგან დამოკიდებულების მტკიცებისათვის<sup>3</sup>. მაგრამ ამ საკითხის ასე დაყენება არ უნდა იყოს სწორი, რადგან, გელასისთან ერთად, ბუნებრივია, რომ „ბაკური რუფინოსსაც იცნობდა პირადად, ვინაიდან მის დროს ცხოვრობდა პალესტინაში და იბერთა მოქცევის ამბავი მასაც უამბო“<sup>4</sup>. ეს დრო კი არის IV ს. 70—90-იანი წლები. გელასი დაახლოებით 390 წელს იყო პალესტინის კესარიის ეპისკოპოსად, გარდაიცვალა 395 წელს; რუფინუსი კი იერუსალიმს, სადაც იმყოფება 70-იანი წლებიდან, ტოვებს 397 წელს.

IV ს. 70—90-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით სარდალ ბაკურის შესახებ ცნობები სხვა არაერთ ბიზანტიელ ისტორიკოსთან გვხვდება. მაგალითად, 378 წელს მომხდარ ადრიანოპოლის ბრძოლას-

თან დაკავშირებით მას ახსენებს IV ს. ისტორიკოსი ამიანე მარცელინი: „...მშვილდოსნები და ფაროსნები, რომელთაც ვინმე იბერიელი ბაქური სარდლობდა და კასიონი ფიცხი იერიშით უფრო თავშეუკავებლად გაიქრნენ წინ“<sup>5</sup>.

394 წელს ევგენიოს ტირანის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების მონაწილედ ბაქურს აღნიშნავენ ზოსიმე (V ს.) და გიორგი ამარტოლი (IX ს.). „მასთან ერთად მოკავშირეებად მყოფ ბარბაროსთა მეთაურად დააყენა (თეოდოსი მეფემ. — მ. ჩ.) გაინა და საული, მათი გამგებლობის მოზიარე იყო აგრეთვე ბაქური... კაცი უცხო ყოველგვარი სიბოროტისათვის და ამავე დროს გაწვრთნილი საომარ საქმეებში... სარდალთა შორის უმაჰაცესი ბაქური ყველა თავისიანზე უფრო წინ იბრძოდა...“ (ზოსიმე)<sup>6</sup>. „სარდლები საბრძოლველად გამხნვედნენ, განსაკუთრებით კი ბაქური, კაცი ყოველად ღირსეული როგორც რწმენით და სათნოებით, ისე სულიერი და ხორციელი სიკეთით: ვინც კი მის ახლოს მოხვდებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრებით, ზოგს კიდევ მახვილითაც. მან გაარღვია მტრის წყებანი, რომლებიც მკიდროდ იყვნენ შეერთებული და შეკრული, დამარცხებული ჯარის შუაში წყებები გასწი-გამოსწია, გვამების გორაკებს აუხვია და თვით ტირანთან მივიდა“ (გიორგი ამარტოლი)<sup>7</sup>.

ამიანე მარცელინის, ზოსიმეს, გიორგი ამარტოლის მიერ მოხსენიებული პიროვნებაც გელასი კესარიელისა და რუფინუსის „ფრიად სარწმუნო ბაქურივით“ პარამონიულა, სულიერი და ხორციელი სიკეთით ერთნაირად გამოჩეული. იგი იმავე რეგიონსა და ქრონოლოგიურ პერიოდში მოქმედებს. ამიტომ ექვს არ იწვევს, რომ ყველა შემთხვევაში ერთსა და იმავე პირთან გვაქვს საქმე. დაბრკოლებად ვერ ჩაითვლება ზოსიმეს ცნობა იმის შესახებ, რომ ბაქურს „გვარტომობა არმენიიდან ჰქონდა“. უცხოელი ისტორიკოსის მიერ ასეთი აღრევა გასაკვირი არაა.

ამგვარად, დასახელებულ ისტორიკოსთა ცნობების საშუალებით „ფრიად სარწმუნო ბაქურის“ ბიოგრაფიის ფურცლები საინტერესოდ ივსება, მათი საშუალებით ჩვენი წარმოდგენა ბაქურის მიერ ბიზანტიაში გატარებული წლების შესახებ კონკრეტდება. ამავე დროს ჩვენ თვალწინ წარმოჩნდება მისი მოქნიბლავი პორტრეტი: სიმამაცის, ზიზაუქის, სიფიცხის შეხამება სათნოებასთან და ღვთისმოსიშობასთან, უნარი ღირსეულად ეჭიროს თავი უცხოელთა შორის და იწვევდეს მათ აღფრთოვანებას.

ეს პორტრეტი კიდევ უფრო მეტ სიმპათიას აღგვიძრავს, თუ მას დაეუმატებთ ისეთ შტრიხს, როგორცაა ბაქურის ურთიერთობა ცნობილ მოაზროვნე ლიბანიოსთან (314—393 წწ.) „ლიბანიოსის აღგილი და მნიშვნელობა ირკვევა მისი ფილოსოფიური როლით ნეოპლა-

ტონიკოსების სირიულ სკოლაში. ანტიოქიიდან შთამომავალი ლიბანიოსი განათლებას იღებს თავის სამშობლო ქალაქსა, და, აგრეთვე, ათენში. მას შემდეგ მას ფილოსოფიური სკოლის სათავეში ვხედავთ როგორც კონსტანტინეპოლში, ისე ნიკომედიაში, ვიდრე, დასასრულ, ის არ დაშკვიდრდა თავის სამშობლო ქალაქ ანტიოქიაში... ლიბანიოსის მოწაფეთა შორის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ, როგორცაა იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი და სხვები<sup>8</sup>.

„ლიბანიოსი განთქმული იყო მთელს აღმოსავლეთში. მისი ნაშრომები ფართოდ იყო გავრცელებული და კლასიკურად აღიარებული. IX საუკუნის ცნობილი მოღვაწე და ლიტერატორი ფოტიოსი მას უწოდებს „ატიკური მეტყველების კანონსა და საზომს“. ლიბანიოსი, როგორც სოფისტი და რიტორი, ცნობილია თავისი „სიტყვებით“ და „წერილებით“... ჩვენამდე ჩოღწეულია 1605 ბერძნული წერილი მიწერილი მოწაფეებისადმი, მეგობრებისადმი და სხვა პირებისადმი. „ლიბანიოსის ადრესატთა შორის ჩვენ გვხვდებიან სახელგანთქმული პირები აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, საგანგებო პატივისცემად ითვლებოდა მისგან წერილის მიღება“<sup>9</sup>.

აი, ასეთი პიროვნების მიერ ბაკურისადმი მიწერილმა წერილმა შოაღწია ჩვენამდე. ესაა წერილი № 980. იგი თარიღდება 392 წლით. ამ წერილში ლიბანიოსი ბაკურს უქებს სამართლიანობას, სიბრძნეს, ზომიერებას, სიმამაცეს; აღფრთოვანებულია იმით, რომ საომარი საქმეებით გადატვირთულ სარდალს აქვს ინტელექტუალური მოთხოვნილებანი. „შენი წერილი შეიცავდა ისეთ აზრებს შენ შესახებ, როგორსაც, ჩვეულებრივ, მეგობრების წრეში გამოვთქვამთ ხოლმე. რადგან დიდ სიამოვნებას განვიცდიდი იმ ქებათაგან, რომელსაც გძენს შენი ბუნებრივი ნიჭი. ზოგი აქებს შენს სამართლიანობას... ზოგი კი აღიღებს შენს ზომიერებას და იმას, რომ უფრო მეტად მბრძანებლობ ვნება-სურვილებს, ვიდრე ჯარისკაცებს. სხვა კიდევ აქებს შენს სიბრძნეს, რომლის წყალობითაც იმარჯვებ ბრძოლაში. იყო ისეთიც, რომელიც ამბობდა, რომ შენს სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში რაიმე საფრთხის წინაშე. მე კი შენს ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ის, რომ შენ გიყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ლოგოსებს მისდევენ“<sup>10</sup>.

„ლოგოსი“ ძველბერძნული ფილოსოფიური ტერმინია, ეტიმოლოგიურად კი მას მრავალი მნიშვნელობა აქვს: სიტყვა, აზრი, კანონი, მსჯელობა და სხვ. ლიბანიოსი მათდამი ბაკურის სიყვარულის აღნიშვნით აშკარად ხაზს უსვამს ბაკურის ინტელექტუალიზმს, ეს უნდა იყოს საერთოდ გონის სფეროზე მითითება, თანამედროვე გაგებით, მეცნიერება, რომელსაც მართლაც მრავალი დარგი აქვს<sup>11</sup>.

ბაკურისა და ლიბანიოსის ურთიერთობა კარგად ჩანს ლიბანიოსის სხვა (№ 963 და № 964) წერილებითაც. განსაკუთრებით კი პირველიდან, რომელიც კონსტანტინოპოლის პრეფექტ არისტენეტესადმია მიწერილი და რომელიდანაც ჩანს, რომ ბაკურს თვით უზრუნვეია ამ დაახლოებისათვის და რაღაც სამსახური წინასწარ გაუწევია კიდევ ლიბანიოსისათვის, რომ ქართველ სარდალს დაუპყრია ცნობილი ფილოსოფოსის გული: „მოგვივიდა კარგი წერილი კარგი კაცისაგან და კარგი კაცის ხელით; შენგან, რომელიც კარგი ხარ, და ბაკურის ხელით, რომელიც სხეულითაც ბრწყინავს და სულიც მას ასეთივე აქვს. ჩვენდამი ძლიერი სიყვარულით აღტყინებული შენ ფიქრობ, რომ ეს არ ემარა, და შენს თავს მიუმატე ნიჭიერი ბაკური და აღავსე რა თანაბარი. სიყვარულით, გამოგზავნე აქეთ, რათა ჩვენთან ამოსულიყო არა ვიწრო კართ, არამედ პირდაპირ, საღამოთიც და რბენით. პირზე მკაცრად, თითოეულ ნაკეთში ცალ-ცალკე, მომიჯდა გვერდით და მთხოვა ნება მიმეცა ეცქირა ჩემთვის დიდხანს. დაფარული არ არის ჩემთვის, თუ ვინ მომგვარა მე ასეთი კაცი და საიდან არის ისარი. უზომოდ გამახარა და მასიამოვნა მან იმით, რაც ჩემთვის გააკეთა“<sup>12</sup>.

ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ლიბანიოსის ადრესატი ბაკური იგივე არაა, ვინც „ფრიად სარწმუნო ბაკური“, რადგან ეს უკანასკნელი ქრისტიანია, ხოლო პოლითეისტი ლიბანიოსის ადრესატი არ შეიძლება ამ რწმენის იყოს<sup>13</sup>. მაგრამ იდენტიფიკაციის სასარგებლოდ მეტყველებს ქრონოლოგიური პერიოდის, საქმიანობის და პიროვნული თვისებების იგივეობა. ამასთან, როგორც ეს წერილიდან ჩანს, ლიბანიოსისა და ბაკურის მეგობრობის საფუძველი რელიგია კი არა, მეცნიერებისადმი (ლოგოსებისადმი) სიყვარულია. ლიბანიოსისათვის ასეთი ურთიერთობა სრულიად ბუნებრივი იყო; იგი მეგობრობდა და სწერდა ქრისტიანებსაც: „ადრებიზანტიური საზოგადოების განათლებული ფენებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია კონფესიონალურად ინდიფერენტული ტიპი“<sup>14</sup>. ბაკურშიც ქრისტიანული რელიგია იმ გარდამავალ ეპოქაში ფანატიზმით კი არ იყო გამოწვეული, არამედ პოლიტიკით და მის კონტაქტებს, ამგვარად, ვერ შეზღუდავდა.

ყოველივე თქმული გვიჩვენებს, რომ ბაკური დიდი პიროვნული მიზიდველობის გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო. ასეთად წარმოგვიდგება იგი IV ს. II ნახევარში ბიზანტიაში. რა ბედი ეწია მას შემდგომ?

რუფინუსის ცნობით, ბაკური იბერთა მეფე გახდა. ეს მომხდარა რუფინუსთან საუბრის შემდეგ. ისტორიკოსს კარგად აქვს გამოიჭნული წარსული და აწმყო: ბაკური იყო დომესტიკთა კომსი, არის იბერთა მეფე. აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ,

რომ არსებობს შეხედულება, რომლითაც რუფინუსის მოსაუბრე მეფედ ნამყოფ. სამშობლოდან ბიზანტიაში პოლიტიკური ბედღუკუღმართობით გადახვეწილ პიროვნებად არის მიჩნეული<sup>15</sup>. მაგრამ ასე რომ არ უნდა გავიგოთ რუფინუსის სიტყვები, ამაზე თვით ტექსტზე დაკვირვების გარდა, მეტყველებს სოკრატე სქოლასტიკოსის შენიშვნაც: „რუფინუსი ამბობს, რომ ეს მან შეიტყო ბაკურისაგან, რომელიც წინათ იბერთა უფლისწული იყო“<sup>16</sup>. ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში ეს ერთადერთი შემთხვევა როდია ტახტის მემკვიდრის ბიზანტიაში ყოფნისა, რაც პოლიტიკური იძულებით, და ნაწილობრივ, ალბათ სახელმწიფო მართვისათვის მომზადების სურვილით უნდა აიხსნას. პ. პეტერსის მითითებითაც, რუფინუსის სიტყვებიდან ჩანს, რომ ბაკური ტახტდაკარგული პიროვნება არ არის, რომ იგი მეფე შემდგომში ხდება<sup>17</sup>.

როგორც შეიძლებოდა შეგვემჩინა, გელასი ბაკურს მეფედ კი არა, მეფის შთამომავლად იხსენიებს. აღნიშნული რუფინუსის ცნობის საწინააღმდეგოს არ წარმოადგენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ გელასი ექსარიელი გარდაიცვალა დაახ. 395 წელს, ხოლო რუფინუსმა თავისი „საეკლესიო ისტორიის“ წერა 402 წელს დაიწყო. ბაკური, ჩანს, გელასის გარდაცვალების შემდგომ გამეფდა, ამიტომაც არ ჰყავს იგი მოხსენიებულ გელასის მეფედ. V ს. დასაწყისში მოღვაწე რუფინუსმა კი იცის აღნიშნული ფაქტი.

რუფინუსი რომ არ ცდება, ამას ადასტურებენ ძველი სომეხი ისტორიკოსები კორიუნი და მოსე ხორენელი, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ V ს. დასაწყისში, კერძოდ, 416 წლისათვის ქართლის ტახტზე იჯდა მეფე, სახელად ბაკური<sup>18</sup>. ამავე წყაროებით, 422 წლისათვის ქართლის მეფე უკვე არჩილია<sup>19</sup>. ამგვარად, ბაკური გარდაცვლილა 416—422 წლებში.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში ქართლის ქრისტიან მეფეთა შორის ოთხი ბაკურია მოხსენიებული: ორი მათგანი („ბაკურ, ძმ რევისი“ და „ბაკურ, ძმ თრდატისი“) ვახტანგ გორგასლამდე. ხოლო ორი („ბაკურ, ძმ დაჩისი“ და ბაკურ, რომლისა „ზე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ“) — ვახტანგ გორგასლის შემდგომ. გასაგებია, რომ „ფრიად სარწმუნო ბაკური“ არ შეიძლება იყოს ბოლო ორი, ქრონოლოგიური პერიოდის აშკარა შეუთავსებლობის გამო. მისი იდენტიფიკაცია არ შეიძლება ბაკურ რევის ძესთანაც. რომელიც ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის (IV ს. I ნახევარი) უშუალო მემკვიდრეა, და, ამრიგად, მისი მეფობის ხანა IV ს. არ გადმოსცილდება. რჩება ბაკურ თრდატის ძე. იდენტიფიკაცია ქრონოლოგიური მოსაზრებით შეიძლება განმტკიცდეს ირიბი მონაცემებითაც: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, მირიანის ნემკვიდრე ბაკუ-

რის შემდგომ „დაჯდა მეფედ ძმად მისი თრდატ“, „და მის შემდგომად დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ“ და „მის შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძმ თრდატისი“<sup>20</sup>. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ საშუალებით ჩვენთვის ცნობილია, რომ ვარაზ-ბაკური იყო თრდატის სიძე — ქალიშვილის ქმარი<sup>21</sup>. ამგვარად, უშუალოდ შამის შემდეგ კი არ გამეფებულა ბაკური, არამედ დის ქმრის „შემდგომად მეფობდა“<sup>22</sup>. თანაც ვარაზ-ბაკურზე ნათქვამია, რომ იგი „დადგა მეფედ“ და არა „დაჯდა“, როგორც ეს არის ყველა სხვა მეფობასთან დაკავშირებით „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ თუ „მეფეთა ცხოვრებაში“, რაც მის მიერ ამ თანამდებობის დაკავების დროებით ხასიათზე მიუთითებს. შუალედი კი თრდატის გარდაცვალებასა და მისი ძის ბაკურის მმართველობის დასაწყისს შორის კარგად უთავსდება ამ უკანასკნელის გარკვეული დროით სამშობლოში არყოფნის ფაქტს.

როგორც ითქვა, „ფრიად სარწმუნო ბაკური“ ჩინებული მხედართმთავარია. ასეთივედ წარმოგვიდგება ბაკურ თრდატის ძე. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაძნობს, რომ მისი წინამორბედის ვარაზ-ბაკურის მმართველობაში „სპარსთა მეფისა მარზპანნი შემოვიდეს სიენითად და იგი კიდარდ უქუჯდა... და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზად სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი შედგა ხარქსა და სომხითი და სიენიეთი და გუასპუარაგანი“. ამ ცნობით ჩანს, რომ ვარაზ-ბაკურს სპარსთა დაწოლით გარკვეული ტერიტორიების დატოვება მოუხდა — „კიდარდ უქუმქდარა“. ბაკურ თრდატის ძეს კი ეს მიმე შედეგები გარკვეულად გამოუსწორებია: „იგიერ გასულა“ და თანაც, როგორც ეს წინდახედულ სარდალს შეჰფეროდა, განუახლებია „არმაზნი სპარსთა შიშისათვს“.

როგორც უკვე აღინიშნა, სომხური წყაროების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ იმ პერიოდზე, როცა შეიძლებოდა გარდაცვლილიყო ბაკური. ესაა 416—422 წლები, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ კიდევ უფრო ავიწროებს აღნიშნულ პერიოდს, რადგან გვიჩვენებს, რომ უშუალოდ ბაკურის შემდგომ კი არ მეფობდა არჩილი, არამედ მათ შორის კიდევ ორი მმართველი ყოფილა. ესენია ფარსმანი და მირდატი: „და მის შემდგომად მეფობდა ფარსმანი, დისწული თრდატისი და მთავარეპისკოპოსი იყო სუმეონ. და მის შემდგომად მეფობდა მირდატი. და წარიყვანა პიტიახშმან ვარაშ ბაღდადს და მუნ მოკულა“. ამრიგად, ფარსმანისა და მირდატის მეფობა და არჩილის გამეფება თავსდება 416—422 წლებში. გამოდის, ბაკურს 416 წლის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია, რომ მისი მეფობა არ გადმოსცილდება V ს. 20-იან წლებს.

პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ პეტრეს პაპა დედის მხრიდან იყო „დიდი ბაკურიოსი“, რომელიც ქართველთა



პირველ ქრისტიან მეფედ არის ჰაგიოგრაფის მიერ მიჩნეული<sup>23</sup>. ალბათ იმიტომ, რომ „ფრიად სარწმუნო ბაქური“ ქართველთა მოქცევის შესახებ საუბრობდა, სპეციალისტებში გაჩნდა ცდუნება მისი და „დიდი ბაქურის“ გაიგივებისა. ამჟამად ეს თვალსაზრისი არსებითად უარყოფილია ქრონოლოგიური შეუსაბამობის გამო; იმის გამო, რომ IV ს. მიწურულში მამაცად მებრძოლი კაცი არ შეიძლება ამავე საუკუნის დასაწყისში გამეფებული პიროვნება იყოს<sup>24</sup>; იმიტომაც, რომ გელასი და რუფინუსი არ ამტკიცებენ, რომ მათი მოსაუბრე თვით იყო იბერთა პირველი ქრისტიანი მეფე<sup>25</sup>. მიუხედავად ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში დღესაც შევხვდებით „ფრიად სარწმუნო ბაქურის“ „დიდ ბაქურთან“ გაიგივების შემთხვევას<sup>26</sup>. ამიტომ ქრონოლოგიური შეუსაბამობისა და თვით მონათხრობის ანალიზის შედეგების გვერდით მკითხველთა ყურადღებას მივაპყრობთ განსხვავების მაჩვენებელ სხვა ფაქტებზეც, რომელთა მოშველიება შესაძლო ხდება მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ „ფრიად სარწმუნო ბაქური“ ქართული წყაროს ბაქურ თრდატის ძეა:

როგორც ითქვა, „ფრიად სარწმუნო ბაქურს“ „ეშინია“ სპარსელთა („განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათვის“), რასაც ვერ ვიტყვიო „დიდ ბაქურზე“. ამ მხრივ ნიშანდობლივია შემდეგი ეპიზოდი პეტრე იბერის ასურული „ცხოვრებიდან“: „როდესაც ის (დიდი ბაქური. — მ. ჩ.) ერთხელ სპარსთა მეფესთან ერთად სალაშქროდ გავიდა, რამდენადაც მას საზავო ხელშეკრულება ჰქონდა მასთან შეკრული და ერთი მის სარდალთაგანიც იყო, დაინახა რა, რომ როგორც კი მზე ამოვიდა, თვით მეფეც და ყველა მისი სარდალი, მეთაურები, სატრაპები და წარჩინებულნიც ერთბაშად ჩამოხტნენ ცხენებიდან და მზეს მიმართეს ლოცვით, ის (ბაქურიოსი) თავის ცხენზე მჯდომარედ დარჩა და როდესაც სხვა სატრაპებმა ეს მეფეს მოახსენეს და თვით ბაქურიოსიც წარსდგა მის წინაშე, შეეკითხა მას: — მართალია თუ არა ის, რაც თქვესო... მთელი ჯარის წინაშე გულახდილად წამოიძაბა: მე ვარ ქრისტიანი და არ შემეფრის უარყო ის, რომელიც ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი და ყოვლის შემოქმედია, და ლოცვით მივემართო მის გაჩენილს, რომელიც იმისათვის არის შექმნილი, რომ მე და ყველა ადამიანს გვემსახუროს და გვინათოს. ასე რომ, თუმცა მეფე განციდრებული იყო და მისი გულახდილობით დარცხვენილი, — მიუბრუნდა თავისიანებს და ჩუმად უთხრა: ეს არის ბაქურიოსი და ჩვენ ის გვპირდება, რა უნდა ვუყოთ მას“<sup>27</sup>.

„დიდი ბაქური“ და „ფრიად სარწმუნო ბაქური“ ერთი და იგივე პირი რომ არაა, ეს აღნიშნულის გარდა, ჩანს შემდეგითაც: როგორც ითქვა, პირველი პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ მიხედვით პეტრეს პაპა იყო დედის მხრიდან. „ფრიად სარწმუნო ბაქურა“

(ბაკურ თრდატის ძე) კი არის პეტრეს ბიძა — დედის ძმა. ეს ფაქტ-  
არა მარტო განორიციხავს „ფრიად სარწმუნო ბაკურისა“ და „დიდი  
ბაკურის“ იგივეობას, არამედ გვახვედრებს კიდევ თუ ქართული წყ-  
როების რომელი მეფე იგულისხმება „დიდ ბაკურში“: იგი მირიანის  
შვილიშვილი, მისი უშუალო მემკვიდრე ბაკურ რევის ძეა, რომელიც  
მართლაც პაპად ერგება პეტრეს დედის ხაზით. უფრო ზუსტად, არის  
პაპის ძმა<sup>28</sup>.

„პეტრე იბერის ცხოვრების“ „დიდი ბაკური“ რომ მირიანის  
უშუალო მემკვიდრე ბაკურია, ამას მხარს უჭერს ლეონტი მროველის  
ცნობაც იმის შესახებ, რომ „უმრავლესი კავკასიანნი“ სწორედ მან  
მოაქცია. უცხოელთა თვალში ამის გამო (ე. ი. იმის გამო, რომ ლოკა-  
ლური მნიშვნელობის ფაქტიდან ქართლის ქრისტიანიზაცია აქცია რე-  
გიონალური მნიშვნელობის ფაქტად), ბუნებრივია, ქართველთა პირ-  
ველ ქრისტიან მეფედ სწორედ ის გამოჩენილიყო. ამ იდენტიფიკაცი-  
ის სასარგებლოდ შეტყვევლებს სპარსეთთან და ბიზანტიასთან ბაკურ  
რევის ძის ურთიერთობის ხასიათიც: ეს ბაკური გარკვეული მიზნების  
განსახორციელებლად, ლეონტის ცნობით, „ეზრახა სპარსთა“. მაგრამ  
თავისი დინასტიური საქმეების მოგვარებას მარტო ირანელთა მხარ-  
დაჭერით როდი ფიქრობდა, ამ საქმეში ბიზანტიასაც რთავდა: მეფო-  
ბა განუმტკიცებია „შუამდგომლობითა ბერძენთა მეფისა და სპარს-  
თა მეფისათა“<sup>29</sup>. ამგვარი პოლიტიკური გაორება დამახასიათებელი იყო  
სწორედ „დიდი ბაკურისათვის“. სპარსეთის ბანაკში მომხდარ ზემოთ  
აღწერილ ინციდენტთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავს  
გ. გოზალიშვილი: „ამ ეპიზოდში განსაკუთრებით საყურადღებოა ბა-  
კურის ო რ კ ო ფ უ ლ ი მდგომარეობა“<sup>30</sup>.

ამგვარად, „დიდი ბაკური“ სრულიად განსხვავებული ხელწერის  
სახელმწიფო მოღვაწეა, ვიდრე მისი ძმისშვილი „ფრიად სარწმუნო  
ბაკური“. არაა გამორიციხელი, რომ ამ უკანასკნელს სახელი სწორედ  
სახელოვანი ბიძის პატივსაცემად შეარქვეს. ეს მით უფრო საფიქრ-  
ბელია, რომ მის დასაც — პეტრე იბერის დედას — ბაკურდუხტი ერ-  
ქვა.

მაგრამ დაუთბრუნდეთ ბაკურ თრდატის ძის — „ფრიად სარწმუ-  
ნო ბაკურის“ მოღვაწეობას სამშობლოში. მის მიერ გატარებული ორი  
ღონისძიების — ქართლის ციხეთა გამაგრების და ტერიტორიების შე-  
მომტკიცების შესახებ უკვე ითქვა. ეს ღონისძიებანი გეოგრაფიკულად,  
რომ უცხოეთში მრავალ ბრძოლაში ნაცადი და მეცნიერებაში დახე-  
ლოვნებული უფლისწული გონიერი და წინდახედული მეფე დადგა.

„ამან აღაშენა ეკლესიაჲ ბოლნისს“, — გვამცნობს  
„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ბაკურ თრდატის ძის კიდევ ერთი დამსახუ-  
რების შესახებ. ეს ფაქტი ქრონისტს „იმიერ გასვლისა“ და „არამზნის

„განახლებაზე“ უწინარესად აქვს აღნიშნული. როგორც ითქვა, ბაკური ერთნაირად „ბრწყინავდა სხეულითა და სულით“ და საერო მოღვაწეობისდა მიუხედავად, ყოველთვის იყო ხაზგასმულად მორწმუნე და ხაზგასმულად კულტურის თაყვანისმცემელი. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ თავისი მმართველობის დასაწყისშივე მან ქრისტიანული ტაძრის მშენებლობას მიჰყო ხელი, რომელიც ხელოვნების ნიმუშსაც წარმოადგენს ამავე დროს.

მაგრამ მართო ეს არ უნდა იყოს ბაკურის ამგვარი ქმედების მიზეზი, მიზეზი იმისა, რომ ქართლისათვის დიდი საგარეო საფრთხის პირობებში მან პირველ რიგში ეკლესიის მშენებლობა განიზრახა. დევუკვირდეთ: ბაკურმა თავისი სულიერი ბრწყინვალეობის დემონსტრირების ადგილად ქართლის სამეფოს განაპირა მხარე — გუგარეთი აირჩია. გარკვეული ისტორიული პირობების გამო ეს მხარე ადრეფეოდალურ ხანაში (VII ს-მდე) სხვა ქართული პროვინციებისაგან ერთგვარად განკერძოებული იყო. ბაკურის დროს იგი, მართალია, ქართლის სამეფოს ნაწილს შეადგენდა<sup>31</sup>, მაგრამ მისი სიკვდილიდან სულ მცირე ხნის შემდეგ აქაურმა პიტიაქშმა არმუშამ სეპარატისტული ნაბიჯების აშკარა გადადგმა დაიწყო. ბაკურს არ შეიძლებოდა არ განეკუთრებინა ასე ახლო მომავლის საფრთხის პერსპექტივა. ამიტომ მის მიერ ქვემო ქართლში წამოწყებული მშენებლობა მართოდენ სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გაღებული ხარკი არ არის: „ეკლესიაჲ ბოლნისს“ ხაზს უსვამდა მცხეთელი მეფის პოლიტიკურ უფლებას გუგარეთზე. ამგვარად, ბოლნისის სიონის მშენებლობა არ ვარდება ბაკურ თრდატის ძის მმართველობის საერთო სტილიდან, პირიქით, იგი ამ მმართველობის ლოგიკური რგოლია და განახორციელებს ბაკურის პიროვნულ პარმონიას — საერო და სასულიერო ინტერესთა სრულყოფილ შერწყმას.

ლეონტი მროველი მშენებლობას ბოლნისში ფარსმანს მიაწერს. მაგრამ ეს ცნობა არ უწინააღმდეგება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობას. როგორც ითქვა, ფარსმანი ბაკურის მომდევნო მეფეა და გამოირჩეული არაა, რომ გარკვეული სამუშაოები სიონთან დაკავშირებით მის დროსაც მიმდინარეობდა. მაგრამ ბოლნისის ტაძრის მშენებლობა რომ ბაკურის მოღვაწეობის შედეგი იყო არსებითად და არა ფარსმანის დამოუკიდებელი ღონისძიება, ამაზე მეტყველებს აღნიშნულ მეფეთა ზეობის ხანგრძლივობანი: ბაკური მეფობდა სულ ცოტა 14 წელი მაინც (იგი გამეფდა არაუგვიანეს 402 წლისა და გარდაიცვალა არა უადრეს 416 წლისა); ფარსმანის მეფობა, როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, მისი მომდევნო შირდატის მთელი მმართველობის და არჩილის მეფობის პირველ ხანებთან ერთად შეადგენს სულ 5 წელს. ე. ი. საკუთრივ მასზე მოდის სულ ბევრი 2 წელი. ლეონტი მროველი

საგანგებოდ გახაზავს კიდევ, რომ ფარსმანი „მცირედ-ჟამ შეფობდა და მოკულა“. ამგვარად, ბოლნისის მშენებლობა ფარსმანის დროს ბაკურის პოლიტიკის ინერციაა მხოლოდ. ფარსმანმა, ჩანს, ფორმალურად დაასრულა ის, რაც მისმა წინამორბედმა წამოიწყო და განახორციელა არსებითად.

ჩვენ ვაკვირდებოდით „ფრიად სარწმუნო ბაკურის“ ცხოვრების ოთხ ათეულ წელს. თუ წყაროებში პირველად გამოჩენის დროისათვის, ე. ი. 378 წელს ბაკური ჩვიდმეტი წლის მაინც იყო, იგი 60 წელს მიტანებული გარდაცვლილა. ბაკურ თრდატის ძეს მემკვიდრე არ დარჩენია. ამაზე მეტყველებს ის, რომ მის შემდეგ გამეფდა მისი მამიდაშვილი ფარსმანი („დის წული თრდატისი“).

ბაკურის მერე მძიმე ვითარება იქმნება ქართლში: სულ რამდენიმე წელიწადში გარდაიცვლებიან ფარსმანი და მისი მომდევნო მირდატი. ტახტზე ადის ბაკურის ღრმად მოხუცებული ბიძა არჩილი<sup>32</sup>, ხოლო ბაკურის დისწულს 12 წლის მურვანოსს — პეტრე იბერს — მძევლად აგზავნიან ბიზანტიაში (422 წ.). არჩილი ქვეყანას მართავს პეტრეს მამასთან ერთად<sup>33</sup>. ამგვარად, ვარაზ-ბაკური კვლავ „დგება მეფედ“, ამჯერად საკუთარი ძის მოლოდინში.

არჩილიცა და ვარაზ-ბაკურიც ორივე სუსტი ხელისუფალია: აქტიურდებიან აზნაურები, სპარსელთა გავლენა ძლიერდება<sup>34</sup>. არჩილს შვილები არა ჰყავს, ვარაზ-ბაკურის ერთადერთი ძე კი პეტრეა<sup>35</sup>. მაგრამ პეტრე სამშობლოში არ ბრუნდება: არაამქვეყნიური ზრუნვით მოკულს მას ბიძამისივით ეკლესიის მშენებლობის ციხეთა განახლება-სთან შეთავსება არ შეუძლია<sup>36</sup>. მართლაც ძნელია. ამიტომაც ასე მრავლისმთქმელი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ლაკონიური ცნობა: „და მისა შემდგომად შეფობდა ბაკურ, ძმ თრდატისი. და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესიად ბოლნისს და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს“<sup>37</sup>.

მას შემდეგ, რაც ჩვენთვის ასე თუ ისე თვალსაჩინო გახდა რა პიროვნება იყო ბაკური<sup>38</sup>, განვიხილოთ მისი მონათხრობი იბერთა მოქცევის შესახებ, რომელიც, როგორც ითქვა, „ნინოს ცხოვრების“ თავისებური მოდიფიკაციაა. ბაკურისეული მოდიფიკაცია ხსარტია და მსუბუქი. კონსპექტურად მოკლე, იგი არაა დამძიმებული საკუთარი სახელებით, რადაც ჩანს, რომ ბაკური ითვალისწინებდა უცხოელი მსმენლის ინტერესთა წრეს, აღქმის უნარს. აღნიშნული თხრობა იოლი დასამახსოვრებელიცაა და ეს იმის გამო, რომ მასში წარმოდგენილი ყოველი ფაქტი სტერეოტიპულია პაგიოგრაფიული ლიტერატურის თვალსაზრისით, ნაწილი კი სათავეს უშუალოდ სახარებრიდან იღებს. განუმარტოთ ნათქვამი:

ა). ბიზანტიელი ისტორიკოსების მითითებით, იბერთა განმანათლებელს „კურნების ნიჭი“ ჰქონდა, სწორედ ეს ქმნის სასწაულების ერთ ციკლს: ქალმა შეძლო განეკურნა ბავშვი და დედოფალი, რომლებსაც ადამიანურმა საშუალებებმა ვერ უშეგელეს. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს, რომ „სახარებით“, მაცხოვრის ძალის ერთ-ერთი უმთავრესი გამოვლინებაა კურნების მაღლი, სასწაულთა ყველაზე მრავალრიცხოვანი შემთხვევებიც ამ უნარს უკავშირდება: „და მოჰვლიდა იესუ ყოველსა გალილასა და ასწავებდა შესაკრებელსა შორის მათსა და ქადაგებდა სასუფეველსა და განჰკურნებდა ყოველსა უძლურებას ერსა შორის და განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა ქუეყანასა ასურასტანისა და მოჰგურიდეს მას ყოველთა ბოროტად სნეულთა თითო-სახეთაგან სენთა და გუემითა შეჰყრობილთა და ეშმაკეულთა და ცისად-ცისად გუემულთა განრლუეულთა, და განკურნა იგონი“<sup>39</sup>.

კურნება არა მარტო უმთავრესი სასწაულია მაცხოვრის მიერ მოხდენილი, ან მარტო ძალის გამოხატულება, არამედ მოთხოვნაც ქრისტიანობის ყოველი მქადაგებლისათვის: „და მი-რამ-ხვდეთ, ქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ: მოახლოებულ არს სასუფეველი ცათაჲ. უძლურთა განჰკურნებდით, კელოვანთა განსწმენდდით“, — შიშართავდა ქრისტე თავის მოწაფეებს<sup>40</sup>.

სწორედ სახარების ამ მოტივის გამოძახილი უნდა იყოს ის, რომ ძალიან ხშირად წმინდანები ასეთი ნიჭით დაჯილდოებულებად გამოკყავთ ძველ ავტორებს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ქართულთა განმანათლებელის სასწაულმოქმედ მკურნალად გამოყვანა ბაკურის მონათხრობში, ლიტერატურული მოტივია. რომელიც სათავეს სახარებოდან იღებს.

ბ) მაშინ ჰრქუა მეუფემან მან ბარჯუენითა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო. დაიმკვდრეთ განმზადებულთ თქუენთვს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ. რამეთუ შშოიდა, და მეცით მე ჰამადი, მწყუროდა და მასუთ მე, უცხო ვიყავი, და შემიწყნარეთ მე. — ვკითხულობთ „სახარებაში“<sup>41</sup>.

წმინდანთა უცხოობის აღნიშვნას არც თუ იშვიათად ვხვდებით ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში. უცხოთა შეწყნარება განსაკუთრებული მაღლია შემწყნარებლისათვის (სასუფეველს დაიმკვიდრებენ ამით). ამიტომ, საფიქრებელია, რომ ქართლის განმანათლებლის ტყვეობის შესახებ ცნობაც ლიტერატურული მოტივია, წიგნური გზითა გაჩენილი. რა თქმა უნდა, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ ისტორიულად ქართლის განმანათლებელი მართლაც ტყვე იყო. მაგრამ აღნიშნულ მომენტზე ყურადღების გამახვილება უკვე მიუთითებს ლიტერატურული შაბლონის გავლენაზე.

გ). ნადირობისას ღრმა ბურუსი ჩამოუწვა იბერთა მეფეს, დახმარებისათვის მან ქრისტეს ლოცვით მიმართა: „როგორც კი გაათავა ეს ლოცვა, მაშინვე გაიფანტა ბურუსი, დღის შუქმა წინანდელზე მძლავრად გაანათა მთელი ტყე...“<sup>42</sup>

ეს, რა თქმა უნდა, სიმბოლურადაც უნდა გავიგოთ: „სახარების“ მიხედვით ხომ ქრისტეა სინათლის მომნიჭებელი, მისით ერმა, „რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი, და რომელნი სხდეს სოფელსა და აჩრდილსა სიკუდილისასა, ნათელი გამოუჩნდა მათ ზედა“<sup>43</sup>.

ამრიგად, სიბნელისა და სინათლის სასწაული წარმოადგენს კვლავ კარგად დამუშავებულ მოტივს სწორედ რწმენის მიღებასთან დაკავშირებით.

დ). როგორც აღნიშნული იყო, იბერთა მეფეს სასწაული ნადირობისას მოველინა. ირკვევა, რომ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში სასწაული ნადირობის დროს იშვიათი როლია. თრდატ სომეხთა მეფესაც სასწაული სწორედ სანადიროდ გასულს შეემთხვა. ეს სასწაული მისთვის ახალი რწმენის მიზეზი შეიქმნა<sup>44</sup>. ასევე ნადირობის დროს მოვლენილი სასწაულით გაქრისტიანდნენ მთავარი და მისი შვილები „შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ მიხედვით<sup>45</sup>. ანალოგიური ეპიზოდებია „დავით გარეჯელის ცხოვრებაშიც“<sup>46</sup> და ა. შ. აშკარაა, რომ აღნიშნულიც ლიტერატურული ტრადიციით აუცილებელი ეპიზოდია.

ე). ქართველთა განმანათლებელს განუკურნავს იბერთა დედოფალი. სამეფო ოჯახის წევრის სასწაულებრივი გამოჯანმრთელება ასევე უცხო არ არის ქრისტიანული მწერლობისათვის: წმინდა სილვესტრის მოურაჩენია კონსტანტინე დიდი, გრიგოლ განმანათლებელს — თრდატი<sup>47</sup>.

ვ). იბერიაში სამეფო ოჯახიდან პირველად დედოფალი გაქრისტიანდა. ამგვარი ბედი, შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიის მიხედვით, სხვა ქვეყნის გვირგვინოსან ქალებსაც რგებიათ<sup>48</sup>.

ზ). ჰაგიოგრაფიული თხზულების აუცილებელ მოტივს წარმოადგენს აგრეთვე ეკლესიის მშენებლობის შესახებ ცნობაც, რომელიც არამცთუ განმანათლებლის, არამედ ყოველი წმინდანის მოღვაწეობის ელემენტია.

ამგვარად, ბაკურის მონათხრობის წიგნური ხასიათი ექვს არ იწვევს. ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ზოგჯერ ბიზანტიელ ისტორიკოსებთან მოტანილ თხრობას ქართველთა მოქცევის შესახებ, ზეპირსიტყვიერების საფუძველზე შექმნილად თვლიან<sup>49</sup>. ის გარემოება, რომ ბაკურის მონათხრობს ლიტერატურულად დახვეწილი ფორმა აქვს და, აგრეთვე ის, რომ ორივე ისტორიკოსთან საუბარში მან არსებითად ერთი და იმავეს განმეორება შეძლო, გვაფიქ-

რებინებს ერთ საგულისხმო ფაქტს: ბაკურს სახელდახელოდ კი არ შეუთხზავს იბერთა მოქცევის ისტორია, არამედ წინასწარ მოფიქრებულ, საგანგებოდ შემუშავებულ ამბავს ჰყვებოდა.

საგულისხმოა, რომ ორივე ისტორიკოსთან საუბარში ბაკურს ყურადღება გაუმახვილებია იბერთა გაქრისტიანების პოლიტიკურ ასპექტზე, ამ ფაქტის სასურველობაზე ბიზანტიისათვის: „სათნო და ქრისტესმოყვარე კონსტანტინე მეფემ ისინი (ელჩები იბერიიდან. — მ. ჩ.) მეგობრულად მიიღო, რადგან უხაროდა უფლისათვის... ამვე დროს მას კარგად ესმის, რომ ეს არის ნიში ღმრთისა, რომელიც უცხო თესვთ უქვემდებარებს მას“ (გელასი)<sup>50</sup>; შდრ. რუფინუსი: „კონსტანტინემ დიდის სიხარულით და პატივით გაისტუმრა მოციქულები, ამით ის მეტად იყო გახარებული, ვიდრე მაშინ იქნებოდა, რომ რომის იმპერიისათვის უცნობი ხალხები და უცნობი სახელმწიფოები შეეერთებინა“<sup>51</sup>.

საქმე ის არის, რომ ქართლის მოქცევის ისტორიის განხილვა. ქართველი უფლისწულის მიერ ბიზანტიაში მითითებული აქცენტით IV ს. უკანასკნელ მეოთხედში არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ამ დროს, როცა ამიერკავკასიაში განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ირანის შემოტევა<sup>52</sup>, ქართლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ბიზანტიასთან ურთიერთობის მოწესრიგებას, იმის გარანტიას, რომ ეს უკანასკნელი არ განუდგება ამიერკავკასიის და, კერძოდ, ქართლის ანტიირანულ ბრძოლას. ეს მხარდაჭერა კი არ არის იოლი მოსაპოვებელი, რადგან ბიზანტია დაკავებულია თავისი შინაური არეულობით და ირანთან ურთიერთობის გამწვავება ხელს არ აძლევს. ასეთ პირობებში უთუოდ აღფრთოვანებას იწვევს ბაკურის დიპლომატიური უნარი აწმყოში ურთიერთობათა მოწესრიგებას წარსულში გამოუნახოს საფუძველი. ეს თადარიგიანობა სპარსთა გამო იმავე დონის ქმედებაა, რაც „არმაზნის განახლება სპარსთა შიშისათვის“.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით კი იოლია. „ნინოს ცხოვრების“ ბიზანტიურ ვერსიაზე ნსჯელობა. კერძოდ, ჩვენთვის აშკარაა, რომ მისი წყაროა ადგილობრივი ვერსია, რომელიც ბაკურის ბიზანტიაში ყოფნის დროისათვის (IV ს. მეორე ნახევარი) წერილობით გაფორმებული ჩანს. მოტანილი მასალა გვიჩვენებს, აგრეთვე, რომ ეს წყარო, ე. ი. ადგილობრივი ვერსია, ოფიციალური წარმომობისაა და თავისი განვითარების საწყის ეტაპზე პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია.

II. ქართული ეკლესიის სხვა წმინდანთა შორის ნინოს განსაკუთრებული ადგილი უკავია: მას თაყვანს სცემენ როგორც საქართველოს მოციქულთა სწორ განმანათლებელს. და ეს სრულიად ბუნებრივია. როგორც ვნახეთ, ნინოს კულტი ქართლში სათავეს შორეულ

წარსულში იღებს: ჯერ კიდევ IV ს. მიწურულში ქართველი უფლისწული ცნობილ ბიზანტიელ ისტორიკოსებთან ქართლის მოქცევის ისტორიის შესახებ საუბარში გახაზავდა მისი, როგორც ქართლის განმანათლებლის, დამსახურებას. V ს. II ნახევარში მოღვაწე სომეხმა ისტორიკოსმა მოსე ხორენელმა სწორედ ქართული ტრადიციის გავლენით ნინოს (ნუნეს) ქართლში მოღვაწეობას თავისი თხზულების მთელი თავი მიუძღვნა, რომელშიც ქართველთა განმანათლებელს მოციქული ქალი უწოდა და მის სახელს დაუკავშირა ქართველთა „ხსნა“. VI ს-ში ქართლში ნინოს კულტის არსებობის დამადასტურებელია ქართული „მრავალთავის“ (მასალები) რომელიც გამოიკვლია ბელგიელმა ორიენტალისტმა მ. ვან-ესბროკმა<sup>53</sup>. VII საუკუნიდან „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთ-ერთი რედაქცია შემოგვრჩა, რომელშიც „ნინოს ცხოვრების“ მცირე და ვრცელი ვარიანტებია წარმოდგენილი. უფრო გვიანი საუკუნეებიდან ჩვენამდე მოაღწია „ნინოს ცხოვრების“ არაერთმა რედაქციამ. ქართული ჰაგიოგრაფიის ძხვა ნიმუშებს შორის ეს ძეგლი გამოირჩევა შემორჩენილ რედაქციათა მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნებით. დაცულია ნინოსადმი მიძღვნილი საგალობლებიც<sup>54</sup>. ქართველი ჰაგიოგრაფები და ჰიმნოგრაფები აღიდებენ ნინოს. სხვადასხვა საქებარ ეპითეტს შორის, აღსანიშნავია, რომ მას უწოდებენ ქართველთა დედას, რითაც ხაზს უსვამენ ნინოს განსაკუთრებულ როლს ქართლის ისტორიაში.

მითითებული ფაქტების ფონზე ყურადღებას იქცევს ძველი სომხური ისტორიოგრაფიის ტენდენცია ქართლის მოქცევა გარკვეული სახით სომეხთა განმანათლებელს გრიგოლს დაუკავშიროს. ამ ტრადიციით, გრიგოლი ერთ შემთხვევაში ნინოს დამრიგებლის როლში გამოდის<sup>55</sup>, მეორეგან მას მიეწერება ქართველთა მეფის მონათვლა და ქართლში ეკლესიური იერარქიის ორგანიზება<sup>56</sup>, ხოლო მესამე შემთხვევაში ქართლის ერთ-ერთი პროვინციის — გუგარეთის — მოქცევა<sup>57</sup>.

აღნიშნული ტრადიციის გაჩენის საფუძველი რომ ძველ ავტორთა ტენდენციურობაა, ადვილი მისახვედრია: ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, პირიქით, სომეხთა გაქრისტიანების საქმეში ქართველთა განმანათლებელს მიუძღვის ღვაწლი — ნინო მონაწილეა რიფაიმესა და მისი თანმხლები ქალწულების ნათლისღებისა, რომლებიც სომხური ეკლესიის პირველ მარტილებად ითვლებიან<sup>58</sup>. ბიზანტიელი ისტორიკოსებიც სრულიად არ იხსენიებენ გრიგოლს<sup>59</sup>.

მიუხედავად ამისა, ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ძველი სომხური ისტორიოგრაფიის მონაცემები ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევეია და ნინოს კულტი (შესაბამისად მისი „ცხოვრება“) ქართლში შედარებით გვიან ჩნდება. ეს ხდება IX საუკუნეში, როცა ქართველებ-



სა და სომხებს შორის ურთიერთობის განსაკუთრებით გამწვავების და ამავე დროს ქართული ეროვნული თვითშეგნების ზრდის გამო პირველთათვის არასასურველი შეიქმნა ეცნოთ გრიგოლ პართელის, როგორც სომხეთთან დაკავშირებული მოღვაწის, როლი ქართლის მოქცევის საქმეში, იწერება „ნინოს ცხოვრება“, რომელიც სხვა განმანათლებლის — ნინოს — კულტს ამკვიდრებს<sup>60</sup>.

ბოლო ხანებში აღნიშნულ თვალსაზრისს ავითარებს სომეხი მკვლევარი პ. მურადიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ ქართველები გრიგოლს, როგორც განმანათლებელს, აღიარებენ უკვე V ს. მეორე ნახევრიდან. ამ მკვლევრის აზრით, ხორენელის მასალები აჩვენებენ ნუნე/ნინოს თანდათანობითი დავიწყების პროცესს მისი სახის გრიგოლის სახეში შერწყმის შედეგად; „გრიგოლის ცხოვრებაში“ თითქოს ასახულია ამ პროცესის დამამთავრებელი სტადია, როცა გრიგოლი მთელი კავკასიის განმანათლებლად წარმოდგება; ლაზარე ფარპელის ცნობა არშუშა ქართლის პიტიახშის მიერ გრიგოლის განმანათლებლად აღიარების შესახებ კი, პ. მურადიანის მიხედვით, მოუთითებს იმას, რომ გრიგოლის შესახებ ცნობა სომხების ტენდენციური გამონაგონი კი არ არის, არამედ სამივე ეკლესიის — სომხურის, ქართულის, ალბანურის — ოფიციალური კონცეფციაა<sup>61</sup>.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, მოსე ხორენელი არ გვაწვდის არავითარ ცნობას ამ ორი განმანათლებლის სახეთა შერწყმის შესახებ. პირიქით, ისტორიკოსი მკაფიოდ მიჯნავს მათი მოღვაწეობის სფეროებს. ნუნე — ქართველთა „მხსნელი“ — სასწაულებს ახდენს ქართლში, ქადაგებს და განმარტავს აქ ახალ რწმენას, ქრისტიანობაზე აქცევს ქართლის მეფესა და ხალხს, ამსხვრევს ქართველთა წარმართულ კერპს, აღმართავს ჯვარს. გრიგოლი კი სომეხთა განმანათლებელია. მისი მონაწილეობა ქართველთა ქრისტიანიზაციის საქმეში ამოიწურება ნუნეს დარიგებით — მიბაძოს მას კერპების შემუსვრასა და ჯვრის აღმართვაში. შეუძლებელია ამ მონათხრობში დავინახოთ ნუნეს დავიწყების ტენდენცია: მოსე ხორენელი მის მოღვაწეობას ხომ თავისი თხზულების მთელ თავს უძღვნის! საგულღისაა, რომ ამავე ცნობების საშუალებით ცოტა ქვემოთ პ. მურადიანი ცდილობს გვიჩვენოს სურათი იმისა, თუ შემდგომში როგორ იკავებს ქართლში ნინოს კულტი გრიგოლის ადგილს, ე. ი. აშკარად მის მიერ მოსე ხორენელის მასალები გამოიყენება კულტთა ისტორიაში უკუპროცესის საილუსტრაციოდ<sup>62</sup>, რაც მოუთითებს იმას, რომ მკვლევარი თვითონვე არ არის ბოლომდე დარწმუნებული თავის თვალსაზრისში.

პ. მურადიანის დასახელებული ნაშრომი გარკვეულად აგრძელებს სპეციალურ ლიტერატურაში უკვე გამოთქმულ შეხედულებას ქართლში ნინოს კულტის გვიან დამკვიდრების შესახებ. ამავე დროს შეი-

ცავს ზოგ ახალ ასპექტს. ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით მასზე, რითაც ამავე დროს პასუხი გაეცემა აღნიშნულ ტრადიციას საერთოდ ქართლში ნინოს კულტის ისტორიის საკითხის გადაწყვეტაში.

1. 1905 წელს ნ. მარმა რუსული თარგმანითა და გამოკვლევით გამოაქვეყნა არაბულენოვანი ტექსტი, რომელსაც პირობითად (აღნიშნულ ტექსტს აკლია სათაური და დასაწყისი ნაწილი) „გრიგოლის, რიფსიმესა და გაიანეს წამება“ უწოდა<sup>63</sup>.

სომეხთა მოქცევის ისტორიის ეს ვერსია ქართველოლოგიისათვის უპირველესად, საინტერესოა იმით, რომ იგი აღნიშნავს გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის გარკვეულ დამსახურებას ქართველთა გაქრისტიანების საქმეში, კერძოდ, აქ გრიგოლს მიეწერება ქართველთა მეფის მონათვლა და მღვდელმთაღრების საქართველოში დაგზავნა<sup>64</sup>. ეს გარემოება, როგორც ითქვა, ზოგ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ მოცემულ ძეგლში გრიგოლი გვევლინება ქართველთა განმანათლებლის როლშიც<sup>65</sup>, რაც ეწინააღმდეგება „ნინოს ცხოვრების“ ციკლის თხზულებების მონაცემებს, რომელთა მიხედვით ქართველთა განმანათლებელი იყო მისიონერი ქალი ნინო/ნუნე. მაგრამ ირკვევა, რომ წინააღმდეგობა განმანათლებლის ვინაობის საკითხში, ერთი მხრივ, „ნინოს ცხოვრების“ ციკლის თხზულებების და, მეორე მხრივ, „წამების“ მონაცემებს შორის, მოჩვენებითია, იგი აღმოცენებულია ამ უკანასკნელის ცნობების არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე. განვმარტოთ ნათქვამი.

სომეხეთში გრიგოლის სამისიონერო მოღვაწეობისათვის თვალის დადევნება გვაფიქრებინებს, რომ „წამების“ ავტორის აზრით, ქვეყნის ქრისტიანიზაცია მიმდინარეობს ორ ეტაპად: თავდაპირველად ხდება ახალი რწმენის დანერგვა. ესაა ქრისტიანიზაციის საფუძველი. ამ პროცესის მატერიალურ გამოხატულებას წარმოადგენს კერპების მსხვრევა, ეკლესიის მშენებლობა. ქრისტიანიზაციის დაგვირგვინება ხდება მეორე ეტაპზე ნათლისღებით. ამ დროს ეკლესიებში მღვდელმთავრებს განაწესებენ. ქრისტიანიზაციის ეტაპობრივი მიმდინარეობა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს პატრიარქ ლეონტისადმი მიწერილ სომეხთა მეფის თრდატის წერილში<sup>66</sup>.

„წამების“ მონაცემების ანალიზი აშკარას ხდის აგრეთვე იმას, რომ განმანათლებლის მისიის განსახორციელებლად ქრისტიანი მოღვაწისათვის აუცილებელია ქრისტიანიზაციის პირველი ეტაპის ჩატარება. მან უნდა მოაქციოს ახალ რჯულზე მრევლი. რაც შეეხება ნათლისცემას და საეკლესიო იერარქიის ორგანიზებას, ეს ღონისძიებანი, პაგიოგრაფის აზრით, განმანათლებლის მოღვაწეობის აუცილებელ კომპონენტებს არ შეადგენენ. ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: კესარიისაქენ მიმავალ გრიგოლს იქაური მოსახლეობა ხვდებ-

ბოდა როგორც სომხეთის განმანათლებელს — სომხების ახალ სარწმუნოებაზე მომაქცეველ პიროვნებას<sup>67</sup>. ამ დროისათვის კი გრიგოლის დამსახურება სომხთა მიმართ იმით განისაზღვრებოდა, რომ მან ისინი მოაქცია ახალ სარწმუნოებაზე, ჯერ არც მონათლული ჰყავდა ვინმე და არც მღვდელმთავრები დაესხა ეკლესიებში. კესარიასი სწორედ სასულიერო თანამდებობის (კათალიკოსობის) მოსაღებად მიდიოდა, რათა აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების საშუალება მისცემოდა.

ნათლისცემა და მღვდელმთავრების განწესება საგანმანათლებლო მოღვაწეობის არათუ აუცილებელი კომპონენტი არაა, ცალკე აღებული ისინი არც ნიშნავს განმანათლებლობას: ქართველების ქრისტიანიზაციის მეორე ეტაპი, როგორც ითქვა, „წამების“ მიხედვით უკავშირდება გრიგოლს. მიუხედავად ამისა, თხზულების ბოლოში აღნიშნულია გრიგოლის ღვაწლი მხოლოდ სომხების „ხსნის“ საქმეში<sup>68</sup>, ხალხისა, რომელსაც გრიგოლმა არა მარტო ნათელ-სცა, არამედ უქადაგა კიდევ.

აშკარაა, რომ ქრისტიანიზაციის ორივე ეტაპი მკიდროდ ურთიერთდაკავშირებულია, მეორის არსებობა აუცილებლად გულისხმობს პირველს: მხოლოდ უკვე მოქცეულ ხალხს შეუძლია შეიგარძნოს ნათლისცემის აუცილებლობა, არც მღვდელმთავრების განწესებაა შესაძლო წარმართულ, ჯერ დაუშოძღვრავ ქვეყანაში. ამ ლოგიკით, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ „წამების“ ავტორის აზრით, ქართველებმაც განვლეს ქრისტიანიზაციის პირველი ეტაპი. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ ქართველებს უნდა ჰყოლოდათ ვიღაც მისიონერი, რომელმაც მათში დანერგა ქრისტეს რწმენა.

არ ჩანს, რომ ჰაგიოგრაფი ამ მისიონერად გრიგოლს მიიჩნევდეს. „წამების“ მიხედვით, ქვეყნის მოქცევა შეუძლებელია „დაუსწრებლად“, ე. ი. მრევლის და მისიონერის უშუალო კონტაქტების გარეშე. ეს კი იმიტომ, რომ საქმეს ვერ შევლის მარტოოდენ სიტყვა. ქადაგებასთან ერთად საჭირო ხდება სასწაულის თვალსაჩინოება. სასწაულის მოხდენამდე გრიგოლის სიტყვას სომხეთში ყური არავინ მიუგდო. დიდებულებისა და ხალხის თხოვნაზე „განგვინათლე და განგვიმტკიცე გონება, რათა ვალიაროთ ღმერთი ჩვენი შემოქმედი“<sup>69</sup>, გრიგოლმა ასე უპასუხა: „თქვენ კარგად იცით, რაც შემამთხვიეთ მე, როგორ მაწამებდით ათასგვარი ტანჯვით, როგორც მკვლელს, თუმც არცერთი თქვენთაგანის წინაშე არავითარი ბრალი არ მიმიძღვის. თხუთმეტი წელი დამტოვეთ საშინელ ქვეწარმავლებთან. მაშინ როცა ვერცერთი თქვენთაგანი ვერ გაძლებდა ერთ საათსაც, მე ჩემი ღმერთის იესო ქრისტეს წყალობით უვნებელი დავრჩი. ამ სასწაულით იწამეთ ჩემი ღმერთის ძლიერება“<sup>70</sup>. აქ კარგად ჩანს

სასწაულის ძალა მოქცევისას. არანაკლებ შთაბეჭდილებას მოახდენს სომხებზე თრდატის სასწაულებრივი განკურნება გრიგოლის მიერ<sup>71</sup>.

მოკლედ, აშკარაა, რომ განმანათლებლის ზემოქმედება მრევლზე გარკვეული თვალსაჩინოებით არის განპირობებული და მისი გაშუალება არ შეიძლება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „წამების“ ავტორის მიხედვით გრიგოლი საქართველოში არასოდეს ყოფილა, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მოცემულ ძეგლში გრიგოლის მიერ ქართველთა მოქცევა არ იგულისხმება.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გაჩნდეს ასეთი კონტრარგუმენტი: „წამების“ მიხედვით, გრიგოლს ხომ უშუალო კონტაქტი ჰქონდა ქართველთა მეფესთან (თითქოს ეს უკანასკნელი სომხეთში ჩავიდა თრდატის მიწვევით) და სწორედ ამ ფაქტის აღნიშვნა მიუთითებს მისი, როგორც განმანათლებლის დამსახურების აღიარებაზე ქართველების წინაშე. მაგრამ, როგორც ითქვა, ნათლისცემა იგივე არ არის, რაც მოქცევა. გრიგოლმა კი, განსახილველი ძეგლის მიხედვით, მხოლოდ ნათელ-სცა ქართველთა მეფეს; მაგრამ კიდევ რომ დაემოძღვრა, ამის საფუძველზე მაინც ვერ ვიფიქრებდით, რომ ჰაგიოგრაფი მას ქართველთა განმანათლებლად თვლიდა. „წამების“ ავტორის საკმარისად არ ეჩვენება მითითება იმის შესახებ, რომ გრიგოლმა სომხეთში მოაქცია მეფე და დიდებულები, იგი ყოველთვის აღნიშნავს ამ აქტში ხალხის მონაწილეობასაც<sup>72</sup>. როგორც ჩანს, ქვეყნის მოქცევის სრულყოფილად ჩათვლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროცესის მასობრიობის გახაზვას. ესეც რომ არა, როგორც ითქვა, „წამება“ აღნიშნავს გრიგოლის გარკვეულ დამსახურებას ქართველთა გაქრისტიანების საქმეში. ეს დადებითი მტკიცება, მეორე მხრივ, არის მტკიცება იმისა, რომ გრიგოლს სხვა დამსახურებანი არ მიუძღვის ქართველთა წინაშე, ე. ი. არის უარყოფითი მტკიცებაც.

ამრიგად, ირკვევა, რომ „წამების“ მიხედვით ქართველებს ეგულისხმებათ განმანათლებელი და რომ ეს განმანათლებელი არ არის გრიგოლი. ვინ არის იგი?

რადგანაც „წამების“ ავტორმა ქართველთა მეფის მონათვლა და საქართველოში საეკლესიო იერარქიის განწესება გრიგოლს მიაწერა, უნდა ვიფიქროთ, რომ, მისი აზრით, ქართველთა განმანათლებელს ქრისტიანიზაციის მეორე ეტაპის ღონისძიებანი არ ჩაუტარებია თავის წილხვედრ ქვეყანაში. ამასთან საფიქრებელია, რომ მისი მოღვაწეობა საქართველოში სომხეთში გრიგოლის მოღვაწეობის პარალელურად მიმდინარეობდა: სომხეთის ქრისტიანიზაციის მეორე ეტაპისათვის ქართველებიც ხომ მზად იყვნენ ნათლისღებისა და საეკლესიო იერარქიის განწესებისათვის.

„ნინოს ცხოვრების“ სომხურ ვერსიაში, როგორც ითქვა, ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ ქართველთა განმანათლებელმა ნუნემ საქართველოში ქრისტიანიზაციის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ კითხვით მიმართა გრიგოლს თუ როგორ მოქცეულიყო შემდგომ. გრიგოლმა კერპების დამსხვრევა და ჯვრის აღმართვა ურჩია იმ დრომდე, სანამ ღმერთი მწყემსმთავარს გამოუგზავნიდა. აქედან ჩანს, რომ „ნინოს ცხოვრების“ სომხური ვერსიით ნინო წარმოდგენილია ქართველთა განმანათლებლად, რომელიც გრიგოლის პარალელურად მოღვაწეობს და რომელიც თავის წილხვედრ ქვეყანაში არ ახორციელებს ქრისტიანიზაციის მეორე ეტაპს. ამ ნიშნებით ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ „წამების“ ავტორის მიერ ნაგულისხმევი ქართველთა განმანათლებელი „ნინოს ცხოვრების“ სომხური ვერსიის ნუნე/ნინოა<sup>73</sup>. სწორედ ეს გარემოება გვქონდა მხედველობაში, როცა განმანათლებლის საკითხში „წამებისა“ და „ნინოს ცხოვრების“ ციკლის თხზულებებს შორის წინააღმდეგობის მოჩვენებითობას აღვნიშნავდით.

„წამების“ ერთ-ერთ წყაროდ „ნინოს ცხოვრების“ სომხური ვერსიის დაკონკრეტება არა მარტო თვალსაჩინოს ხდის ავტორის მიერ ნაგულისხმევ ქართველთა განმანათლებელს, არამედ გვიხსნის იმასაც, თუ რა ლოგიკით უნდა გაჩენილიყო მოცემულ ძეგლში ცნობა გრიგოლის მიერ ქართველთა მეფის მონათვისის შესახებ და მღვდელმთავრების განწესების თაობაზე: განსხვავებით „ნინოს ცხოვრების“ ადგილობრივი და ბიზანტიური ვერსიებისაგან, სომხურში არაა მოცემული ცნობა საქართველოში ქრისტიანიზაციის მეორე ეტაპის ჩატარების შესახებ. როცა დაიდასტურა ნინოსა და გრიგოლის ნაცნობობა და ის ფაქტი, რომ ნინომ ქართველები მარტოდენ დამოძღვრა, სავსებით ბუნებრივია, „წამების“ ავტორს ეფიქრა, რომ ქართლის ქრისტიანიზაციის მეორე ეტაპი გრიგოლს უკავშირდებოდა<sup>74</sup>.

ამგვარად, „წამების“ ავტორის მიერ ქართველთა გაქრისტიანების საქმეში გრიგოლისათვის მიწერილი დამსახურებანი, თუ განვიხილავთ მათ ცალკე, მისიონერის მიერ რწმენის დანერგვაში მონაწილეობის გარეშე, თვით ჰაგიოგრაფის აზრით, არ ნიშნავს განმანათლებლობას. ამიტომ არ არის სწორი დავეყრდნოთ ამ წყაროს იმის დასამტკიცებლად, რომ გრიგოლს ქართლში თაყვანს სცემდნენ, როგორც განმანათლებელს. უფრო მეტიც, ირიბად მისი ცნობები უძველესი დროიდან ქართლში ნინოს კულტის არსებობას მიუთითებენ.

2. ასევე არ შეიძლება დავეყრდნოთ ლაზარე ფარპელის ცნობას იმის საჩვენებლად, რომ V ს-ში ქართლში განმანათლებლად ნინო არ იყო მიჩნეული. არშუშა, რომელსაც აღნიშნული ისტორიკოსი მიაწერს გრიგოლის კულტის აღიარებას, არის არა ქართლის მეფე, არა-

მედ მხოლოდ ერთ-ერთი პროვინციის მმართველი. თუნდაც მხოლოდ ამიტომ მისი პოზიციის ფაიგივება ქართული ეკლესიის პოზიციასთან, არასწორია. მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში მისაღებია სხვა გარემოებანიც.

როგორც ითქვა, არშუშა მართავდა ქართლის ერთ-ერთ პროვინციას, კერძოდ, გუგარეთს. ძვ. წ. II საუკუნიდან მოყოლებული გუგარეთი//გოგარენე//გოგარანი//გუგარქი — ქართლის სომხეთთან მოსაზღვრე ნაწილი — ამ ორი ქვეყნის განუწყვეტელი დავის საგანი იყო. ეს ქართული პროვინცია ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში აღმოჩენილა სომეხთა ხელში, რომლებსაც აქ ხშირად ჰქონიათ ძლიერი პოლიტიკური გავლენა. ახ. წ. IV ს. II ნახევრიდან გუგარეთი საბოლოოდ უერთდება საქართველოს. მაგრამ სომხური ტრადიციები აქ საკმაოდ დიდხანს იქნა შენარჩუნებული: VII საუკუნეში ცურტავის ეპისკოპოსის სამწყსოში ჯერ კიდევ გამოიყოფოდა სომხურენოვანი თემი, რომელშიც ლიტურგია სრულდებოდა ორივე ენაზე — ქართულად და სომხურად<sup>75</sup>.

საფიქრებელია, რომ არშუშა სეპარატისტულ პოლიტიკას ატარებდა ქართლის მეფის მიმართ. ამაზე მეტყველებს ლაზარე ფარპელის მიერ აღწერილი შემდეგი ფაქტი: ირანის შაჰმა იეზიდგერდ II-მ (438—457 წწ.) მოუწოდა ალბანეთის, სომხეთის, ქართლის მიწების ყველა მმართველს გამოცხადებულიყვნენ მასთან. ქართველთაგან წასულან „ბღეშხი არშუშა და ამ ქვეყნის სხვა ტანუტერები“. არშუშას ეს ქმედება რომ მის სეპარატიზმს ამჟღავნებს, ეს უკვე შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში<sup>76</sup>. აღნიშნული გარემოება გასაკვირი როდია: ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში გუგარელი მთავრები თავს მშვიდად ვერ გრძნობდნენ, იყო შემთხვევები, როცა ქართლის მეფე ითავსებდა პიტიახმის ტიტულსაც<sup>77</sup>.

არშუშას სეპარატისტულ განწყობილებას კარგად ამჟღავნებს მისი დამოკიდებულება ირანის შაჰთან, კერძოდ ის, რომ არშუშა შაჰის კარზე მიღებული პიროვნება იყო. ეს, ცხადია, ხდებოდა მისი სეპარატიზმის საზღაურად. ლაზარე ფარპელი ერთ-ერთ, ეპიზოდს გადმოგვცემს: „მეფე იაზკერტის მეჩვიდმეტე წელს ქართლის იშხანი აშუშა შეეხვეწა სამეფო კარის ავაგებს, მრავალი და ურიცხვი საჭურჭლე დაახარჯა ყოველ მათგანს, განსაკუთრებით კი ურჯულო პაზარაპეტ მიჰრენეს, რომელიც დიდი ჯაფითა და მრავალი შრომით დაიყოლია ეთქვა მეფე იაზკერტისათვის, რათა ეწყალობებინა მისთვის ნეტარი მოწამის ჰმაიაკის, მამიკონიანთა გვარიდან, ვაჟები, რომელნიც სიენიელთა ვერაგ იშხანს ვასაკს წაერთმია მათი აღმზრდელებისათვის, როგორც სიკვდილით დასასჯელთა შვილები და წაეყვანათ ისინი (სამეფო) კარზე, რათა იქ მოეკლათ... მაგრამ კაცთმოყვარე ღმერ-

თმა მათი მამების წმინდა სისხლის მეოხებით დააჭერა მეფის გული და მან უწყალობა ისინი აშუშას, როგორც ფრიად საყვარელსა და დედაწლმოსილ კაცს და აუსრულა ყველასათვის დაუჭრებელი მისი დიდი თხოვნა. როდესაც აშუშამ ეს იხილა და მეფისაგან მიიღო ეს დიდი საჩუქარი, აღდგა, ყველას წინაშე კარავში დაეარდა მიწაზე, გორაობდა აქეთ-იქით და მიწას თავს სცემდა. ასე შეასრულა მან თავყვანისცემა. როდესაც მეფემ და ყველამ, ვინც იყო კარავში, ნახეს ეს, დიდად გაუკვირდნენ, რა ქნა ეს ამ კაცმაო. მეფემ ჰკითხა მას: „ქართლის ბღემხო, რა არის ეგ ახალი საქმე, რაც დღეს გვიჩვენე?“ აშუშამ უპასუხა და უთხრა: კეთილმოქმედო მეფევე, თქვენ მე ახალი საჩუქარი მომანიჭეთ, რომელიც სხვა მეგობართაგანს (თქვენს) მსახურს, თქვენგან არ მიუღია. მეც თქვენთვის ახლებური თავყვანისცემით უნდა მეცა თავყვანი, როგორც თქვენ სხვა მსახურთაგან არასოდეს გინახავთ“. როდესაც მეფემ და ავაგთა მთელმა სიმრავლემ მოისმინეს ეს სიტყვები აშუშასაგან, ძალიან აქეს ეს კაცი და დიდად გაოცდნენ<sup>78</sup>.

არშუშას სეპარატისტული განწყობილებით უნდა აიხსნას მისი არმენოფილობაც: როგორც ცნობილია, არშუშას ცოლად ჰყავდა სომეხი ქალი არწრუნთა გვარიდან. მისი რძალი წმინდა შუშანიკი, რომელიც, საფიქრებელია, არშუშას ინიციატივით იყო მოყვანილი ქართლში (აქ იზრდებოდა, ჩანს, ბავშობიდანვე), იყო ცნობილი სომეხი სარდლის ვარდან მამიკონიანის ასული. არშუშა ფართოდ უღებდა თავისი სახლის კარებს სომეხ მოღვაწეებს: ლასარ ფარპელმა ყრმობის რამდენიმე წელი გაატარა ქართველი პიტიახშის კარზე. კორიუნისა და მოსე ხორენელის შითხებით, არშუშას საქმიანი ურთიერთობა დაუმყარებია მესროპ მაშოცთან<sup>79</sup>. არშუშას არმენოფილობაზე კარგად შეტყვევლებს მისი ზემოთ აღნიშნული მცდელობაც სომეხი პატრიოტის შვილების გადასარჩენად. მისი არმენოფილობა საცნაური ხდება მის მიმართ სომეხი ისტორიკოსების კარგი დამოკიდებულებითაც: კორიუნი არშუშას „პატივცემულ და ღვთისმოყვარე“, ხოლო ლაზარ ფარპელი „ქკვიანსა და გამომრჩეველ“ კაცა უწოდებენ. ცხადია, არშუშა ასე იმიტომ იქცეოდა, რომ შაჰთან მეგობრობის გამო ქრისტიანი მოკავშირეები არ დაჰკარგოდა. სამთავროებად დაქუცმაცეულ სომეხეთთან კავშირი მის ძალაუფლებასა საპიტახშოში არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა, სარგებელს კი ბევრს იძლეოდა: ქრისტიანულ სამყაროში არშუშას კეთილი სახელი ჰქონდა გაეარდნოლი, მას მოღალატეს არავინ ეძახდა, თუმცე შაჰთან კარგ ურთიერთობაში იყო და რწმენაც გამოიცვალა. ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ყოფნით, მეფის ძლიერი ხელისუფლებით კი არშუშას უფლებები იზღუდებოდა.

პიტიახშებს ირანთან უშუალო კავშირი ხელს აძლევდათ, რადგან ეს უკანასკნელი ქართლის დაქუცმაცების მომხრე და მოსურნე იყო (ასე უფრო ადვილად დაიმორჩილებდა ქვეყანას) და ამიტომ პიტიახშის დამოუკიდებულობისაგან მისწრაფებას შაჰი მხარს უჭერდა. მაგრამ სანამ ქართლის მეფე ძლიერი იყო, გუგარეთის გამგებელთა ამ სურვილს ასრულება არ ეწერა. როგორც აღნიშნული გვექონდა, ბაკურმა ტაძარი ააშენა გუგარეთში, რითაც ხაზი გაუსვა თავის სუზერენულ უფლებებს. წყაროებში არც კი ჩანს, ვინ იყო მისი თანამედროვე პიტიახში. ძლიერი არშუშა არჩილის თანამედროვეა, რომლის დროს, როგორც უკვე ითქვა, ცენტრალური ხელისუფლება დასუსტებული იყო.

ამგვარად, ქვემო ქართლის პიტიახში არშუშა არმენოფილიც იყო და ქართლის სამეფოსაგან გამოყოფის მსურველი ფეოდალიც. ამიტომ მოსალოდნელია, რომ განმანათლებლის საკითხში მას ქართული ეკლესიისაგან განხვევებული პოზიცია დაეკავებინა სწორედ. ყოველივე ამის გათვალისწინებით კი აშკარაა, რომ მის მიერ გრიგოლ პართელის განმანათლებლად დასახელება მიუთითებს ანა ამ წმინდანის კულტის (იგულისხმება აღნიშნულ სტატუსში) არსებობაზე ქართლში, არამედ მეტყველებს საპირისპიროზე.

3. ღველი სომხური ისტორიოგრაფიის განხილული ტენდენცია მოგვიანებით აისახა სოჴეხი იერარქების წერილებში ქართლის კათალიკოსის კირონის (კირიონის) მიმართ. ამ პოლემიკური მიმოწერის<sup>80</sup> საბაზად, რომელიც ქართული და სომხური ეკლესიების განხეთქილებით დამთავრდა, იქცა კირონის მოქმედება, რომელმაც VII საუკუნის დასაწყისში, „მოჰვიდა რა ხელი აქტიურ ეროვნულ-რელიგიური პოლიტიკის გატარებას საქართველოს გაერთიანებისათვის იდეოლოგიური ნიადაგის მოსამზადებლად“<sup>81</sup>, დაიწყო ამ მიზნით გუგარეთის გარკვეული განკერძოების ლიკვიდაცია, ცურტავის<sup>82</sup> ეპარქიის სომხურენოვანი თემის შევიწროება.

ეპარქიის ეპიკოპოსი, ეროვნებით სომეხი მოსე, მხარდაჭერის მოპოვებას სომეხ კათალიკოსთან და სხვა სომეხ იერარქებთან შეეცადა. მათ სავსებით გასაგები მიზეზების გამო (კირონის მოქმედება საფრთხეს უქმნიდა სომხური ეკლესიის გავლენას ცურტავის ეპარქიაში) ენერგიულად დაიწყეს მოსეს დაცვა. და სწორედ გუგარეთის საკითხთან დაკავშირებით, სხვა არგუმენტების გვერდით, სომეხებმა გაიხსენეს თავიანთი ისტორიოგრაფიის ტრადიცია გრიგოლის დამსახურების შესახებ ქართველთა გაქრისტიანების საქმეში. სომეხი იერარქების ამგვარი მოქმედების მოტივი გასაგებია — ისინი შეეცადნენ მოეხდინათ კირონის მოქმედებათა დისკრეტირება იმით, რომ უთითებ-



დნენ: ეპარქიაში, რომელშიც ქრისტიანობა დახერგილი იყო სომეხთა განმანათლებლის მიერ, ქართლის კათალიკოსი ავიწროებდა სომეხებს.

როგორც აღინიშნა, „ეპისტოლეთა წიგნში“ შემონახული მიმოწერა წარმოიშვა ქართული და სომხური ეკლესიების ცურტავის ეპარქიაში გავლენისათვის ბრძოლასთან დაკავშირებით. ამის გამო, ბუნებრივია, როცა სომეხი იერარქები ქართველთა გაქრისტიანების საქმეში გრიგოლის დამსახურებაზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ გრიგოლის მიერ გუგარეთის მოქცევა. სწორედ ამ აზრს უჭერს მხარს აველი სომხური ისტორიოგრაფია, რომელსაც არასოდეს ჰქონია პრეტენზია გრიგოლისათვის მიეწერა მთელი ქართლის მოქცევა. რომ ეს ასეა, და რომ „ეპისტოლეთა წიგნში“ გრიგოლზე, როგორც მთელი ქართული მიწების განმანათლებელზე არაა საუბარი, ამას გვიჩვენებს X ს. სომეხი ისტორიკოსი უბტანესი, რომელიც თავის თხზულებაში „ქართველთა გამოყოფა სომეხთაგან“ იმეორებს „ეპისტოლეთა წიგნის“ ყველა ცნობას გრიგოლის დამსახურებათა შესახებ ქართველთა მოქცევის საქმეში, მაგრამ ამავე დროს შესაძლებლად თვლის მოიხსენიოს ნინო შემდეგ კონტექსტში: „... თან ჰქონდა (შუშანიკს. — მ. ჩ.) ერთი პატარა წიგნი, თავისი სამსახურებელი, ფსალმუნს იმითი აღასრულებდა და ყველა მასთან მოსულს უქადაგებდა ღვთისმსახურების ყველა წესს. მსგავსი გახდა ნუნე მოციქულისა, როცა მოეფინა მისი ქადაგება მთელ ქართველთა ქვეყანას“<sup>83</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში ძველი სომხური ისტორიოგრაფიის აღნიშნული ტენდენცია ზოგჯერ მიეწერება ქართლის კათალიკოსის წერილებსაც. მაგალითად, პ. მურადიანს აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოჰყავს მარზპან სმბატის და სომეხთა კათალიკოს აბრაამის წერილებზე (აბრაამის მეორე წერილზე) გაცემული კირონის პასუხებიდან ადგილები, სადაც, მკვლევრის აზრით, ქართული ეკლესიის მეთაური ქართველთა განმანათლებლად ასახელებს გრიგოლს. ამის გათვალისწინებით პ. მურადიანი აკეთებს შემდეგ დასკვნას: „В посланиях армянских и грузинских представителей дискутировалось многое, но никак не культ Григория, хотя, разумеется, в письмах из Армении он фигурировал чаще. Кирион против этого аргумента никаких положений не выставлял; он либо сам называл его, либо, чаще всего, предпочитал обходить этот пункт получаемых посланий молчанием. Очевидно, в литературно-церковном арсенале грузинского католика не было второго столь популярного культа, которого можно было бы противопоставлять Григорию как просветителю грузин“<sup>84</sup>.

აღნიშნულ წერილებში კირონი აყენებს ორ დებულებას: ა) ქართველები და სომხები ერთმანეთის თაყაყა იყვნენ, რადგან, ორივე ხალხს ჰქონდა იერუსალიმის სარწმუნოება; ბ) წმინდა გრიგოლის სამწყსო იერუსალიმის სარწმუნოებას იზიარებდა<sup>85</sup>. მაგრამ ამ დებულებებში არ არის დაკონკრეტებული თუ რა შედიოდა გრიგოლის სამწყსოში, შედიოდა თუ არა, კერძოდ, მასში ცურტავის ეპარქია: „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით ჩვენთვის არ არის ნათელი, რას ფიქრობდა ქართული ეკლესიის მეთაური ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე<sup>86</sup>.

და მართლაც, როგორც შეიძლება ამ პოლემიკაში იმის მტკიცება, რომ გრიგოლს მიუძღვის დამსახურება ქართველთა გაქრისტიანების საქმეში, სომეხთათვის არგუმენტი გამზდარიყო, თუ კირონი, როგორც ამას ფიქრობს პ. მურადიანი, თვითონ ასახელებდა გრიგოლს თავისი ხალხის განმანათლებლად?! ბუნდოვანება კირონის პასუხებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის და გამოწვეულია სწორედ იმით, რომ ქართველი კათალიკოსის „ლიტერატურულ-აეკლესიო არსენალში“ გუგარეთში ქართული ეკლესიის განუყოფელი გაბატონებისათვის ბრძოლას დაწყების წინ იყო სხვა განმანათლებლის კულტი, რომლის „დაპირისპირება“ შეიძლებოდა ძველი სომხური ისტორიოგრაფიული ტრადიციისათვის.

და თუ მაინც სპეციალურ ლიტერატურაში შევხვდებით კირონის პასუხების ამ ტენდენციის თვალსაზრისით გაგების შემთხვევებს, ეს ხდება იმიტომ, რომ მკვლევრები ამოდიან არა უშუალოდ კირონის ნათქვამიდან, არამედ სომეხი იერარქების წერილებში მოცემული მისი ატყუებურ პარაფრაზიდან<sup>87</sup>. მოწინააღმდეგისათვის თავისი აზრების მიწერილ სომეხები ცდილობდნენ პოზიციების განმტკიცებას პოლემიკაში.

ზემოთ განხილულმა ტრადიციამ ასახვა ჰპოვა ქართველი ავტორის არსენი საფარელის თხზულებაში, რომელიც სარგებლობდა ძირითადად სომეხი წყაროებით. მასთან ვხვდებით ასეთ ფრაზას: „... და იქმნა ცილობა დიდი შორის სომხითისა და ქართლისა. ქართველნი ეტყოდეს, ვითარმედ: „წმიდაჲმან გრიგოლი საბერძნეთით მოგუცა ჩუენ სარწმუნოებაჲ, რომელნი თქუენ დაუტევეთ...“<sup>88</sup>.

ამ ფრაზის შედარება „ეპისტოლეთა წიგნის“ მასალებთან გვიჩვენებს, რომ ამგვარად ფორმულირებული აზრი ეკუთვნის არა კირონს, არამედ სომეხი იერარქების მიერ გაყვებულ მისი ხიტყვების ტენდენციური პარაფრაზიდან მომდინარეობს. ამ წინადადების საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი არსენი საფარელს ნიანჭერს გრიგოლის ქართველთა განმანათლებლად აღიარებას<sup>89</sup>. მაგრამ ზემოთ მოტანილ სიტყვებს, როგორც შევნიშნავდა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა<sup>90</sup>, არსენი

გვაწვდის არა თავისი მხრიდან, არამედ როგორც ციტატას წყაროდან. ყველა სხვა შემთხვევაში, როცა არსენი მოგვეთხრობს თავის პირით, იგი ლაპარაკობს გრიგოლზე, როგორც მხოლოდ სომეხთა განმანათლებელზე<sup>91</sup>. და ეს სავეებით გასაგებია: XI საუკუნის შემდგომ პერიოდში, როცა მოღვაწეობდა არსენი<sup>92</sup>, ნინოს კულტი ქართლში თავის ზენიტს აღწევს. ამაზე მეტყველებენ ამ ეპოქაში შექმნილი „ნინოს ცხოვრების“ რედაქციები, კერძოდ, ლეონტი მროველისეული, მეტაფრასული და ნ. გულაბერიძისეული „ცხოვრებანი“<sup>93</sup>.

ყველაფერი უკვე თქმული კი წარმოადგენს პასუხს კითხვაზე: ყოველთვის იყო ქართლში ნინოს, როგორც განმანათლებლის, თაყვანისცემა, და მისი ღვაწლის აღმწერელი თხზულება თუ არა? ეს კითხვა დიდი ხანია წამოიჭრა სპეციალურ ლიტერატურაში და მკვლევართა ნაწილის აზრით, VII საუკუნიდან (V საუკუნიდანაც კი) X ს-მდე ქართველები განმანათლებლად აღიარებდნენ გრიგოლს ნინოს მაგიერ. მაგრამ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გვაყენებს უფრო რთული პრობლემების წინაშე: გაურკვეველია, რას უნდა ეიძულებინა ქართველები V ს-ში ან VII ს-ში თავიანთ განმანათლებლად ელიარებიანთ გრიგოლი — სომეხთა განმანათლებელი, რით უნდა აიხსნას შუა საუკუნეების ქართლში ერთი განმანათლებლის კულტის მეორეთი ასეთი მოულოდნელი შეცვლა და ა. შ?

აღნიშნულ ნაშრომში პ. მურადიანი შეეცადა აეხსნა კავკასიაში გრიგოლის პოპულარობის მიზეზები. მისი აზრით, გრიგოლის სამოქმედო ასპარეზის საზღვრების გაერცვლება მთელი რეგიონის მასშტაბით ადვილი გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ კულტურული თვალსაზრისით შუა საუკუნეებში კავკასია ერთიანი იყო. ეს მოკლენა ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ხანაში ვლინდებოდა საერთო კულტების არსებობაში. გაქრისტიანების შემდეგ კი, კიდევ უფრო განმტკიცებული კავშირების დროს, როგორც შედეგი და გამოვლენა მრავალსაუკუნოვანი კულტურული ერთობისა, წარმოიშვა საერთო განმანათლებლის — გრიგოლის კულტი<sup>94</sup>.

ამგვარად, მკვლევრის ლოგიკით, გრიგოლის, როგორც საერთო განმანათლებლის კულტის წარმოშობა, მომზადებული იყო ისტორიულ მოვლენათა მთელი მსვლელობით. მაგრამ განა დებულებიდან — კავკასია ერთიანი იყო კულტურული თვალსაზრისით (ამ ერთიანობას აქვს, ცხადია, შეფარდებითი ხასიათი და არ გამოირიცხავს მრავალფეროვნებას) — გამომდინარეობს ის, რომ იქ ყველგან ერთი და იმავე განმანათლებლის თაყვანისცემა უნდა ყოფილიყო? და კიდევ: როგორ უნდა წარმოვიდგინოთ რეალურად, რომ მხოლოდ კულტურული ურთიერთობის საფუძველზე ერთმა ხალხმა დაიწყო მეორე ხალხის განმანათლებლის თაყვანისცემა? სპეციალურ ლიტერატურა-

ში, სავსებით მართებულად, ცვლილებანი ამა თუ იმ ხალხის რწმენაში არ განიხილება კულტურული მოვლენების პლანში. პოლიტიკურ სიტუაციას კი, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართლში სომეხთა განმანათლებლის კულტის დანერგვას, როგორც ცნობილია, ადგილი არა აქონია შუასაუკუნეობრივი კავკასიის ისტორიაში.

განხილული წერილის შედეგები შემდგომში როგორც მამტიციე-ბელი საბუთი პ. მურადიანმა დაიმოწმა თავის წიგნში „აგათანგელო-სის ძველი ქართული რედაქციები“. აღნიშნული ნაშრომის ერთ-ერთ შენიშვნაში, კერძოდ, ვხვდებით ასეთ მსჯელობას: ფავნელთა „დაწერილში“, რომელსაც მკვლევრები IX ს. II ნახევრით ათარიღებენ, ნათქვამია, რომ ქართლში ქრისტიანობა იქადაგეს წმინდა ქალწულებმა, რომლებშიც რიფსიმეანები უნდა ვიგულისხმოთ. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი იხსენებს შოსე ხორენელის მონათხრობს ნუნეს შესახებ და ასკვნის, რომ ხორენელი ოთხი საუკუნით ადრე მიუთითებდა იმის შესახებ, რასაც მოწმობს ფავნელთა „დაწერილი“. ეს კი, პ. მურადიანის აზრით, გვიჩვენებს იმას, რომ IX საუკუნეში ჭერ კიდევ არ იყო შექმნილი „ნინოს ცხოვრების“ ის რედაქცია, რომელსაც ჩვენ შატბერდის კრებულში ვპოულობთ. აქ მკვლევარი უთითებს ზემოთ განხილულ წერილს და თვლის, რომ ფავნელთა „დაწერილის“ ცნობა მის მიხედვას ნინოს კულტის და მისი ცხოვრების შესახებ მტკიცე საფუძველს უქმნის<sup>95</sup>.

ამ საბუთის შემდგენლის აზრით, მართლაც, ქართველთა მოქცევა უკავშირდება რიფსიმეანებს<sup>96</sup>. როგორც პ. მურადიანიც აღნიშნავს, ეს ასე აქვს წარმოდგენილი მოსე ხორენელსაც, რომელიც ასახელებს კონკრეტულად ამ რიფსიმეანსაც: ესაა ნუნე (ნინო).

ნინო რომ რიფსიმეანთა მეგობარია (რიფსიმეანია), იცის არა მარტო ხორენელმა, არამედ „ნინოს ცხოვრების“ ყველა ადრინდელმა ადგილობრივმა რედაქციამ. აი, როგორაა ეს ფაქტი წარმოდგენილი „ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციაში: „მით უამითგან მეთათესა წელსა წარვიდა ჰელენე იერუსალმად ძიებად პატიოსნისა ჭუარისა. და მეთათოთხმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადაგი, სახელით რიფსიმე, რომლისამე მიზეზისათჳს დედა-მძუძითურთ. და იყო მის თანა ტყუე ერთი დედაკაცი შეენიერი, სახელით ნინო, რომლისა საქმე მისი განიოძია ჰელენე დედოფალმან, და იყო იგი პრომი მთავარი, და თვთ მოველო გზად თჳსი და ექმნენს კურნებანი. და მოწვეულ იყო საბერძნეთა და ჰმოდღურიდა მთავარსა მას რიფსიმეს. და ვითარცა წარმოივლტოდა რიფსიმე ზღუად, გაიანე და ნინო და სხუანი ვინმე მათ თანა გამოვიდეს არეთა სომხითისათა, საყოფელსა თრდატ მეფისასა, და იგინი იმარტკლნეს მუნ. ხოლო ნინო დაშთა და წარმოე-

მართა მათა კერძო ჩრდილოდასათა და მოვიდა მდინარეს მტკუარსა, მოჰყვა და მოვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა, მეფეთა საჯდომელსა“<sup>97</sup>.

ნათლად არის ნაჩვენები ნინოს კავშირი რიფსიმეანებთან (ნინოს რიფსიმეანობა) ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში.“ ნინო ჰყვება: „...ოდეს მივედით სახიდ მისა, მუნ ეპოვეთ დედუფალი ვინმე შეფეთა ვადაგი, სახელით რიფსიმე, რომელი ელოდა იერუსალჴმით ნათლის-ღებასა და ქრისტეს აღსაარებისათვის სუროდა. მაშინ მიმცა მე კელთა მისთა დედაკაცმან მან, და მივეც მას ნათელი კელსა ქუეშე ჩემსა, მასთა და რომეოცსა სულსა მის თანა სახლისა მისისათა. და წარვედით სახიდ მისა და ვიყვნეთ მუნ ორ წელ. მაშინ მოხედა უფალმან საბერძნეთსა და პრწმენა შეფესა კოსტანტინეს და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან და ყოველმან პალატმან მათმან... წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტეანობასა. მეშვდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას, და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით. რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამბოძქ და ორნეოც და ათი სული წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა. ზოლო მე დავმოქეკალთა შინა ვარდისათა“<sup>98</sup>...

ასევეა ხაზგასმული ნინოს რიფსიმეანობა ლეონტი მროველისეულ რედაქციაში<sup>99</sup>. ეს პასაჟი ამოღებულია მხოლოდ გვიანდელ, მაგალითად, მეტაფრასულ, პერიფრაზულ, რედაქციებში. ასე რომ, ფავენელთა „დაწერილში“ ქართველთა მოქცევის რიფსიმეანებთან დაკავშირება სრულიადაც არ ამტკიცებს „ნინოს ცხოვრების“ აზარსებობას. პირიქით, ამ ფაქტის გაჩენა აღნიშნულ საბუთში სწორედ ამ თხზულებრს ტრადიციიდან უნდა გამომდინარეობდეს: ქართველთა განმანათლებლის რიფსიმეანობა „ნინოს ცხოვრების“ ციკლის ნაწარმოებებშია აღნიშნული.

ზემოთქმული უეჭველად იძლევა საფუძველს ეპკვი შევიტანოთ განხილული წყაროების ტრადიციულ ინტერპრეტაციაში და მათ საფუძველზე გაკეთებულ დასკვნაში იმის შესახებ, რომ გარკვეულ საუკუნეებში ქართველები თავიანთ განმანათლებლად აღიარებდნენ სომეხთა განმანათლებელს გრიგოლს. ეს თვალსაზრისი არასწორია. იგი გაჩნდა ცალკეულ ცნობათა ფაქტთა სისტემის გარეშე განხილვისა და წყაროთა ტენდენციური ინტერპრეტაციის შედეგად. ნინო, როგორც ქართველთა განმანათლებელი, ქართლში ქრისტიანობის მთელი ისტორიის მანძილზე იყო აღიარებული. რაც შეეხება ზოგ იმ ცნობას, რომლებიც ქართველთა მიმართ გრიგოლის დამსახურებას

გახაზავენ, ისინი არათუ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ თვალსაზრისს, არამედ ირიბად კიდევ განამტკიცებენ მას<sup>100</sup>.

ამგვარად, არავითარი დაბრკოლება არ ეღობება ზემოთ პოზიტიური მსჯელობების საფუძველზე მიღებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ „ნინოს ცხოვრების“ ადგილობრივი ვერსია არსებობდა უკვე IV საუკუნეში<sup>101</sup>.

## თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

### „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წარმოშობის თარიღისათვის

1. ვრცელ „ნინოს ცხოვრებას“, რომელიც, როგორც ითქვა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ნაწილია, მოგონებათა კრებულის სახე აქვს<sup>1</sup>. ნინოს ბიოგრაფიის სხვადასხვა მომენტს იგონებენ ავტორი (კრებულის შემდგენელი)<sup>2</sup>, თვით ნინო და მისი მოწაულები თუ თანამოღვაწენი: ებრაელი ქალი სიდონია, მამამისი აბიათარი, საბერძნეთიდან მოსული მღვდელი იაკობი და მირიან მეფე.

კრებული იხსნება ავტორისეული მოგონებით. ქართლის ისტორიაში ნინოს როლის ლაკონიურად განსაზღვრის შემდეგ („წმიდამან და სანატრელმან დედოფალმან ნინო, რომელი გუექმნა მახარებელ გულთა ჩუენთა და მლხინებელ სულთა და კორცთა ჩუენთა, ვითარ განიშორა ერთი ესე სამეფოჲ ქუეყანაჲ ჩრდილოჲსაჲ, მცხეთისა მეფეთა სამეფოჲ, არწმუნა ყოველთა აღსაარებაჲ მამისა და ძისა წმინდისა სულისაჲ, ნათლის-ღებითა მოსლვაჲ ქრისტესი და შობაჲ წმიდისაგან ქალწულისა, ნათლის-ღებაჲ და სიკუდილი ქრისტესი და აღდგომაჲ მკუდრეთით, შემდგომად სიკუდილისა უკუდავებაჲ და ცხორებაჲ, მეორედ მოსლვაჲ ძისა ღმრთისაჲ ქუეყანად, მართალთა ცხოვრებაჲ და ცოდვილთა შურისგებაჲ, რამეთუ მისა არს სუფევაჲ უკუნითი უკუნისამდე და მერმეცა, ამენ“<sup>3</sup>). აქ ყურადღება ექცევა იმ ზალხმრავალ კრებას, რომელიც სასიკედილოდ დასნეულებულ ნინოსთან გაშოსათხოვრად შემდგარა დაბა ბოდში („ვითარ მოიწია ქუეყანასა კხოეთისასა, დაბასა ბუდს, დასნეულდა სნეულებითა მით, რომლითაცა ზო-ცა-კუდა. მაშინ შეკრბეს მეფენი ქუეყნისანი და მთავარნი დედებითურთ და სიმრავლჳ ერთა ძლიერთაჲ, რამეთუ ჰხედვიდა ყოველი კაცი პირსა ნინოჲსსა ვითარცა ზეცისა ანგელოზისასა, დასცუეთდეს მცირესა მას და ძუელსა სამოსელსა მისა მთხუევეითა სარწმუნოვებით და იძულებით“<sup>4</sup>) სწორედ ამ დროს უთხოვიათ ნინოსათვის ეამბნა თავისი ცხოვრების შესახებ („ვევდრებოდეს ყოველნი იგი დედოფალნი გარემო მსხდომარენი, რომელთა დამოსდიოდეს ნაკადულნი ცრემლთანი თუალთაგან მათთა განშორებისათჳს მოძღურისა, მო-

ლუაჩისა და სნეულთა მკურნალისა კელოვნისა. ეტყოდეს დედოფალი სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი; და მათ თანა ყოველნი მთავარნი ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: „ვინაჲ ანუ ვითარ მოშუერ შენ ქუეყანასა ჩუენსა მაცხოვრად ჩუენდა, ანუ სადა-მე იყო აღზრდაჲ შენი დედოფალო? მაჟწყე ჩუენ საქმე შენი“<sup>5...</sup>).

ნინო აკმაყოფილებს მათ თხოვნას და მსმენელთ უამბობს თავის თავგადასავალს. მის ნაამბობს, ნინოსავე მითითებით — ჩაიწერონ („ესერა მოსრულა სული ჩემი კორკად ჩემდა, დამეძინებინ ძილითა მით დედისა ჩემისაჲთა საუკუნოდ. არამედ მოიხუენით აღსაწერელნი წიგნისანი და დაწერეთ სიგლახაკჲ ჩემი და უღები ცხორებაჲ ჩემი, რაჲთა უწყოდინა შვილთაცა თქუენთა სარწმუნოვებაჲ თქუენი და შეწყნარებაჲ ჩემი და სასწაულნი ღმრთისანი, რომელნი გიხილვან“<sup>6</sup>). აფიქსირებენ სალომე და პეროჟავრი. ასე მთავრდება ავტორის ტექსტი აჲ ძეგლში? შემდგომში გზადაგზა იგი თავს შეგვახსენებს ლაკონიური მითითებებით იმის შესახებ, თუ ვინ წარმოთქვა ესა თუ ის სიტყვა, ან ვისი ჩანაწერია იგი: „ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი“; „აღწერილი მისევე სალომე უჯარმელისაჲ; „მოწევენაჲ წმიდისა ნინოჲსი მცხეთად, აღწერილი მისივე სალომე უჯარმელისაჲ“; „რომელი აღწერა დედაკაცმან ჰურიამან, სახელით სიდონია, ასულმან აბიათარ მღღელისამან“; „თქუმული სიდონიაჲსივე დედაკაცისაჲ“ „თქუმული მისავე“; „მისივე აღწერილი აღშენებისათჳს ეკლესიათაჲსა“; „თქმული მისივე“ „რომელი თქუა აბიათარ, რომელი იყო პირველ მღღელი ბაგინსა შინა ჰურიათასა მცხეთას და ნათელ-ილო კელსა შინა ნინოჲსსა“; „პატოსნისა ჯუარისათჳს, რომელი აღწერა იაკობ“; „წიგნი. რომელი დაწერა მირიან მეფემ ქართლისამან ყამსა სიკუდილისასა. აღწერა კელითა იაკობ მთავარებისკოპოსისაჲთა და მისცა სალომეს უჯარმელსა, ძის ცოლსა თჳსსა, რომელი მეცნიერ იყო ყოველსავე ქეშმარიტად“.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „თავების ზედწარწერაში პეროჟავრ სივნიელის სახელს ჩვენ ვერსად ვხვდებით“. ეს ფაქტი (ბევრ სხვა ფაქტთან ერთად, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი) მიჩნეულია ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ ხარვეზად. რაც სწორი არ არის. სრულიად ლოგიკურია, რომ ნინოს თქმულის. როგორც ისტორიული მნიშვნელობის სიტყვის; ჩაწერას დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდნენ და რამდენიმე პარალელური „სტენოგრამის“ საპიროება ეგრძნოთ. ავტორი, მართლაც, ჯერ გვამცნობს, რომ ნინოს ნაამბობი ერთდროულად ორმა პირმა ჩაიწერა, ხოლო შემდეგ ზედწერილებში მარტოდენ სალომეს აღნიშვნით, გვიზუსტებს თუ კონკრეტულად რომელია შექმნილი ორი ვარიანტიდან წარმოდგენილი ტექსტი. ამგვარად, აქ არავითარი შეუსაბამობა არ არის. ერთი



რამ კია: ჰაგიოგრაფს არ აღუნიშნავს, რის გამო ენიჭება სალომე-სეულ ტექსტს უპირატესობა. მაგრამ ეს გარემოება ხარვეზზე როდი მიუთითებს. ანონიმის არჩევანის მიზეზი სხვაა. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

თავის მოგონებაში ნინო ოთხ მომენტზე ამახვილებს მსმენელთა ყურადღებას: მშობლების ვინაობა, ქართლით დაინტერესების მიზეზი, თავგადასავალი ქართლისაკენ მიმავალ გზაზე და პირველი შთაბეჭდი-ლებები მცხეთაში. ამ ნაამბობიდან ირკვევა, რომ ნინოს მშობლები სანიმუშო მორწმუნეები იყვნენ: როცა ნინოს თორმეტი წელი შეუს-რულდა, მათ გაჰყიდეს თავიანთი ქონება და წავიდნენ იერუსალიმში. აქ დედამისი სუსანა „გლახაკთა, დედათა უძლურთა“ მსახურად დად-გა<sup>9</sup>, ხოლო მამამისმა ზაბილონმა, რომელმაც ჯერ კიდევ სიჭაბუკეში მოაქცია ერთ-ერთი ხალხი, ბრანჯები, თავისი დანარჩენი ცხოვრება მთლიანად მისიონერულ მოღვაწეობას მიუძღვნა („წარვიდა წაღ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელ რაჲ ყოფაჲ მისი იცის მისმან უფალმან იესუ“<sup>10</sup>)

ქართლით ნინოს დაინტერესება ასე მომხდარა: მის მასწავლე-ბელს სარა მიაფორს ქრისტიანობის ისტორიის შესახებ საუბარში აღუნიშნავს, რომ ჯვარცმული უფლის კვართი მცხეთელ ებრაელებს ერგოთ წილით. ნინოს საგანგებოდ დაუზუსტებია ამ ქვეყნის მდებარეობა, სადაც ასეთი რელიკვია იყო: „სადაჲ არს ჩრდილოჲსა იგი ქუეყანაჲ, ანუ სადა არს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისაჲ“<sup>11</sup> ?

მძიმე ყოფილა გზა ქართლამდე. სომხეთში მისი მეგობარი რიფ-სიმინანები უწყალებიათ. ამას დართვია მძიმე ბუნებრივი პირობები („დავიზამთრე ჳირთა შინა დიდთა“<sup>12</sup>... „ვიუდეგ გზასა ძნელსა და ფიცხელსა“<sup>13</sup>... „მივხედენ მათთა ჩრდილოჲსათა, რამეთუ დღეთა ზაფხულისათა საესენი ჩნდეს ჳირირითა და თოვლითა სასტიკითა. და შეედრწუნდი ფრიად“<sup>14</sup>...). მაგბამ ეს სირთულეები ნინოს, გადაულახავს იმით, რომ ყველაზე კრიტიკულ მომენტებში ზეციდან გამამხნევებელი სიტყვები ესმოდა. ნინო ვრცლად აღწერს წარმართულ დღესასწაულს მცხეთაში, კერაების მსხვერვეს, რაც, როგორც აჩვენებს, მისი ლოცვის შედეგი იყო. საგანგებოდ ჩერდება საკუთარ ემოციებზე ამ დროს: „მაშინ ვტიროდე და სულთ-ვითქუემდ ღმრთისა მიმართ ცთონათა მათოვს ქუეყნისა ჩრდილოჲსათა, დაფარვასა ნათლისასა და დაპყრობასა ბნელისასა. ვხედვედი მეფეთა მათ ძალ-დიდთა და ყოველთა მთავართა, რამეთუ ცოცხლივ შთაენთქნეს ეშმაკსა, იუთარცა მკუდარნი ჳოჯოხეთსა და იტყოდეს დამბადებლად ქვითა და ძელთა, და სპილენძსა და რკინასა და რვალსა, გამობერვით განქედილსა ღმრთად თავყუანის-სცემდეს. ესენი იცოდეს ცისა და ქუეყანისა შემოქმედად... მაშინ ავიხილენ ჳეცად და ვთქუე: „უფალო, უფალო. მრავლითა ძალითა შენითა გაცრუვნეს შენ მტერნი ესე...“<sup>15</sup>

ასეთია ზოგად ხაზებში ქართლის განმანათლებლს მოგონებ-  
ინტერვიუ. ინტონაცია არის საკმაოდ ინტიმური, როგორც ეს მე-  
მუარულ ჟანრს შეჰფერის, აღწერილობა — ცხოველმყოფელი და სა-  
ხეობრივი — დიდი ზემოქმედების უნარის მქონეა<sup>16</sup>. ეს თხრობა და-  
მუხტული ჩანს იდეურადაც: მისგან გამომდინარე, აუდიტორიას უნ-  
და ეფიქრა, რომ ქართლში ნინოს მოსვლა ღვთაებრივი ნების გამოხა-  
ტულება იყო.

ნინოს მონათხრობს განსახილველ ძეგლში სიღონიას თქმული  
მოსდევს. როგორც აღინიშნა, ნინოს მოგონებას ინტერვიუს ხასიათი  
აქვს: ცანმანათლებელს ეკითხებოდნენ, ის კი პასუხობდა. სიღონიას  
შემთხვევაში კითხვა აღარ არის. მაგრამ მისი ნაამბობიც კრებაზე მი-  
ცემულ ინტერვიულ წარმოგვიდგება, სხვაგვარად სიღონიას შემოსვლა  
გაუგებარია.

თავისი სიტყვის ბოლოში განმანათლებელს ყურადღება აქვს  
გამახვილებული ერთ ჩვენებაზე („და მათვე დღეთა შინა ორგზის და  
სამგზის ვიხილე ჩვენებასა შინა მცირედსა მას მირულებასა ჩემსა  
მუკლთა ზედა, მოვიდიან მფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინა-  
რესა, დაიბანიან და მოვიდიან სამოთხესა მას, და ბაბილოსა მას მო-  
ისთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან, და მოწოდდ ჩემდამო და-  
ლადებედ, რეცა ჩემი არს სამოთხე იგი. გარე მომადგიან უღავილით  
და კმობედ ჩემდა მომართ მრავალფერად და შეუენიერ იყო ხილვად  
მათი. და მრავალგზის იყო ესე“<sup>17</sup>), რომელთანაც დაკავშირებით იხ-  
სენიებს სწორედ სიღონიას („და უთხარ ესე დასა ჩემსა, ასულსა  
აბიათარისასა“<sup>18</sup>). ნინოს საჭიროდ მიუჩნევია ამ ჩვენების სიმბო-  
ლური შინაარსის გასახსნელად სიღონიას განმარტების მოტანა („ჩუე-  
ნებად შენი არს ესე, რამეთუ ადგილი ესე სამოთხისაა შენ მიერ  
იქმნეს სამოთხე სადიდებელად ღმრთისა, რომლისაა არს დიდებად აწ  
და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“<sup>19</sup>), რითაც ხაზს უსვამს  
ამ პიროვნების ავტორიტეტულობას. ამგვარად წარუდგენს ქართლის  
განმანათლებელი მსმენელთ სიღონიას, რაც სიტყვის გადაცემის თა-  
ვისებური ფორმაა, რა თქმა უნდა.

ის, რომ სიღონია ასე საგანგებოდ იქნა წარდგენილი, შემთხვევი-  
თი არ არის. ეს აზრი გამომდინარეობს თხზულების შინაგანი ლოგიკი-  
დან: სიღონია ეხება რამდენიმე უმნიშვნელოვანეს საკითხს და მის  
სიტყვებს ფაქი უნდა ჰქონდეს; ეს საკითხებია: ქართლის ცხოვრება  
ნინოს მოსვლამდე, კვართის მცხეთაში მოტანის ისტორია (კვართის  
შესახებ ნინო მხოლოდ ორი სიტყვით აღნიშნავს), მირიან პეტის  
მოქცევა ნადირობის დროს, ეკლესიის მშენებლობა; სიღონია იგო-  
ნებს თავის პირველ შეხვედრასაც ნინოსთან, მის მიერ მოხდენილ  
კურნების სასწაულებს.

ერთი საკითხიდან მეორეზე სიღონია გადადის უშუალოდ, ყოველგვარი შემაერთებელი თხრობის გარეშე. მაგალითად, კვართის შესახებ თხრობას ამთავრებს მამამისის სიტყვებით „ელიას ხალუნის“ დაფლვის ადგილის შესახებ („... მან ესთენ დადვა ნაწილი ჩემ თანა და მრქუა: „აქა არსო ადგილი სამარხოჲო მისო, რომელსა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ, მას ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა ადგილი იაკობისი კიბედ ხილული და ზეცად აღწევნული ამიერითგან და უკუნისამდე, დიდება და ქება მოუკლებელ“<sup>20</sup>). ამის შემდეგ პირდაპირ იწყებს: „ოდეს ვიხილე ასულმან აბიათარისამან სიღონია წმიდაჲ ნინოჲ თავსა ციხისასა პირველ მცხეთისასა, კოშკსა მას მალალსა, ბრინჯთა მათ ქუეშე, ბრატმან მეფისა საგრილთა, და სასუენელთა ჯდა, ოდეს-იგი შექუსრნა უფალმან არმაზ“<sup>21</sup>...

აღნიშნული თავის ბოლოში საუბარია სპარსი ხუარას განკურნების შესახებ „და მსწრაფლ განვიდა სული იგი ბოროტი. და დაემოწაფა წმიდასა ნინოს იგი და ყოველი სახლი მისი, და ადიდებდა ღმერთსა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ანენ“<sup>22</sup>), რასაც უშუალოდ ებმის: „და იყო დღესა ერთსა, ესმსა ზაფხულისასა, თუესა ივლისსა :; დღესა შაჟათსა, აღჯდა მეფე და განვიდა ნალირობად“<sup>23</sup>. მოკლედ, იქნება შთაბეჭდილება, რომ კითხვები („როგორი იყო ქართველთა ცხოვრება ადრე?“ „როგორ აღმოჩნდა მცხეთაში ის კვართი, რომელიც ნინომ ახსენა?“ „კურნებათა შესახებ რას იტყვით?“ „მირიან მეფის მოქცევის შესახებ?“ „ეკლესიის მშენებლობა როგორღა იყო?“) ამოჭრილია და „კადრში“ მიღის მხოლოდ პასუხები.

ადგილობრივი ისტორია, ბუნებრივია, ნინოს არ შეიძლება სცოდნოდ (ისევე როგორც მის ყმაწვილქალობაზე სხვებს აო შეიძლება სცოდნოდათ ქართლში). ჩანს, ამიტომაც ჰყვება მას სიღონია. მაგრამ აქ საგულისხმოა ის გარემოება, რომ სიღონიაზე უკეთ ამ ტიპის ფაქტებში აბიათარი ყოფილა განსწავლული. სიღონია სწორედ მას უთითებს თავისი გამოსვლის ერთ-ერთ წყაროდ („და ამისა ყოვლისა შემდგომად თხრობასა გითხრობ მამისა ჩემისასა, რომელი წიგნთგან ვიცი კითხვით და მამისა ჩემისაგან თხრობილსა“<sup>24</sup>). რატომ თვით აბიათარი არ ამბობს თავის სათქმელს? კრების მონაწილეთათვის ეს გასაგები უნდა იყოს: აბიათარი ბოდში არ იმყოფება. ეს ირკვევა იაკობის სიტყვიდან, რომელიც შემდგომ გამოდის კრებაზე. კერძოდ, აქედან ჩანს, რომ აბიათარი განმანათლებელს მთის ექსპედიციაში არ ახლდა, იგი სპეციალური დავალებით — განემტკიცებინა მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოება — დარჩენილა მცხეთაში. „მაშინ დაუტევა წმიდამან ნინო მცხეთაჲ ქალაქი და წარვიდა მთე-

ულთა ხარებად პირუტყუთსახეთა მათ კაცთა და შემუსვრად კერპთა  
ნათ. ხოლო აქა შინა დაუტევა აბიათარ, ჰურიაყო-  
ფილი იგი მღვდელი, რომელი იყო მეორე პავლე, რომელი არა  
დასცხრებოდა ღამე და ღლე ქადაგებასა ქრისტესსა<sup>25</sup>...). ყველაფერი  
ამის გათვალისწინებით კი გასაგებია, თუ რატომ პასუხობს სიღონია  
კითხვას კვართის ისტორიის შესახებ. ლოგიკურია ისიც, საგანგებოდ  
რომ არ არის გახაზულ რაბიათარის კრებაზე არყოფნა: მის მონაწილე-  
ებს ეს ფაქტი ზომ ისედაც უნდა დაენახათ.

იგივე ითქმის მირიან მეფის მოქცევის შესახებაც. ამის თაობაზე  
საუბარი, რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთ შეეძლო თვით მირიანს. მაკ-  
რამ „ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციიდან ცნობილია, რომ ბოდ-  
ში მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლება (უუარმელები) ჩავიდნენ.  
ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ მირიანი თავზე არ ადგა სასიკვ-  
დილოდ დასწეულბულ ნინოს: „და დასწეულდა (ნინო. — მ. ჩ.) და  
წარმოემართა მცხეთად. და ვითარცა მოიწია კხოეთას, დაბასა, რო-  
მელსა ჰრქვან ბოდინი, ვერღარა ეძლო სლვად. და მოხლო-ვიდეს  
უუარმით ქალაქით რეც, ძმ მეფისაჲ, და სალომე, ცოლი მისი, და ასუ-  
ლი მისი, და ზედაადგეს მოურნედ. და მოუვლინეს მცხეთით  
მეფემან და ცოლმან მისმან ნანა იოვანე მთავარ-  
ეპისკოპოსი ხილვად და წარყვანებად. ხოლო მან  
არა ინება“<sup>26</sup>...

ამჟერადაც გასაგებია ძეგლის შინაგანი ლოგიკა: სიღონია მეფის  
მოქცევის ეპიზოდს ჰყვება იმიტომ, რომ ამ კონკრეტულ თავყრილო-  
ბაზე მასზე უკეთ ამ ფაქტის გადმოცემა არავის შეუძლია.

ვრცელია სიღონიას მიერ მოთხრობილი ეკლესიის მშენებლობის  
ეპიზოდი. აქ აღწერილია მრავალი სასწაული. საქმე იმაშია, რომ სი-  
ღონიას მიხედვით, ეკლესიის ერთ-ერთი სვეტის აღმართვა ვერაფრით  
მოახერხეს. ამიტომ ქართლში ქრისტიანობის საბოლოოდ დაწერგვა  
რომ არ დაბრკოლებულიყო, ნინო თავისი მოწაფეებითურთ დარჩენი-  
ლა სვეტთან, რათა მთელი ღამე ელოცა („ხოლო ნეტარი ნინო დაშთა  
ადგილსავე და ათორმეტნი დედანი სხუანი. ზოლო სანატრელი იგი  
გოდებდა და დაადენდა ცრემლთა სუეტსა მას ზედა“<sup>27</sup>, — იგონებს სი-  
ღონია). ამ ლოცვის დროს სიღონიასა და დანარჩენი ქალების წინაშე  
გადაშლილა კერპების სადგომი მთების რღვევის შემადრწუნებელი  
სურათი. ქალებს შეშინებიათ: „და შეშინდეს დედანი იგი და ივლ-  
ტოდეს, და მეცა მათ თანავე“<sup>28</sup>. ისინი ნინოს შეუჩერებია და განუ-  
მარტავს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენებაა, სიმბოლურად ქარ-  
თლში ურწმუნოების მოსპობის გამომსახველი („ნუ გეშინინ, დანო ჩე-  
მნო, მთანი იგი მუნვე ჰგიან და წყალნი იგი მუნვე დიან და ერსაყო-  
ველსა სძინავს, ხოლო ესე, რომელ რეცა მთანი დაირღუეს, სამარ-

თლად გუაჩუენებს, რამეთუ ურწმუნოვებისა მთანი დაირღუეს ქართლს შინა<sup>29</sup>).

ქართლისათვის ამ ისტორიულ ლამეს ლოცვად დაზღვარ ქალებს კვლავ მოვლენიათ სასწაული, რომელიც ამჯერად მცხეთაზე სპარსთა ლაშქრის თავდასხმის მოჩვენებაში მდგომარეობდა. სიღონია და მისი მეგობრები ამ ფაქტებსაც ძალიან დაუფრთხა („და მოვიდა ჩუენ ზედა სიმრავლქ ზახილთაჲ და მახვლთაჲ, და დადნეს კორცნი ჩუენნი და განილა სული ჩუენი. ხოლო მე ვტიროდე მაჰისათჳს და ნათესავთა ჩემთათჳს“<sup>30</sup>). მათგან განსხვავებით ნინო ამ ფაქტსაც მშვიდად შეხვედრია („და განძრა მარჯუენე თჳსი და დასწერა კელითა სახქ ჟუარისაჲ, და მეყსეულად უჩინო იქმნა ყოველი იგი სიმრავლქ ერისაჲ, და იქმნა დაყუდება დიდ. და ჩუენ ვადიდებდით ღმერთსა და ვპნატრიდით წმიდასა და სანატრელსა ნინოსს“<sup>31</sup>).

სიღონია აგრძელებს: „ვითარცა ცისკარი აღელებოდა, მცირედ მიერულა დათა მათ ჩემთა, ხოლო მე მღვძარქ ვიყავ და წმიდაჲ ნინო დგა კელ-აღპყრობილ. და აჰა ესერა ზედა-ჰოადგა კაბუკი ერთი ყოლადვე ნათლითა შემოსილი, და მოებლარდნა ცეცხლის სახედ ზეწარი, და არქუნა სამნი რაჲმე სიტყუანი ნეტარსა ნინოს. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თჳსსა. ხოლო კაბუკმან მან მიყო კელი სუეტსა მას და უპყრა თავი და აღაძალა და წარიღო სიძალღესა ცათასა და მე განკვრეებული მივეახლე და ვარქუ ნეტარსა დედოფალსა: „რაჲ არს ესე“? ხოლო მან მომღირიკა თავი ჩემი ქუეყანად. და მე ტირილად ვიწყე ზარსა მას ზედა. და მცირედისა ჟამისა შემდგომად აღდგა ნეტარი იგი და მეცა აღმადგინა და განვეშორენით მას, ადგილსა მას. ხოლო დედანი იგი იყვნეს-ვე კადე! და აჰა ვიბილე სუეტი იგი ცეცხლის სახედ ჩამოვრდოდა... და ვითარ დაემართა და დადგა ხარისხსა მას ქუეყანით აღშორებულად ვითარ ათორამეტ წყრთა, და ნელოად ჩამოიცივალებდა თჳსსავე მას ზედა ნაკუეთსა, რამეთუ ხარისხად იყო ძირი იგი მის, რომლისაგან მოკუეთილ იყო სუეტი იგი ცხოველი“<sup>32</sup>

ამჟარაჲ, რომ ყოველივე ზემოთქმულს ნინოს მხრით წარმოჩენილს, არ შეიძლებოდა გამოეწვია თანაგრძნობის ისეთი სიღრმე, როგორსაც იწვევს სიღონიას მიერ თქმული. ნინო ყველა ამ მოვლენას დაპყრებს ზემოდან, უყურებს არა როგორც ყველა მოკვდავი, არამედ როგორც განმანათლებელი („ნუგეშინის-გუცემდა ვითარცა მოძღუარი კელოვანი, ნანდვლვე ქეშმარიტად მოძღუარ: და მოციქული ქრისტესი წმიდაჲ ნინო“<sup>33</sup>, — გახაზავს სიღონია). მასთან თაღის გაიგივება არ შეუძლია არავის. ამიტომ ნინოს მიერ თხრობის შემთხვევაში, მკრთალი გამოვიდოდა, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა აღწერილის თანაგანცდა. მისი გულთან ახლოს მიტანა. სულ სხვაა სიღონია. იგი ჩვეულებრივი ადამიანია, ისეთი, როგორცაა ყველა მისი მსმენელი,

როგორც შეიძლება იყოს მისი სიტყვის ყველა წამკითხველი შემდგომში. სიღონიას პოზიციიდან აღწერის უპირატესობა იმაშიცაა, რომ სიღონიას მიერ წარმოდგენილ თხრობაში ცხოველმყოფელია არა მარტო სასწაულების აღწერა, არამედ მთელი ტანით ჩანს განმანათლებელიც, მაშინ როცა ნინოს მიერ გადმოცემის შემთხვევაში ძირითადად მხოლოდ სასწაულებს დავინახავდით.

ამრიგად, ინტერვიუები მომზადებული ჩანს. კითხვები განაწილებულია იმის მიხედვით, თუ ვისი პირით უკეთესი იქნებოდა მასზე პასუხი, ვის შეეძლო პასუხი საერთოდ ან კრებაზე ვინ იყო იმათგან, ვისაც ამა თუ იმ კითხვაზე პასუხის გაცემა შეეძლო.

სიღონიას ნაამბობს მოსდევს აბიათარის ნაამბობი: „მე, აბიათარ, მღვდელი ვიყავ წილთ ხუედრებულთ სამღვდლოსა ზედა მის წელიწდისასა, ოდეს ესე ნეტარი დედაკაცი ნინო მოვიდა მცხეთად“<sup>24</sup>. აბიათარის მოგონებაც ინტერვიუს შთაბეჭდილებას ტოვებს. თავისი გაქრისტიანების შესახებ საუბრის შემდგომ იგი მოულოდნელად, ისე, რომ თითქმის ინტერვიუერის მიერ დასმულ კითხვას „ელიოზის სახლის შესახებ რაღას იტყოდით“ პასუხობდეს, ჰყვება: „ხოლო სახლი ელიოზისი იყო ქალაქსა შინა დასავალითსა, იყო კარსა მოგუეთისასა, მტკუარსა ზედა“<sup>35</sup>...

როგორც აღინიშნა, განსახილველი ძეგლის შინაგანი ლოგიკა ისეთია, რომ უნდა ვიფიქროთ: აბიათარი კრებაზე არ გამოსულა. აქედან გამომდინარე, კრებულში უნდა იყოს მინიშნება იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა მასში აბიათარის სიტყვის ჩანაწერი. აქ ორი ვარიანტია შესაძლებელი: ან უნდა ვიფიქროთ, რომ კრების შემდგომ აიღეს ეს ინტერვიუ და ჩართეს კრებულში, ან კრებისათვის უკვე დაწერილი აქ წაიკითხეს საჯაროდ, ე. ი. გამოაქვეყნეს ეს დოკუმენტი. პირველ ვარიანტზე რომ მიგვიითობდეს კრებულის შემდგენელი, მაშინ აბიათარის სიტყვა უნდა მოსდევდეს იაკობის სიტყვას და არა სიღონიასას, რადგან იგი მოულოდნელად წყვეტს იმ თხრობის ხაზს, რომელიც ქართლის გაქრისტიანების ძირითად მომენტებზე (ეკლესიის მშენებლობა, ჯვრის აღმართვა) გადის და აუდიტორიის ყურადღება გადააქვს მეორეხარისხოვან (აბიათარის გაქრისტიანება, ელიოზის სახლის ამბავი და სხვ.) საკითხებზე<sup>36</sup>. სიღონიას შემდეგ აბიათარის თქმულის წარმოდგენით ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ შემდგენელი აშკარად მიგვანიშნებს იმას, რომ სიღონიამ წაიკითხა მამამისის მოგონების ტექსტიც და ამით დაამთავრა მიტინგზე ებრაელთა „დელეგაციის“ სათქმელი.

აბიათარის სიტყვას ძეგლში იაკობის სიტყვა მოსდევს. იაკობი ჰყვება ჯვრის აღმართვის შესახებ. საინტერესოა, რომ მის ხსენებას ჯერ კიდევ აბიათართან ვხვდებით („და იყო მცირე ბაგინი, სამარხოა

მათი, რომელსა ზედა აღმართა წმიდამან ნინო ჭუარი ქრისტესი და ერთიერთსა ნათელ-სცემდა მუნ შინა კელითა იაკობ მღდელისაჲთა<sup>37</sup>). იაკობიც, ამგვარად, გარკვეულად წარედგინება აუდიტორიას. შემთხვევითი არ არის, რომ ჭვრის შესახებ იაკობი საუბრობს. ტრადიციულად საბერძნეთიდან ჩამოსული სამღვდლოება ითვლებოდა ჭვრის შექმნის ინიციატორად. მაგალითად, ამ ტრადიციის ასახვას წარმოადგენს მცირე „ნინოს ცხოვრების“ ცნობა იმის შესახებ, რომ „ითხოვეს ხეებისკაპოსმან და ნინო, რაჲთა შექმნან ჭუარი“<sup>38</sup> და ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“ ჩართული საკითხავის „აღმართებაჲ პატრიოსანისა ჭუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ“ შიტითება: „და იყო რაჲჲამს მოიქცა ყოველი ქართლი, ზრახვა-ყვეს მღდელთა მათ, რომელნი მოსრულ იყვნეს საბერძნეთით, აღმართებად ნიში ჭუარისაჲ“<sup>39</sup>.

ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ ინტერვიუერი მოფიქრებულ კითხვებს სვამდა. სათქმელი განაწილებელი ჩანს, კრება დაგეგმილი.

იაკობის მოგონებას კრებულში მოსდევს მირიანის „წიგნი“<sup>40</sup>. მეფის ყოფნა ამ კრებულის პოზიციით გამოსათხოვარ შიტინგზე რომ არ იგულისხმება, ამის შესახებ ზემოთ ითქვა. ეს კარგად ჩანს ამ „წიგნის“ ზედწერილიდანაც, საიდანაც ირკვევა, რომ მეფეს თვით სიკვდილიმიტანებულს შეუდგენია იგი და ჩაუწერინებია იაკობისათვის. ეს ჩანაწერი გადაუციათ სალომესათვის, როგორც ამ საკითხების მცოდნე („მეცნიერი“) და, ამგვარად, ჩანს, საგანგებოდ დაინტერესებული პირისათვის. მეფის მოგონებაში ყველაფერია მოკლედ განმეორებული: ქართველთა ისტორია ნინოს მოსვლამდე, მეფის მოქცევა, ეკლესიის მშენებლობა, კურნებანი, ჭვრის დამზადება და აღმართვა. მაგრამ ეს მხოლოდ შემოკლებული, რეზიუმირებული ნაწილი როდია კრებულისა. თხრობა უკვე ნათქვამი ფაქტების შესახებ აქ მართლაც მოკლეა, მაგრამ ახალი ნიუანსებით არის გამდიდრებული. მაგალითად, საჭვარე ხის შერჩევასთან დაკავშირებით დაბატებულია ცნობა ამ ხის ნაყოფის გამაყურნებელი უნარის შესახებ („და ოდეს მაუწყა აღმართებაჲ, წარვაჲლინენ ხურონი ძიებად ზესა. და ვითარ პოვეს ზმ ერთი, მარტოჲ მდგომარჲ კლდესა ზედა, რომლისადა არა მიხებულ იყო კელი კაცისაჲ, არამედ მონადირეთაგან სმენით გუესმინა სასწაული ხისაჲ მის, რამეთუ ოდეს ირემს-ლა ეცის ისარი, მიივლტინ ბორცუსა მას ქუეშე. რომელსა ზედა დგა ზმ იგი, და სწრაფით ჭამნ თესლსა მას მის ხისასა ჩამოცვენებულსა და სიკუდალი. აგან განერის“<sup>41</sup>.

მირიანის „წიგნში“ პირველად შემოდის მოგონება ნინოს გარდაცვალების და დაკრძალვის შესახებ. როგორც ითქვა, ავტორისეულ მოგონებაში დასწრელებული ნინო ჩანს და არა გარდაცვლილი.

აქ კი იკვრება წრედი: დაიწყო ნინოს დასწრელების ამბით, გადაიშალა ამის მერე მთელი მისი ცხოვრება და დაბოლოვდა გარდაცვალების და დაკრძალვის აღწერით.

„წიგნის“ შემდეგ „ცხოვრებაში“ ვხვდებით მირიანის ანდერძს ცოლისა და შვილისადმი: ნინოს ხსოვნის შენახვასა და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის ზრუნვას უბარებს მათ მირიანი. ესაა მთელი ნაწარმოების ლაიტმოტივი, მისი მიმართებაც მომავლისადმი.

ასეთია ვრცელი „ნინოს ცხოვრება“ — ეს კრებულის ტიპის ძეგლი. ვინ არის მისი ავტორი ანუ შემდგენელი? ამის შესახებ თხზულებაში სპეციალური მითითება არ გვაქვს. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ შეუძლებელიცაა ამ შემთხვევაში შემთხვევლის სახელი აღნიშნული ყოფილიყო, რადგან ძეგლი თვით ნინოსა და მის თანამოღვაწეთა ნაამბობად არის წარმოდგენილი<sup>12</sup>. მაგრამ, როგორც ითქვა, ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“ არის ავტორისეული თხრობაც. ესაა მისი შესავალი, რომელიც თხზულების ორგანული ნაწილია და რომელიც მისი გაგებისათვის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს. ამიტომ აპრიორი შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ვრცელ „ნინოს ცხოვრებას“ ეგულისხმება ავტორი (კრებულისავე პოზიციით, შემდგენელი). სწორედ თვით თხზულების კომპოზიციას ისეთი, რომ ყოველ ფაქტს თავისი მთხრობელი ჰყავს. ანონიმური თხრობანი აქ არა გვაქვს. თვითმზილველთა ჩანაწერებზეა აგებული ეს ძეგლი, და ამიტომ, ვიმეორებთ, გამორიცხულია, რომ შესავალს და მთლიანად კრებულსაც ავტორი არ ეგულისხმებოდეს. ძეგლისავე ლოგიკით, იგი, როგორც ყველა სხვა მთხრობელი, უნდა იყოს თვითმზილველი, ე. ი. ნინოს თანამედროვე.

ყოველივე ზემოთქმულზე ყურადღება იმიტომ გავამახვილებთ, რომ გავუჩვენოთ: „ნინოს ცხოვრება“ პრინციპულად ანონიმური თხზულება კი არაა, მისი ავტორის სახელი უბრალოდ ჩვენთვის აღმოჩნდა დაფარული და ამიტომ ამ სახელის ძიება ზრის მოკლებული არ არის.

შესაძლოა „ცხოვრების“ შემდგენელი თავს სპეციალურად წარმოგვიდგენდა თხზულების დასაწყისში, მაგრამ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შექმნისას ისტორიულ ქრონიკასთან მისმა მიერთებამ გამოიწვია ამ დასაწყისის მოკვეცა. ირკვევა, რომ ირიბი მითითებები ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ ავტორის შესახებ დღემდეა შემორჩენილი ტექსტში. განვმარტოთ ნათქვამი.

ზემოთ აღინიშნა, რომ ნინოს ნაამბობს იწერდნენ ორნი — სალომე და პეროჟავრი, რომ, მიუხედავად ამისა, თავების ზედწარწერებში მარტო სალომეა მითითებული. ეს გარემოება კი ძეგლის ხარვეზიანობის საჩვენებლადაა გამოყენებული, რადგან პეროჟავრის აღწერილები აღარსად არის.

მაგრამ ეს გაუგებრობაა, რომელიც აღმოცენდა იმის შედეგად.



რომ წყაროს ცნობა ორი მწერლის შესახებ, გაგებული იქნა, როგორც მორიგეობით წერა („მწერალი ორი ყოფილა, ალბათ, როცა ერთი დაიღლებოდა, მეორე დაიწყებდა წერას“<sup>43</sup>). სინამდვილეში კი წყარო მიგვითითებს, რომ ერთდროულად იწერდნენ („მაშინ მოხლო-იხუნეს საწერელნი სალომე უყარმელმან და სივნიელმან პეროჟაერი. და იწყო სიტყუად წმიდამან წინო, და იგინი წერდეს“<sup>44</sup>), რაც, ითქვა, რომ ლრგეიყურია.

იმ ორი ჩანაწერიდან განსახილველ ძეგლში ერთ-ერთი, კერძოდ, სალომესეულია წარმოდგენილი. სწორედ ეს იქცევს ყურადღებას: რატომ მიენიჭა უპირატესობა სალომესეულ ტექსტს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენ ხელთ არსებული კრებულის შემდგენელი სალომეა და საკუთარი ჩანაწერით წარმოადგინა მასში წინოს ნაამბობი?!

ამ აზრს გვიმტკიცებს მირიანის მონათხრობის ზედწერილიც: „წიგნი, რომელი დაწერა მირიან მეფემან ქართლისამან ეამსა სიკუდილისასა. აღწერა კელითა იაკობ მთავარებისყოპოსისაჲთა და მისცა სალომეს უყარმელსა, ძის ცოლსა თვსსა, რომელ მეცნიერ იყო ყოველსავე ქეშმარიტად“<sup>45</sup>.

სალომეს ცოდნის ასე საგანგებო გახაზვა, ის, რომ მას გადასცეს „წიგნი“, მიუთითებს მის საგანგებო დაინტერესებას, იმას, რომ მასალებს კრებულისათვის აგროვებდა სწორედ სალომე.

საერთოდ, თხზულება გვიჩვენებს, რომ სალომეს ახასიათებდა ერთგვარი „საღმრთო შური“ რელიკვიების შეგროვებისადმი. მირიანი იგონებს, რომ სამთავან ერთი ჯვარი სალომეს გაატანა: „და შევქმნენ მისგან სამნი ჭუარნი: ერთი ესე, რომელი ზეცით იყო სასწაული მისი, და აღმართე ადგილსა მას, სადა იგი მხილებოდა უფლისამიერი ვიხილე, მთასა ზედა თნოთისასა, ხოლო ერთი იგი ქალაქსა უყარმას, რომელი წარიღოსა ლომე“<sup>46</sup>.

დაუუკვირდეთ: რევმა წაიღო, კი არ ამბობს მირიანი, არამედ სალომემო. ეს აშკარად ხაზგასმია სალომეს განსაკუთრებული მიღრეკილებისა გამოსულიყო ქრისტიანობის მოამაგის როლში.

თუ ზემოთ მოხსენიებულ გამოსათხოვარ მიტინგზე შევაჩერებთ ყურადღებას, არ შეიძლება თვალში არ მოგვხვდეს, რომ წინოს პირველ რიგში ეკითხება სალომე, დანარჩენები კი მის ნათქვამს იმეორებენ. იქნება შთაბეჭდილება, რომ კრება მიჰყავს სალომეს, იგია ინტერვიუერბ. ძეგლის ცნობებიდან თუ ამოღალთ, ეს არც გასაკვირია: კრება ზომ უყარმელი დედოფლის სამფლობელოში, ბოდში ჩატარდა. აქ სალომე იყო დიასახლისი, მას შეჰფეროდა ემასპინძლა ქალი განმანათლებლისათვის.

რომ სალომეს ავტორობაზე მითითება შეიძლება გამოსკვიოდეს განსახილველი ძეგლის ტექსტიდან, რომ ქალი შემდგენელი მოულოდ-

ნელი არ არის ამ შემთხვევაში; ანას გვიჩვენებენ შემდეგი ფაქტები: ვარგუნულად ქართლის ქალები რაღაც გახსაკუთრებულ, შეიძლება ითქვას, მამაკაცებზე მეტ მონდომებას იჩენენ ქრისტიანობის დანერგვის საქმეში (გავიხსენოთ ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ პერსონაჟები: სიღონა, შროშანა<sup>47</sup>, ანასტა<sup>48</sup>, დამოწაფებული „დედანი“, ნანა დედოფალი). სალომეც ქალია, თანაც საკმაოდ ცნობილი — იგი მირიან მეფის რძალია, ძის ცოლი. თუ ლეონტი მროველის ცნობას გავიზიარებთ, სალომე პირველი ქრისტიანი სომეხი მეფის თრდატის ასული იყო<sup>49</sup>. ამიტომ მისი ინიციატივა მოულოდნელი როდია ამ შემთხვევაში.

ამგვარად, ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ ცნობებითვე აშკარაა, რომ მის შემდგენლად სალომე უუარშელი უნდა ვიგულისხმოთ. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს იმან, რომ შესავალშიც და თავების ზედწერილებშიც სალომე მესამე პირში იხსენიება. შუა საუკუნეების ავტორები ხშირად მოიხსენებენ თავის თავს მესამე პირში. გავიხსენოთ თუნდაც „ქართლის ცხოვრების“ ცნობილი მიხაწერი, სადაც ლეონტი მროველი თავის თავს მესამე პირში მოიხსენიებს<sup>50</sup>. თუ რამდენად ბუნებრივია ასეთი ქმედება, ამის საჩვენებლად ერთ ქრონოლოგიურად დაშორებულ ანალოგიასაც მოვიტანთ: ჩვენს ხელთაა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი კრების ოქმი, რომელიც ს. ჭანაშიას დაწერილია: „კრება გაიხსნა საღ. 7 ს. საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში დავ. კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით. მდივნობს სვ. ჭანაშია“<sup>51</sup>. ამ ოქმში მეცნიერი თავის თავს ასე მოიხსენიებს: „მოხსენების გამო სვ. ჭანაშია შეკითხვის სახით ამბობს“<sup>52</sup>...

ასე იქცევა ოქმის ყოველი შემდგენელი დღეს. ასეთი მაგალითი იქნებ ზედმეტყაა, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნით მისი აქ მოტანა, იმისათვის რათა თვალწინათვივ გამოჩენილიყო, თუ რამდენად ბუნებრივია, რომ სალომე თავის თავს მთელ ძეგლში მესამე პირში მოიხსენიებს მხოლოდ.

განსახილველი ძეგლიდან გამომდინარე, მოგონებათა კრებული წმინდა ნინოზე მირიანის სიცოცხლის ბოლო წლებში უნდა შექმნილიყო: თხზულების ბოლო თავი — მირიანის მოგონება — მეფეს სიკვდილიმიტანებულს გაუფორმებია. მოსე ხორენელის ცნობით, მირიანი IV ს. 50-იან წლებში გარდაიცვალა<sup>53</sup>. ე. ი. გამოდის, რომ კრებული შემდგენის თარიღად იგულისხმება IV ს. შუა ხანები. ასეთია ძეგლისავე პოზიცია მისი შექმნის დროის, პირობების და შემდგენლის ვინაობის საკითხებში. რა საფუძველი იგვქვს გავიზიაროთ ეს პოზიცია?

IV საუკუნეში ზემოთ აღწერილი კრება რომ ჩატარებულიყო, ამაში დაუჭერებელი არაფერია. პირიქით, ასეთი კრება, როგორც

ქრისტიანობის პროპაგანდის საუკეთესო საშუალება, ლოგიკურადაც კი იყო აუცილებელი იმ ექსპედიციისათვის, რომელიც მიზნად შთი-ელთა მოქცევას ისახავდა. საგანგებოდ წერილობით ამ ღონისძიების დაფიქსირებაც ბუნებრივია.

თანამედროვე მკითხველებს ამ კრებულის შემდგენლის ცნობე-ბის მიმართ ეჭვი უჩნდებათ იმის გამო, რომ აღნიშნულ ძეგლში უამრავი სასწაულებრივი ამბავია მოთხრობილი. მაგრამ თვით ავტო-რი არ ჰყვება არცერთ სასწაულებრივ ეპიზოდს. იგი მხოლოდ კრებას ჩატარების შესახებ აღნიშნავს შესავალში და მერე გვამცნობს, თუ რა სიტყვები წარმოთქვეს ნინომ, სიღონიამ და ა. შ. მაგრამ განა სასწაულებრივი და დაუჭერებელია რამე იმაში, რომ IV საუკუნის ორატორებს IV საუკუნის აუღიტორიისათვის სასწაულებით სავსე მოგონებანი წარმოედგინათ? დაუჭერებელი და უტყუარი პირობით რომ მომხდარიყო, ის იქნებოდა.

სალომე ისე წარმოგვიდგენს საქმეს, რომ ცალკეულ სიტყვათა შემოქმედად სხვადასხვა პირები, კერძოდ, კრებაზე განოსული ორა-ტორები უნდა ვიგულისხმოთ. ჩვენ ზემოთ დავრწმუნდით, რომ ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, ტექსტების სტატისტიკურმა შესწავლამ გამო-ავლინა ავტორისეული სტილის ერთნაირობა ვრცელ „ნინოს ცხოვრე-ბაში“. მეორეც, ვნახეთ, რომ აქ ყველაფერი გათვლილია, სათქმელი განაწილებულია, კითხვები მოფიქრებული და გარკვეულ გეგმას მის-დევს. კერძოდ, აქ თანამიმდევრულად შუქდება შემდეგი საკითხები: ა) ვინ არის ქართლის განმანათლებელი; ბ) რა ქვეყანაა ქართლი; გ) როგორ მოაქცია ქართლი ქრისტიანობაზე ნინომ. მაგრამ აღნიშნული ეპიკვეშ ვერ დააყენებს თვით კრებულის პოზიციას მისი შექმნის ის-ტორიის საკითხში. ჰაქმე ის არის, რომ სიტყვების და გამომსვლელებ-ბის წინასწარი მონზადება მიუთითებს იმაზე, რომ კრება მომზადე-ბული და დაგეგმილი იყო, და ოდნავადაც ვერ აყენებს ეპიკვეშ თვით ამ თავყრილობის ჩატარების ფაქტს. წარმოდგენელიც კია, რომ ასეთა მნიშვნელოვანი ღონისძიება სტიქიურად წარმართულიყო ნინოს გა-მოსათხოვარი კრება ხომ პოლიტიკური მნიშვნელობის ზოგლენა იყო, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებდა<sup>5</sup>. ამიტომ აქ შემთ-ხვევითი, ბუნებრივია, არაფერი იყო. ცენზურაგამოვლილ სიტყვებს წარმოთქვამდნენ სანდოდ მიჩნეული პირები. ყველაფერი ეს სალო-მეს შესაძლებელია ნაწილობრივ სცოდნოდა მხოლოდ. ასე რომ, ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ სტილისტური ერთიანობის მაჩვენებელი ფაქტებიც არაფერს გვაწვდიან ასეთს, რის გამოც არ უნდა გავიზი-ართოთ თვით ძეგლისავე მითითებები მისი შექმნის დროის, პირობების და შემდგენლის ვინაობის შესახებ. საკულისხმოა, რომ სპეციალის-ტები ქართულ ჰაგიოგრაფთა მითითებებს ამგვარი საკითხების შესა-

ხებ საკმაოდ ხშირად იზიარებენ. ასე რომ, სალომეც რომ მართალს ამბობდეს ამ შემთხვევაში, აქ მოულოდნელი არაფერია.

ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, რომ IV ს. მიწურულისათვის „ნინოს ცხოვრების“ ადგილობრივი ვერსია წერილობით გაფორმებულია. ამ დასკვნის ფონზე, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აზრი იმის შესახებ, რომ „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია შეიქმნა IV ს. შუა ხანებში — სარწმუნოდ ჩანს.

აღნიშნული ძეგლის თარიღთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ რ. სირაძის წერილი „წმინდა ნინო და „დედაუფალი“, რომელშიც მკვლევარი სპეციალურად განიხილავს, სწორედ ვრცელი რედაქციის მასალების მიხედვით, ქართველთა განმანათლებლის კულტურულ-ისტორიულ სახეს. ეს სახე, მისი მითითებით, ქართული მხატვრული აზროვნების მნიშვნელოვან პარადიგმად უნდა ჩაითვალოს. ავტორი ატარებს თხზულებაში წარმოდგენილი სიმბოლოების ორიგინალურ ანალიზს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ნინოს სახე მრავალმხრივია. ესაა „გარდამავალი“ სახე წარმართობიდან ქრისტიანობისაკენ, უფრო ზუსტად, იგი სინთეზური სახეა წარმართულისა და ქრისტიანულისა, ნიმუშია წარმართული იდეალების ქრისტიანულად მოდიფიცირებისა. ამის გამომხატველია მასში ორი ნიშან-თვისების შერწყმა, რომ ის არის „დედაუფალი“ და, ამავე დროს, „ტყვე“. „დედაუფალი“ აქ წარმართობიდან მომდინარე მახასიათებელი უნდა იყოს, ხოლო „ტყვე“ — ქრისტიანული იდეების გამომხატველი. ცხადია, ნინოს სახეში არსებითია ქრისტიანული იდეალი, ნინო თვითონ უნდა ყოფილიყო პირველსახე ქრისტიანული იდეალისა, მაგრამ იმ დროს ეს მიზანშეწონილი იყო ტრადიციულ იდეალთა გათვალისწინებით და მათი ახლებური გამოყენებით“<sup>55</sup>. რ. სირაძე ნინოს სახეს უსადაგებს ადგილის დედის სახეს. ამგვარად, აღნიშნული გამოკვლევის შედეგი ნინოს სახის შექმნას, რომელიც ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“ წარმოდგენილი, სწორედ გარდამავალ პერიოდს უკავშირებს, როცა ქართველთა ცნობიერებაში ჭერ კიდევ ძლიერი იყო წარმართული წარმოდგენები და როცა ხდებოდა ამ წარმოდგენების ჩანაცვლება ახალი რწმენით.

„ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ასეთი ადრეული თარიღი იოლი დასამკვიდრებელი არაა<sup>56</sup>, რადგან მისი გაზიარება კარდინალურ კორექტივებს მოითხოვს მთელი ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში, რომელშიც ყველაზე უძველეს ძეგლად დღემდე შემორჩენილთა შორის მიჩნეულია V ს-ის „შუშანიკის წამება“<sup>57</sup>. „ნინოს ცხოვრებლს“ ვრცელი რედაქციის IV ს. შუა ხანით დათარიღების საწინააღმდეგოდ ობონენტებს არგუმენტად შეუიღიათ მოიტანონ<sup>58</sup>, რომ ძველი ქართული ლიტერატურის დიდი მკოდნენი ნ. შარი, ივ.

ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე აღნიშნულ ძეგლს გვიანდელად მიიჩნევდნენ. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, დამაფიქრებელია და სერიოზული დაბრკოლებაა ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ ადრეული დათარიღებისათვის მას შემდეგაც კი, რაც ზემოთ ამის დამადასტურებელი არა ერთი საბუთი იქნა მოტანილი.

მაგრამ ირკვევა, რომ ავტორიტეტებზე მითითება ამ შემთხვევაში არგუმენტი არ არის. განვმარტოთ ნათქვამი.

1897 წელს ნ. მარმა გამოაქვეყნა ნაშრომი „Хитон господен в книжных легендах армян, грузин и сирийцев“, რომელშიც გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ „ნინოს ცხოვრება“ არ უნდა იყოს IX ს-ზე ადრინდელი ძეგლი, რადგან მასში არის ფრაზა ახალ სპარსულ ენაზე არაბული სიტყვით („...едва ли ранее девятого столетия. В памятнике более ранней поры мы не встретили бы напр. целой фразы на ново-персидском языке с арабским словом“<sup>ა8</sup>).

ნ. მარს ეს არგუმენტაცია აშკარად საკმარისად არ ეჩვენებოდა (არც არის საკმარისი ერთი ფრაზის საფუძველზე ძეგლის დათარიღება, ძეგლისა, რომელმაც არაერთი რედაქცია განიცადა). ეს ჩანს არა მარტო იქიდან, რომ ვარაუდის ფორმა აქვს ამ დასკვნას, არამედ იქიდანაც, რომ 1906 წელს გამოქვეყნებულ სხვა ნაშრომში „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის თარიღთან დაკავშირებით მან მიუთითა არა საკუთარი ზემოთ აღნიშნული ნაშრომი, არამედ 1900 წელს გამოსული ივ. ჯავახიშვილის წერილი „ანდრია მოციქულისა და წმინდის მოღვაწეობა საქართველოში“. ნ. მარს არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილის დათარიღებაც ვარაუდია: „Повествование это появляется в том грузинском Житии св. Нины, составление которого И. Джавахов с вероятностью относит приблизительно к VIII—IX веку“<sup>ა9</sup>.

რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილს, მას ზემოთ დასახელებულ წერილში არავითარი საგანგებო მსჯელობა იმის შესახებ თუ რატომ უნდა მაინცდამაინც აღნიშნულ საუკუნეებს განეკუთვნებოდეს ეს ძეგლი, მოცემული არა აქვს. თავის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ კი „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის თარიღზე საუბრისას ნ. მარის ნაშრომი და ის არგუმენტი აქვს მითითებული, რომელიც თავის დროზე ნ. მარმა საკმარისად არ მიიჩნია და არც მოიშველია ამის გამო<sup>ა10</sup>.

ამგვარად, აშკარაა, რომ ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ გვიანდელი ხანის დათარიღება ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ ფაქტობრივად არ ემყარება რაიმე სერიოზულ არგუმენტაციას, თუმცა კი, ერთი

შეხედვით, ამ ორი დიდი ავტორიტეტის თვალსაზრისის თანხმობა დამთრგუნველ ეფექტს ახდენს და გვიბიძგებს ქრესტომათიულ კეშმარტებად ვალიაროთ იგი.

იგივე შეიძლება ითქვას ამ საკითხში კ. კეკელიძის არგუმენტაციის შესახებაც. მაგალითად, ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ გვიანი ხანით დამატარებულ ერთ-ერთ საბუთად წას მიაჩნია ის გარემოება, რომ თხზულებაში ნახმარია მარტის წელიწადი, რომელიც, მისი მითითებით, IX ს. ნახევარში შემოვიდა ჩვენში<sup>61</sup>. ამ არგუმენტს გამოთქმის ადგილსავე დასაბუთება არ ახლავს. კ. კეკელიძის სხვა ნაშრომიდან კი ირკვევა, რომ თურმე იმის გარკვევას თუ როდის შემოვიდა ჩვენში მარტის წელიწადი, მკვლევარი ახდენს თვით „ნინოს ცხოვრების“ საშუალებით, იმის დაშვებით, რომ იგი IX ს-ის ძეგლია: „უძველესი ცნობა მარტის წლის შესახებ ჩვენში მოგვეპოვება „ნინოს ცხოვრების“ ქელიშური რედაქციაში... ამრიგად, მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც იწერებოდა და ყალიბდებოდა „ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქცია, წლის დასაწყისად ჩვენში მარტი ითვლებოდა“<sup>62</sup>.

გასაგები ხდება, რომ მარტის წელიწადზე მითითება არავითარი არგუმენტი არაა. მაგრამ საინტერესოა, რომ თავისთავადაც მამტკაცებელ საბუთად მოტანილი ეს ფაქტიც ზუსტი არ არის. როგორც ეს ჩანდა კიდევ მოტანილი ციტატიდან, კ. კეკელიძეს ცნობა მარტის წელიწადის შესახებ მოაქვს XIV—XV სს. დათარიღებული ნუსხიდან — ჰელიშური „მოქცევაჲ ქართლისაჲდან“, რომელშიც. მართლაც წერია: „რამეთუ თუე იყო მეექვსე, და დღე იყო იეექუსე თვსამის ეგრეთე, ოდეს-იგი ევმანუელ თაბორს მამისა ხატი უჩუენა“<sup>63</sup>. „ე. ი. ფერისცვალების დღე, 6 აგვისტო, აქ მიჩნეულია მეექვსე თვედ, მაშასადამე, წლის დასაწყისიდან ნავარაუდებია მარტი“<sup>64</sup>, — მსჯელობს მეცნიერი.

მაგრამ აქ აღსანიშნავია, რომ უფრო ძველ (X ს. ნუსხა) შატბერდულ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ სწორედ ის თუ მერამდენე თვედ მიაჩნია ავტორს „მამისა ხატის ჩუენების“ თვე, აღნიშნული არ არის: „რამეთუ დღე იყო მეექვსე თთვსამის, ოდეს-იგი ევმანუელ თაბორს მამისა ხატი აჩუენა“<sup>65</sup>.

ეს გასაგებიცაა. სრულიად ულოგიკოდ გამოიყურება, რომ გამოსათხოვარი კრების მონაწილეთათვის საჭირო ყოფილიყო იმის განმარტება, თუ წლის რომელი თვეა აგვისტო (ავტორი თანამედროვეც რომ არ იყოს, ასეთი განმარტებით თავის თავს არ გასცემდა). ეს განმარტება გვიანდელია და ეკუთვნის ქელიშური „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქტორს და არა „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის პროტოგრაფის ავტორს. ეს რომ ასეა, რომ აგვისტოს მეექვსე თვედ

მიჩნევა ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ უძველესი ფენიდან არ მომდინარეობს, ამას მოწმობს მროველისეული რედაქციაც, რომელშიც ასევე აღნიშნული არ არის თუ რომელია რიგით ის თვე, როცა აღნიშნულ ფაქტს ჰქონდა ადგილი: „ხოლო ოდეს იქმნა ესე, ეამი იყო ბეექუსე და დღე მეექუსე თესა მის, ოდეს იგი ევმანუელ თაბორს მამისა ხატი უჩუენა“<sup>66</sup>.

საინტერესოა, რომ „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სხვა გამოცემაში კ. კეკელიძე ამ აზგუმენტს აღარ იმეორებს, მაგრამ დასკვნა კი რჩება<sup>67</sup>.

ყოველივე ზემოთქმული ააშკარავებს, რომ სპეციალისტთა შორის ხშირად უდავო ქეშმარიტებად აღიარებული ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ გვიანი ხანით დათარიღება ფაქტობრივად არავითარ სერიოზულ კვლევას არ ემყარება და ავტორიტეტთა ვარაუდების აქსიომების სტატუსში გაუმართლებელი აყვანის შედეგია.

ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ გვიანდლობის საჩვენებლად ხშირად უთითებენ ძეგლში ერთიმეორის საწინააღმდეგო ფაქტების არსებობას. როგორც ზემოთ გამოიჩკვა, აღნიშნული თვალსაზრისით თხზულება არსად სცოდავს. ქვემოთ კიდევ მოვიტანთ ორიოდ მაგალითს (უკლებლივ ყველა მაგალითის მოტანის საშუალებას ჩვენი ნაშრომის შეზღუდული მოცულობა არ მოგვცემს) იმისათვის, რათა ნათლად იქნეს ნაჩვენები თუ რამდენად მკაცრი და უსამართლო იყო ის „განაჩენი“, რომელიც ცნობილმა ქართველოლოგებმა თავის დროზე გამოუტანეს ამ საოცრად ჰარმონიულ და დახვეწილ ნაწარმოებს.

კ. კეკელიძე ყურადღებას ამახვილებს ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ შემდეგ ფრაზაზე „ხოლო ვიდრე რწმუნებამღმ ღედოფლისა ნანაჲსა სანატრელმან და წმინდამან ნინო დაყო ექვისი წელი, ვითარი იგი თვთ იტყვს, ყოფასა შინა მისსა“. მეცნიერი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ამ ფაქტის შესახებ სინამდვილეში არსად ნათქვამი არაა. „მამასადაჲმე, უნდა ვიფიქროთ, შესაფერისი მოთხრობა დაკარგულია, თუ აქ არ იგულისხმება პირველი ნაწილის შემდეგი სიტყვები: „და მეექუსესა წელს არწმუნა ცოლსა მეფისასა სენსა შინა მისსა“, მაგრამ ეს სიტყვები ნინოს „ნათქუამი“ აღარაა“, — მსჯელობს და ასკვნის იგი<sup>68</sup>.

აღნიშნული ფრაზა ამოღებულია სიდონიას სიტყვებიდან. სიდონია, როგორც ცნობილია, ნინოს უახლოესი პიროვნება, მისი მოწაფე იყო. ამიტომაც სრულიად ბუნებრივად ჩანს, რომ ორატორი აუდტორიას უცხადებდეს, ეს ფაქტი უშუალოდ ნინოსაგან ვიცო. მეცნიერა ტყუილად ცდილა ასეთი რამ ნინოს სიტყვაში ენახა. სიდონიამ ასე ხაზგასმით იმითომ აღნიშნა ეს ფაქტი. რომ ნინოს მის შესახებ არაფერი უთქვამს. ამგვარად, აქაც წინააღმდეგობის ან ხარვეზის შესახებ

ლაპარაკი გაუგებრობაა და შედეგია იმისა, რომ თვით ძეგლის პოზი-  
ცია მხედველობაში არ მიიღება.

კ. კეკელიძე ყურადღებას ამახვილებს იობენალ პატრიარქის  
სიტყვებზე, რომლებიც მას ნინოსათვის უთქვამს: „წინა ნაწილიდან  
არ ჩანს, იობენალს ასეთი სიტყვებით გამოესტუმრებინოს ნინო  
ჩვენსკენ; მაშასადამე აქაც ხარვეზთან გვაქვს საქმე“<sup>69</sup>, — ასკვნის  
მკვლევარი.

ჩანს, მაშინ როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, მართლაც აუცი-  
ლებელი იყო ქართულ წყაროთა მიმართ პიპერკრიტიკული დამოკი-  
დებულება, თორემ სხვაგვარად წარმოდგენელია ამგვარი პრეტენ-  
ზია წაყენოს ნაწარმოებს. განა შესაძლებელია თხზულებაში ყველა-  
ფერი ითქვას, თანაც რამდენიმეჯერ? ასახვა, სინამდვილის ქალაღზე  
გადატანა, ყოველთვის შემოკლებას, „მცირედ გამოხატვას“<sup>70</sup> გულის-  
ხმობს. როცა ნინო გვაძენობს, რომ იობენალმა მას უთხრა ასეთი რამ,  
ცხადია, ამის შესატყვისის ძიება ტექსტში საჭირო აღარაა. არცერთ  
თანამედროვე მწერალს ჩვენ არ ვსაყვედურობთ ამგვარ რამეს.

„ვითარცა სმენით ვიცითო“. მაგრამ განა იაკობმა სმენით იცოდა  
ეს ამბავი? ავტორს ავიწყდება თავისივე სიტყვები „ჩუენ მოკვეთეთ  
თუესა მარტსაო“. თუ მოკვეთას და ხის მოჭრას დასწრებია, მაშ სმე-  
ნა რაღა უშაშია? — ცხადია, რომ უკანასკნელი ნაწყვეტი იმ ავტორის  
დაწერილი არ იქნება, რომელსაც შემომოყვანილი წინადადებები  
უნდა ეკუთვნოდეს; უეჭველია ისიც, რომ იაკობი იმისთანა თხრობას  
არ დასწერდა, საცა იმის შესახებ იმგვარი ცნობებია, რომელნიც ერთ-  
ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და არღვევენ. ეს თხრობა ან ორ სხვა-  
დასხვა წყაროდან უნდა იყოს შედგენილი, ან რომელიმე წყარო იქ-  
ნება უშნოდ გადაკეთებული. მაშასადამე, წმ ნინოს ცხოვრებაში შე-  
ტანილი თხრობა ჭვარი პატრიოსანის შესახებ იაკობს არ ეკუთვნის და  
მისი სახელი ტყუილადაა აღნიშნული სათაურში“<sup>71</sup>, — შენიშნავს  
ივ. ჭავჭავაძე.

მაგრამ კ. კეკელიძემ დამაჯერებლად აჩვენა, რომ ამ შემთხვევა-  
ში „ვითარცა სმენით ვიცით“ ნიშნავს შედარებას არა რომელიმე კონ-  
კრეტულ ხესთან, არამედ ლიტერატურაში ცნობილ ალვის ხესთან,  
როკლის შესახებ მართლაც განაგონით უნდა სცოდნოდა იაკობს: „აქ  
რომ რომელიმე შემონაჩვენები ხე იყოს ნაგულსხმევი, ნათქვამი იქ-  
ნებოდა არა „ვითარცა სმენით ვიცით“, არამედ „ვითარცა შემო წე-  
რილ არს“... ეს ის ალვის ხეა, რომელიც ფირდოუსით, ირანის მეფე  
გოსტასაბმა დარგო თავისი სასახლის წინ ზარდაშტის მოსლვასა და  
ახალი რჯულის ქადაგებასთან დაკავშირებით“<sup>72</sup>.

ასე რომ, აქაც არაფერია ხარვეზის და შეუსაბამობის მაჩვენებე-  
ლი. მაგრამ ფაქტის მცდარ ინტერპრეტაციაზე იგება რთული მსჯელო-



ბა, რომლის მიხედვითაც „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის შესახებ სწორედ იმის საპირისპირო წარმოდგენა გვექმნება, ვიდრე ის არის სინამდვილეში.

ორიოდე სიტყვა ანაქრონიზმების შესახებ. ვრცელი „ნინოს ცხოვრება“, თუ ის IV საუკუნის ძეგლია, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, დღეისათვის მრავალრედაქციაგამოვლილი უნდა იყოს. ერთ-ერთი პირველი რედაქცია მას უნდა გაეგლო „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ჩართვის დროს (ამის შესახებ ქვემოთ); VII და IX საუკუნეებში რომ უკვე „მოქცევაჲ ქართლისაჲის“ შემადგენლობაში მყოფმა მან განიცადა რედაქტირება, ამის შესახებ უკვე ითქვა. აპრიორი ჩვენ ისეთი რედაქციებიც შეიძლება დავუშვათ ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რომელთა კვალს ჭერჭერობით ვერ ვამჩნევთ, ან რომლებიც სამუდამოდ აღიხოცნენ. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ შენაზარდი ადგილები ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ ტექსტისათვის სავსებით მოსალოდნელია. ამიტომ ცალკეული გვიანდელი დეტალები, თუკი ასეთები აღმოჩნდებიან, ვერ გააბათილებენ დასკვნას, რომელიც ძეგლის არსების ანალიზს ემყარება.

ამასთან საგანგებოდ უნდა იქნეს შესწავლილი, როგორც ირკვევა, საკითხი იმის შესახებ, რომ ის, რაც დღემდე ანაქრონიზმად ითვლებოდა, არის თუ არა მართლა ანაქრონიზმი. ასეთი შემოწმების აუცილებლობას ნათლად გვაგონობინებს ვ. გოილაძის ნაშრომი „ვინ არიან „წმ. ნინოს ცხოვრების“ ბრანჯები“, რომელშიც მოცემულია განსახილველი ძეგლის ერთ-ერთი ეპიზოდის უფრო აღრინდელი ქრონოლოგიური ლოკალიზაციის ცდა, ვიდრე ეს მიღებულია სპეციალურ ლიტერატურაში<sup>73</sup>. ანაქრონიზმებთან დაკავშირებით საჭიროა დაფიქრება იმაზეც, რა მიმართებაშია ესა თუ ის ფაქტი IV საუკუნესთან, რადგან ზოგიერთი მათგანი ქრონოლოგიური თვალსაზრისით შორეული შეიძლება აღმოჩნდეს IV საუკუნის ავტორისთვისაც და, ამგვარად, შეცდომა შესაძლოა მისი მიზეზითაც იყოს.

II. „ნინოს ცხოვრების“ ციკლის ისტორიის აღდგენისათვის, ისევე როგორც ქართველოლოგიის სხვა არაერთი საკითხის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ როდის შეიქმნა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

როგორც გამოიჩვენა, V ს-ის მიწურულისათვის ამ ტიპის ძეგლის არსებობა ფაქტია. მაგრამ იგი უშუალოდ გაქრისტიანების თანადროულად შექმნილიც არ უნდა იყოს: ვრცელ „ნინოს ცხოვრებას“ ამ დროისათვის უკვე აქვს შენაზარდი თავი (მისი მასალები ხომ ხორენელს აქვს გამოყენებული) „აღმართებაჲ პატროსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ“. მცირე რედაქცია კი იგივე პატროსანი ჯვრის ისტორიის შესახებ ინფორმაციის მისაღებად მკითხველს

უთითებს იმ დროისათვის, ჩანს, საკმაოდ ცნობილ გრიგოლ დიაკონის თხზულებას („ვითარცა სწერია მცოიესა მას მოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლისა მოქცევისასა, გრიგოლი დიაკონის მიერ აღწერილსა“). მცირე და ვრცელი რედაქციების ურთიერთმიმართება (სხვადასხვა წარმომავლობა) კი თვალსაჩინოდ ადასტურებს იმას, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წარმოშობის დროიდან „წინოს ცხოვრების“ ციკლს განვითარების გარკვეული გზა უკვე განვლილი აქვს.

ზემოთ ითქვა, რომ ისტორიული ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ დათარიღებისათვის ერთგვარი გასაღებია. მაგალითად, მის ტექსტში თვალსაჩინოდ აისახა ის გარემოება, რომ ორჯერ, კერძოდ, VII და IX საუკუნეებში იეგლმა განიცადა გარკვეული რედაქცია. მაგრამ სად თავდებოდა იგი პირველად?

დღეს ამ წყვეტილის ადგილის პოვნა ძნელია. უნდა ვიფიქროთ, მის წასაშლელად საგანგებოდ იზრუნეს მომდევნო ხანაში რედაქტორებმა, რათა ტექსტის მთლიანობა და ერთგვაროვნება შეენარჩუნებინათ. მიუხედავად ამისა, ქრონიკაში ამ თვალსაზრისით ყურადღებას მაინც იპყრობს ერთი ადგილი. ესაა ვახტანგ გორგასლის შესახებ თხრობის ბოლო ფრაზები: „და აღაშენა ქუემოჲ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფეჲმან. და დასუა პეტრე კათალიკოზი. და ესე იყო ქართლის მოქცევითგან არა: წელსა. მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი და მთავარები სკოპოსნი ათცამეტნი. ხოლო პირველი კათალიკოზი იყო პეტრე“<sup>74</sup>.

ამგვარი შემაჯამებელი ფრაზა სხვაგან არსად გვხვდება ტექსტში. მართალია იგი კათალიკოსობის შემოღებას უკავშირდება, მაგრამ თვით ეს ფაქტი იმდენად ეტაპურია ქართული ეკლესიის (ქართული სახელმწიფოს) ისტორიაში, იმდენად მოითხოვს თვითგამორკვევას, რომ ლოგიკურად აუცილებელი ჩანს ამ მოვლენასთან დაკავშირებით წარსულის შესახებ ცოდნის აქტივაცია — „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტიპის ისტორიოგრაფიულად შემაჯამებელი იეგლის შექმნა.

სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ქართლში კათალიკოსობის შემოღების ზუსტი თარიღის და ამ ღონისძიების რეალური შინაარსის ინტერპრეტაციის საკითხებში<sup>75</sup>. ამ შეხედულებათა დაწვრილებით განხილვა და განსჯა ჩვენი გამოკვლევების ფარგლებს სცილდება. ამჯერად ჩვენთვის სავსებით საკმარისია ის, რაზედაც არ დავიბნეოთ არავინ: კათალიკოსობის დაწესება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელსაც ადგილი ჰქონდა V ს. მესამე ან მეოთხე მეოთხედში.

„ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“<sup>76</sup> არაფერია ნათქვამი ვახტანგის ისტორიოგრაფიულ მოღვაწეობაზე, იმაზე, რომ ქართული ეკლესიის ისტორიის შექმნაში მას მიუძღოდა ასეთი: დიდი ღვაწლი, თუმც

შენიშნულია, რომ ვახტანგმა „სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა“<sup>77</sup>. ამ დებულების საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითი მოუტანია მემბტანეს: ვახტანგი ყოფილა ქრისტიანობის დიდი ქომაგი, ეკლესიათა და მონასტერთა მაშენებელი.

ამ რიგის ფაქტებს შორის ყურადღებას იქცევს ვახტანგის თაყვანისცემა პატიოსანი ჯვრისადმი, მისი რწმენა ამ ჯვრის წინამძღვრობით მტერზე გამარჯვებისა, მისი მოთხოვნა, მეფის ყველა ერთგული ქვეშევრდომი აღიარებდეს ჯვარს, როგორც გამარჯვების მომცემ ძალას. მაგალითად, სასახლის წარჩინებულებისათვის ერთ-ერთი თამამი ნაბიჯის გადადგმის წინ ვახტანგს უთქვამს: „მინდობითა ღმრთისათა და წინამძღურობითა ჯუარისა მის პატიოსნისათა თავითა ჩემითა წარვალ, და ვესავ მრავალმოწყალეებათა მისთა, — არა გამწიროს და მომცეს ძლიეა“<sup>78</sup>.

ვახტანგი ყველას, მტერს თუ მოყვარეს, ახსენებდა ჯვრის ძალას: „ანუ არა გასმიანა სასწაულნი, რომელნი ქმნნეს კოსტანტინეს-ზე მეფისა წარძღუანებითა ჯუარისათა“ (მიმართვიდან მოკავშირეთა ლაშქრისადმი)<sup>79</sup>.

ან კიდევ: „გიხილავს ძალი ჯუარისა, რამეთუ ყოველთა მეფეთა მოგუაქუნდა ხარკი ვიდრე გამოჩინებამდე ჯუარცნულითა. რაჟამს გამოჩნდა იგი, მძლე გექმნნეს ყოველნი თაყუანისცემელნი მისნი წინაშე მისსა, და მოხარკენი შენნი ბერძენნი მოღმართ გბრძვანან, და მოაოჯრეს სამსახურებელნი ცეცხლისანი“ (ხოსრო მეფისადმი შენათვლიდან)<sup>80</sup>; ან კიდევ: „თქუა ესრეთ: „უთხართ მეფე, სახუასროს: პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა, და ეგრე შევედ საბერძნეთად, რამეთუ ძალი რომელნი იქმნნეს ყოველნი, ძალითა ჯუარისათა იქმნნეს“ (ისევ ხოსროსათვის შენათვლიდან)<sup>81</sup>.

ბრძოლის ყველაზე უფრო გადამწყვეტ მომენტებში ვახტანგი ჯვარს მიმართავს. ასე იქცევა იგი, მაგალითად, პალეკარპოს ბერძენთა სპასპეტთან შერკინების წინ: „მაშინ თქუა ვახტანგ: „არა ძალითა განძლიერდების კაცი, არამედ ღმერთმან მოსცის ძალი. და მე ვესავ ძალსა შენსა, და ვითარცა დავით განვალნი შითა ჯუარისათა; ნომცე ძალი ვითარცა დავითს გოლიათსა ზედა, რამეთუ ესეცა მაყუედრებელად და შეურაცხებით მოუჯდა ჯუარსა შენსა;... აღმოიჯადა ვრმალი და შეამთხვა ჯუარსა, და განვიდა შორის განწყობილთა მათ, და თქუა: არა პბრძვენ ლომი ჯარსა, რამეთუ მე მეფე ვარ და შენ მონა, არამედ თანდვა თავი ჩემი ერისა ამისთვის სიმდაბლით, რათა რწმენეს ძალი ჯუარისა“... და მისცა ფარი იგი მეფემან ლახუარსა მისსა, და მიეტევა პირისპირ, და სცა კრმალი ჩაბალახსა ზედა და განაპო თავი მი-

სი ვიდრე ბეჭთამდე. და მიჰყო ჯელი და უპყრა თავისა მისისა ნახევარი, და მოილო წინაშე ჯუჯოისა<sup>84</sup>.

ვახტანგის პოლიტიკაზე სწორება ნიშნავდა ჯვრის თაყვანისცემას: „მოიყვანეთ ჯუჯარი და წარვიძღუანოთ, რათა რომლითა გუძღევდენ მითვე იძლიენენ... და მოიყვანა პეტრე მღვდელმან ჯუჯარი და რქუა მეფემან: „დადგე წინაშე პირსა მტერისასა და ერისა ჩუენისასა, და არქუ ყოველთა — „თაყუანის-ეცით ჯუჯარსა და ვსძლოთ მტერსა“, და რომელმან არა თაყუანისცეს, მოკალთ“. და უბრძანა დემეტრეს, ერისთავსა თვსსა, და ჯუჯანშერს სპასპეტსა, რათა მიჰყვენ ჯუჯარსა თანა. და ჯადაგი ჯმობდა ძლიერად: „რომელმან არა თაყუანის-ცეს ჯუჯარსა, მოკუედინ“. და მოვიდოდეს ყოველნი ერნი, და თაყუანის-ცემდეს, და დადგებოდეს წინაშე ჯუჯარსა. ხოლო ბორზო მოვაცნელმან მეფემან თქუა: „არა დაუტეობ ნათელსა შემწუელსა, და არა თაყუანის-ვცემ ძელსა მაშმელსა, რომელი განშუენებულ არს ოქროთა და ანთარაკითა“, და სცა მას ლახუარი ჯუჯანშერ სპასპეტმან, და დაეცა მძორი მისი. მიერითგან არღარაჲინ იკადრა გმობად ჯუჯარსა, და აღთქმით ეტყოდა ერი იგი მეფესა ვახტანგს: „უკეთუ შემეწიოს ჩუენ ჯუჯარი, არღარა იყოს ჩუენდა სხუა ღმერთი გარნა ჯუჯარცმული“<sup>85</sup>.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავახსენდეს, რომ „ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციაში, რომელშიც ყველა ეპიზოდი შემოკლებულია, ავტორი მხოლოდ ჯვრის ამბავთან დაკავშირებით გრძნობს საჭიროებას დაუსახელოს მკითხველს ინფორმაციის შევსების წყარო<sup>84</sup>.

ქართლის მოქცევის ამბების შესახებაც საუბარი მცირე „ცხოვრებაში“ ჯვრის ამბებით, მისი ძლევამოსილების გახაზვით იწყება: „ქრისტეანენი იგი პროზნი და ყოველნი ჰინდონი და ვისცა ვის აქუს მჯული იგი ახალი ქრისტეს წმიდისაჲ ძელითა ჯუჯარისაჲთა და მისითა სასოვებითა სძლევენ მტერთა ძლიერად“<sup>85</sup>.

რაც შეეხება ვრცელ „ნინოს ცხოვრებას“, როგორც ითქვა, მისი შენაზარდი თავი ეხება სწორედ ჯვარს, რომელშიც სასწაულების ჩამოთვლისას, აღნიშნულია ჯვრის უნარიც, დაეხმაროს ბრძოლაში ადამიანებს: „და ვითარცა იხილნეს ყოველთა სასწაულნი ესე დიდებულნი პატროსნისა ჯუჯარისანი, მრავალნი უშვილონი მოვლენედ და ილოცვედ მისგან შვილიერებასა, და შვილითა განმამძარნი აღიდებედ ღმერთსა და შესაწირავთა და მადლთა მისცემედ პატიოსანსა ჯუჯარსა. არა ხოლო თუ რომელნი მუნ მივლენედ და მათ ოდენ მიჰმადლებნ სათხოველსა, არამედ მათცა, რომელნი შორს არიედ, გინა თუ ბრძოლასა, ღუაწლსა შინა ხადიედ პატროსანსა ჯუჯარსა მცხეთისასა, მუნთქუეს.ვე მძლე ექმნიან

მ ტ ე რ თ ა შეწევნითა პატრონისა ჯურისაჲთა და დიდითა სიხარულითა მოვიდიან მადლისა მიცემად პატრონისა ჯუარისა“<sup>86</sup>.

აქ ვკითხულობთ: „პრავალნი უღმრთონიცა ჭირსა შეცკვეს“<sup>87</sup> და უნებურად გვახსენდება ზემონახსენები ბორზო მოვაკელის ბედი („სცა ლახუარი ჯუანშერ სპასპეტმან, და დაეცა მძორი მისი“).

უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ აღნიშნული შენაზარდი თავის გაჩენა „ცხოვრებაში“, თუ არა რაღაც განსაკუთრებული მოთხოვნილება ამ ჯვრის საკითხის საგანგებო გაშუქებაზე, აუხსნელია: „ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში ჯვრის აღმართვის და მისი სასწაულების შესახებ ვრცლად საუბრობს იაკობ მღვდელი. ამ ამბავს უბრუნდება მირიანიც. ასე რომ, ამ თავის საჭიროება არც კომპოზიციურად, არც შინაარსობლივად არ არის.

ამგვარად, ერთი მხრივ, ჩვენთვის ნათელია, რომ ჯვარს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ვახტანგი, მეორე მხრივ, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წარმოდგენილ „ნინოს ცხოვრების“ ორივე რედაქციას, ე. ი. მთლიანად „მოქცევაჲს“ განსაკუთრებული ინტერესი ეტყობა ჯვრის საკითხის გაშუქებისადმი. ეს გარემოება ზემოგამოთქმულ ჩვენს ვარაუდს იმის შესახებ, რომ დიდი საეკლესიო რეფორმის გატარების წინ, ვახტანგი აჯამებს ქართული ეკლესიის ისტორიას, გარკვეულ მტკიცებას უქმნის.

ვახტანგი ხშირად იგონებს მირიანს, მის დროს ქართველთა მოქცევის ფაქტს („მამის მამა ჩემი მირიან ოდეს შემოჰყვა მეფესა სპარსთასა“<sup>88</sup>; ან კიდევ: „და არაინ არს ჩუენ შორის ჰემმარიტი მორწმუნე, რომელნი დანერგნა მამამან ჩუენმან მირიან“<sup>89</sup>; „თქვენ, მკვდრნო ქართლისანო, მოიქსენენით კეთილნი ჩემნი, რამეთუ პირველად სახლისა ჩემისა მიერ მიიღეთ ნათელი საუკუნო“<sup>90</sup>; ან კიდევ: „ამისათვის მოგითხარ, რომელ მამათა ჩუენთა დაფარულად ეპყრა წიგნი ესე, ხოლო მე შურმან საღმრთომან მაიძულა თქმად ამისსა. ამის მიერ შეიწყნარა მამამან ჩუენმან მირიან სახარება ქრისტესი ნინოს მიერ“<sup>91</sup>).

ამგვარი ფრაზები მიგვანიშნებენ, რომ მიუხედავად საუკუნეზე მეტი დროის გასვლისა, ვახტანგისათვის ქართლის მოქცევის ისტორიას ჰქონდა თანამედროვე ყდურადობა.

„ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ ვახტანგს ცხადში თუ სიზმრად ხშირად აგონდებოდა ქართლის განმანათლებლის პიროვნება, მისი ღვაწლი ქართლის წინაშე: „თქუენ. ყოველთა ქართველთა, იხილენით სასწაულნი ესე, რომელი ქმნა ნინო“<sup>92</sup>. ან კიდევ: „ხოლო მეფემან მყოვარ-ჟამ ილოცა და დაწვა. და მირულე-ბასა შინა მისსა, აჰა, ესერა უკუე მოვიდა დედაკაცი იგი, რომელი იყო წმინდა ნინო, და რქუა: „აღდეგ, მეფეო, და გან-

კრძალულად მიეგებვოდე, რამეთუ ორნი მეფენი ზეცისა და ქუეყანისა მოვლენ შენდა“. და რეცა მიხედაა, და იხილა პირველ სახე ქალაქისა, ვითარ არს კოსტანტინეს; და მიიწია იგი სწრაფით და იხილნა ორნი საყდარნი: ერთსა ზედა მჭდომარე ჭაბუკი, საქურელითა, გვრგუნოსანი; და მეორეთა საყდართა იხილა მოხუცებული მჭდომარე ზეწრითა სპეტაკითა, და თავსა ზედა ედგა გვრგვნი ნათლისა, არა ოქროსა, და ფერკთა მისთა თანა ჭდა ნინო; და კელი ვახტანგისი შარჯუნა ეპყრა პეტრეს მღდელსა და მარცხენა სამოელს მონაზონსა. და რქუა სამოელ: „შეუვრდი პირველად დიდსა იმას მთავარსა ზეცისასა გრიგოლის“. მივიდა და თაყუანის-ცა. და რქუა გრიგოლი: „რა ესე ჰყავ ბოროტი, კაცო, რამეთუ მოაოჯრე ბანაკი ჩემი, და მკეცთა შეაქამენ საცხოვარნი ჩემნი. უკუთუმცა ორნი ეგე არა, რომელნი გუერდით გიდგან, და დედაკაცისა ამისათვის სათნოსა, რომელი მარადის ილუწის მარიაშის თანა თქუნთვს, — შურ ვიგემცა შენგან, ვითარცა მამათა შენთაგან, რომელნი ესვიდეს ცეცხლსა შემწუელსა და არა ბრწყინვალეებასა განმანათლებელსა ყოველთასა“. და მისცა კელი და ამბორს-უყო, რეცა და მიჰყო კელი გვრგვნსა ნათლისასა, რეცა ეგვეითარივე გვრგვნი მისცა ვახტანგს, და რქუა: „დაარქუ ეგე პეტრეს“. და აღიღო პეტრე მისივე გვრგვნისაგან რეცა უდარესი, და დაარქუა სამოელს მონაზონსა. და რქუა ნინო ვახტანგს: „აწ უკუე მივედ მეფისა და მიიღე ნიჭი შენი“. მივიდა მეფისა, ამბორს-უყვეს ურთიერთას, და ადგილ-სცა საყდართა თვისთა, და დაისუა იგი თანა. და მისცა ბეჭედი კელისა მისისაგან, რომლისა იყო თუალი ფრიად ნათელი, და რქუა კეისარმან: „უკეთუ გნებავს, რათა მოგცე გვრგვნი, ალუთქუ ვინ ესე დგას ჩუენ ზედა, რათა ჰქრძოდო მტერთა მისთა და მიიღე მისგან გვრგვნი“. მოიხილა ვახტანგ და იხილა ჭუარი, რომელსა ფრთეთა მისთა ზედა აქუნდა გვრგვნი, და უმეტესად ხილვამან ჭუარისამან დასცა შედრწუნება, რამეთუ უსაშინელეს იყო ზარი მისი, და დადუმნა. ხოლო ადღგა ნინო და მიხედნა პეტრეს კერძო და სამოელისა, და ერთითა პირითა თქუეს: „ჩუენ ვართ თავსმდებნი, ვითარმედ უმეტეს ყოველთასა წარემართოს, შ ჭუარო უძლევლო“. და მიჰყო ხელი კეისარმან, და მოიღო გვრგვნი ჭუარისაგან და დაარქუა გვრგვინი იგი ვახტანგს თანესა<sup>93</sup>.

როგორც ვხედავთ, ნინოს, ისევე როგორც ჭვარს, განსაკუთრებული ადგილი სჭერია ვახტანგის ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბევრი მომდევნო მეფეც სანამუშო მორწმუნე იყო, ასეთ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მათგან ქართველთა განმანათლებლისადმი ვერ ვხედავთ. ვახტანგისათვის ნინოს ისტორია

განსაკუთრებით აქტუალური იყო. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ამ წმინდანის ასეთი დიდი ადგილი აღნიშნულ ჩვენებაში. »

ჯვრისაგან აღებულ გვირგვინთან დაკავშირებით კი შეიძლება მოვიგონოთ ზემოთ აღნიშნული ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ შენაზარი თავიდან შეზღვევი ფრაზა: „აჰა ესერა სუეტი ნათლისაჲ სახედ ჟუარისა დგა ზედა ჟუარსა მას და ათორმეტნი ანგელოზნი დაგვრგვინებულ იყვნეს გარემომს მისა, ეგრევე სახედ ათორმეტნი ვარსკვლავნი დაგვრგვინებულ იყვნეს“<sup>94</sup>.

ვახტანგის ეპოქაში ნინოს როლი რომ განსაკუთრებულად იყო გამოკვეთილი, ამას უჩვენებს პეტრესა და სამოელის ჩვენებაჲ: „ვითარცა განიღვიძა მეფემან ვახტანგ მადლობდა ღმერთსა, რომელმან ყოველივე გამოუცხადა, და მოუწოდა მსწრაფლ პეტრეს და სამოელს, და რქუა: „რა იხილეთ?“ ხოლო მათ რქუეს: „იტყოდე. მეფე: ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით ვდევით, რაჟამს შენ საყდარათა მსხდომარეთა წინაშე კეისრისა და ღმრთივ-გასამეტყუელსა სდეჯ: და კუალად იგივე დედოფალი ჩუენი დაამშვდებდა მოძლუარსა მას განძნებულსა შენ ზედა, და მიგცემდა შენ ხელთა მისთა“<sup>95</sup>.

თუ რამდენად ღრმად იყო გამჭდარი ვახტანგის ცნობიერებაში სურათები ჯრცელი „ნინოს ცხოვრებიდან“, ამაზე მეტყველებს მიაი ანდერძი: „ხოლო ვახტანგ შეიტყო სიკუდილი თავისა თვისსა, და მოუწოდა კათალიკოსსა და ცოლსა თვისსა და ძეთა და ყოველთა წარჩინებულთა, და თქუა: „მე ესერა წარვალ წინაშე ღმრთისა ჩემისა... და რქუა ძესა თვისსა დაჩის“<sup>96</sup>. შდრ მირიანის ანდერძის ინტონაცია: „აჰა ესერა მე წარვალ... ხოლო ძესა თვისსა აწავებდა“<sup>97</sup>.

ვახტანგმა განახორციელა მირიანის ანდერძის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი, კერძოდ, მოთხოვნა იმისა, რომ ნინოს „სამარხეო ადგილი“, ჰადაც მეფეთა რეზიდენცია არ იყო, განდიდებულყო (მირიანი ცოლს ჰებრძანებდა: „განყავ სამეფუომ ჩემი ორად და მიიღე სამარხეოსა წმიდისა ნინომსა ჟამთა შეცვალეებისათჳს რ: მთა არა შეერყიოს უკუნისამდე ადგილი იგი, რამეთუ არა მეფეთა საჯდომი არს, მწირ არს ადგილი იგი. ეგრეთვე ვპვედრებ მთავარებესკოპოსსა, რამთა დაიდვას დედებაჲ მის ადგილისაჲ, რამეთუ ღირს არს პატივის-ცემისა“<sup>98</sup>) — საეპისკოპოსო დააარსა ნინოწმინდაში: („და დასუა ერთი ეპისკოპოსად ლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა... ერთი ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა ადღე შენა, ერთი ჰერემს, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი-იგი მანვე აღაშენა“)<sup>99</sup>.

ქართლის მოქცევის ისტორია აქტიური ფიქრის საგანი ყოფილა არა მარტო ვახტანგისათვის, არამედ მისი ოჯახის წევრებისათჳს: „ხო-

ლო ვახტანგს ევედრნეს დედა და დაამისი ხუარანძე, რათა წარიტან-  
ნეს თანა და ილოცონ იერუსალემს. წარიტანა, და წარვიდეს ვახტანგ  
მეფე და ხუასრო გზასა ადარბადაგანისასა; და მუნით წარვიდეს ვახ-  
ტანგ და დედა და დაამისი იერუსალემს, და ხუასრო ელოდა ანტიო-  
ქიას. შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოი-  
ლოცნეს ყოველნი აღვილნი წმიდანი, და შეევედრანეს წმიდა-  
სა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს ან-  
ტიოქიას<sup>100</sup>.

იერუსალიმის ყველა სხვა სიწმინდეს შორის წმინდა აღდგომის  
ეკლესიის ასე საგანგებო გამოყოფა შესაძლოა დაეუკავშიროთ იმ  
ფაქტს, რომ სწორედ აქ მსახურებდა თავის დროზე ნინოს დედა  
(„და მათვე დღეთა კაცი ვინმე იყო კოლასტას შინა და ესხნეს ორ  
შვილ: ძმ და ასული. სახელი ძისა მისისაჲ იობენალი, ხოლო ასული-  
საჲ — სუსანა. და ვითარ აღესრულნეს მშობელნი იგი, დაშთეს შვილ-  
ნი მათნი ობლად. აღდგეს და წარვიდეს წმიდად ქალაქად იერუსა-  
ლემდ, იმედ-ყვეს სასოვებაჲ იგი ყოველთა ქრის-  
ტიანეთაჲ — წმიდაჲ აღდგომაჲ — და შეევედრნეს  
მუნ<sup>101</sup>) და, საფიქრებელია, შემდგომში ნინოც.

„ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ ასეთი ცნობების არსებობა  
(მრუხედაჲად იმისა, თანამედროვეა ეს ძეგლი თუ არა), რა თქმა უნდა,  
შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. ისინი უთუოდ გამოძახილია იმ რეა-  
ლური ვითარებისა, იმ სულსკვეთებისა, როცა ქართლის მმართველი  
წრე გარკვეული პოლიტიკური, პრაქტიკული მიზნით უღრმავდება  
წარსულს, კერძოდ, ქრისტიანის თვალსაზრისით ამ წარსულის ყველა-  
ზე ღირშესანიშნავ ფაქტს — მოქცევას. ამიტომაც ეს წრე და მისი  
სახელოვანი წინამძღოლი ვახტანგ გორგასალი — ასეა გაუღენთილი ამ  
ისტორიით. მოთხოვნილებას კი წარსულის ამ ფაქტის ცოდნაზე აკმა-  
ყოფილებს „მოქცევაჲ“ ქართლისაჲ“.

საგულისხმოა, რომ ვახტანგმა საგანგებოდ იზრუნა კათალიკოსის  
რეზიდენციისათვის („ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკ-  
ლესია ზოციქულთა სუეტი ცხოველი, და უპყრა სუეტსა შინა სამხ-  
რით აღვილსა მას, სადა-იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს  
სიონი დიდი. და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ  
ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა“<sup>102</sup>). ასევე რომ ეზრუნა  
თხზულებისათვის, რომელიც ქართული ეკლესიის ისტორიას წარმოა-  
ჩენდა, ვახტანგისაგან მოულოდნელი არაა.

ყოველივე ზემოთქმული კი გვაფიქრებინებს, რომ „მოქცევაჲ  
ქართლისაჲს“ შექმნა ვახტანგის ეპოქას, მის მიერ ქართული ეკლესი-  
ის რეორგანიზაციას და კათალიკოსობის შემოღებას უკავშირდება.  
ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ამ დიდი მოღვაწის სა-



ხელზეა ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლიც ძველი ქართული მწერლობისა<sup>103</sup>, თუმც ისტორიოგრაფიის დარგში ვახტანგის ასეთი ინიციატივის შესახებ ცნობას არსად ვხვდებით მის ისტორიკოსთან. რატომღაც ქართველ მემკვიდრეთა ყურადღების მიღმა ირჩება ყოველთვის ამგვარი ფაქტები. ისინი ბევრს ლაპარაკობენ გვირგვინოსანთა მიერ გარდახდილ ომებზე, ციხე-ტაძრების მშენებლობაზე, მაგრამ არასოდეს სიტყვას არ ძრავენ იმაზე, რომ ამა თუ იმ მეფის ინიციატივით შეიქმნა ესა თუ ის ისტორიოგრაფიული ძეგლი. შესაძლოა აქ რაიმე პრინციპთან გვაქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ვახტანგის „ცხოვრებაში“ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შექმნის მოუხსენებლობა არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება ზემოთ მოტანილ. დასკვნას აღნიშნული ძეგლის შექმნის ეპოქის შესახებ<sup>104</sup>.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა მცირე „ნინოს ცხოვრების“ შესახებ. ითქვა, რომ ეს რედაქცია შემოკლებული ჩანს სრული დედნიდან, რომ ეს დედანი არაა ჩვენს ხელთ არსებული ვრცელი „ნინოს ცხოვრება“, რომ შემოკლება ჩატარებულია ქრონიკის უანრობრივ თავისებურებასთან (ლაკონურობა) მისი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მცირე „ნინოს ცხოვრების“ შექმნის თარიღი ემთხვევა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შედგენის თარიღს და განისაზღვრება V საუკუნის შესაძენ ან მეოთხე მეოთხედით.

ინტერესს იწვევს მცირე „ნინოს ცხოვრების“ დედანი, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია და რომელზედაც მსჯელობა ამჟამად მხოლოდ ამ მცირე რედაქციით შეგვიძლია. ისიც უნდა იყოს საკმაოდ ძველი, არაა გამორიცხული მისი შექმნა ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ თითქმის თანადროულად. საქმე ის არის, რომ ეს დედანი და ჩვენს ხელთ არსებული ვრცელი „ნინოს ცხოვრება“, საფიქრებელია, ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან მრავალი ნიშნით (ერთი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გადმოსცემდა ამბებს და გარკვეული თვალსაზრისით მის უპირატესობად ეს შეიძლებოდა ჩათვლილიყო, მეორე დოკუმენტთა კრებულს წარმოადგენდა და დამატებლობა ჰქონდა დიდი). ამიტომ ზათი თანადროული წარმოშობა და პარალელური არსებობა დასაშვებია, გარკვეულად აუცილებელიც, მოქცევა ისეთი საეტაპო მოვლენა იყო ქართლისათვის, ისეთი გადატრიალება იდეოლოგიაში და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში, რომ თანამედროვეთა მიერ მისი დაფიქსირება ერთდროულად ორ ძეგლში, ლოგიკურად გამოიყურება.

## ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

წყართმცოდნეობითი კვლევის საგანს ისტორიული ძეგლების ინფორმაციულობის განსაზღვრა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე ნარატული ძეგლების მიმართ (მათ რიცხვს ეკუთვნიან ჰაგიოგრაფიული თხზულებები) წყართმცოდნეობითი კვლევის ამოცანა შემდეგნაირად ყალიბდება: უნდა გაირკვეს თუ რაპდენად შეესაბამება (შეიძლება შეესაბამებოდეს) ისტორიულ სინამდვილეს ძეგლში დაცული ცნობები. აღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელია საკვლევი ნაწარმოების ისტორიის შესწავლა. სწორედ ამიტომ წინამდებარე ნაშრომში „ნინოს ცხოვრების“ წყართმცოდნეობითი კვლევა ამ ციკლის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის უძთავრესი მომენტების გარკვევით დავიწყეთ.

ნაშრომის შესავალში საგანგებოდ იყო განხილული ციკლის სტრუქტურა, განმარტებული მის ცალკეულ ერთეულთა სახელწოდებანი. ამ მიმართულებით ვრცლად მსჯელობის აუცილებლობა სპეციალურ ლიტერატურაში „ნინოს ცხოვრების“ კვლევაში არსებული ნაკლის გათვალისწინებამ გვაგარძნობინა, იმან, რომ შესასწავლი მასალის სათანადო ორგანიზება არ ხდებოდა, რის გამოც ციკლის განვითარებაში შესწავლის, მისი ისტორიის აღდგენის ცდა თავიდანვე წარუმატებლობისათვის განწირული გამოდიოდა.

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება „ნინოს ცხოვრების“ ადგილობრივ ვერსიას. კერძოდ, აქ განხილულია ამ ვერსიის ჩვენამდე შემორჩენილთა შორის უძველესი რედაქციები: „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წარმოდგენილი მცირე და ვრცელი „ცხოვრებანი“. ამ თავის მთავარი შედეგი ისაა, რომ გარკვეულია აღნიშნულ რედაქციათა ურთიერთმიმართება (მათი სხვადასხვა წარმომავლობა, მათ შორის უშუალო დამოკიდებულების არარსებობა). ამავე დროს აქ ნაჩვენებია, თუ მათი კომბინირებით როგორ აღწევს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი შეტად საინტერესო ისტორიოგრაფიულ ეფექტს — ქართლის მოქცევის ფაქტს ჭერ მოვლენათა მდინარებაში ჩართულად გვიჩვენებს, ხოლო შემდეგ იგი მოაქვს მსხვილი პლანი. ეს გარემოება ააშკარავებს, რომ ჩვენთვის საკვლევი ჰაგიოგრაფიული ძეგლის ერთ-ერთი საზოგადოებრივი ფუნქცია ისტორიოგრაფიული იყო.

მეორე თავში შესწავლილ იქნა „ნინოს ცხოვრების“ სომხური ვერსია, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ეს უკანასკნელი ადგილობ-

არიც ექრსიაზეა დამოკიდებული, კონკრეტულად კი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტიპის ტეგლზე. ამგვარად, ირკვევა, რომ V ს. მიწურულისათვის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ — ეს მრავალმხრივ საინტერესო ძეგლი — უკვე არსებობს. ამ თავში წარმოდგენილი კვლევის პროცესში არმენოლოგიის თვალსაზრისით მნიშვნელოვან საკითხებსაც მოეფინა შუქი: კერძოდ, შეივსო მოსე ხორენელის მიერ გამოყენებულ წყაროთა სია და გაიკვია ერთი კონკრეტული შემთხვევისათვის ისტორიკოსის მიერ წყაროზე მითითების ლოგიკა.

მესამე თავში წარმოდგენილი გვქონდა „ნინოს ცხოვრების“ ბიზანტიური ვერსია, რომელიც აქ განხილულ იქნა პავიოგრაფიული სტერეოტიპების თვალსაზრისით. აღმოჩნდა, რომ იგი ადგილობრივი, უკვე წერილობით გაფორმებული ტექსტიდან მომდინარეობს, რომლის არსებობა IV ს. მიწურულისათვის ფაქტია. ამ ძირითადი შედეგის გვერდით კვლევის პროცესში წარმოჩნდა ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწის ბაკურ თრდატის ძის პორტრეტი, რომელიც იყო „ნინოს ცხოვრების“ შესაძლოა პირველი პოპულიზატორი საზღვარგარეთ. ამავე დროს გამოვლინდა „ნინოს ცხოვრების“ ციკლის თხზულებები კიდევ ერთი საზოგადოებრივი ფუნქცია — პოლიტიკური.

კვლევის ამ ეტაპზე, ამგვარად, აშკარა შეიქმნა, რომ ადგილობრივი ვერსია არის წყარო უცხოური (სომხური, ბიზანტიური), ვერსიებისათვის და იგი წერილობით გაფორმებული ჩანს უკვე IV ს. მიწურულში. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში ტრადიციულად ითვლებოდა, რომ ნინოს კულტი და შესაბამისად მისი „ცხოვრება“ გვიანდელია (წარმოიშვნენ IX ს-ში). ამის გამო ამავე თავში ჩვენ სპეციალურად შევიჩრდით ტრადიციული არგუმენტების განხილვაზე. ამ განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ეს არგუმენტები წყაროთა არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია, რომ ისინი სინამდვილეში არაფერს იძლევიან ისეთს, რაც „ნინოს ცხოვრების“ ადრეულ დათარიღებას საეჭვოდ აქცევდა. პირიქით, ამ წყაროთა მონაცემები აღნიშნულის დამამტკიცებელ ირიბ საბუთადაც კი შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ამგვარად, პოზიტიურ და ნეგატიურ მსჯელობებს ერთი და იგივე შედეგამდე მივყავართ, კერძოდ, „ნინოს ცხოვრების“ IV საუკუნეშივე არსებობას გვიდასტურებენ. აღნიშნული დასკვნა სავსებით საკმარისი ჩანდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, მაგრამ ისტორიულ პრაქტიკაში „ნინოს ცხოვრების“ როგორც წყაროს გამოყენებისთვის არ კმაროდა, საჭირო იყო ჩვენს ხელთ არსებული კონკრეტული ძეგლების დათარიღება. ამის გამო მეოთხე თავში „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის თარიღის შესახებაა მსჯელობა. აქ გამოიკვეულია, რომ თვით ძეგლისავე მითითებანი მისი წარმოშობის

პირობებისა და დროის შესახებ სარწმუნოა, რომ მისი გაფორმება IV ს. შუა ხანებით უნდა დათარიღდეს. წინა თავებში იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მცდარი მოსაზრების წარმოშობას განაპირობებდა ძეგლის მონაცემთა არასწორი ინტერპრეტაცია. ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ დათარიღებისას სპეციალისტებს შორის დაბნეულობის მთავარი მიზეზი სწორედ წყაროთმცოდნეობითი კვლევის პერმენექტიკული (პერმენექტიკა — ინტერპრეტაცია, ავტორის პოზიციის ამოცნობა!) საფეხურის უხარისხო ჩატარება იყო. მასალის სწორი ორგანიზების შემდეგ ძეგლის პოზიციის ზუსტი განსაზღვრა აუცილებელი წინაპირობაა ციკლის განვითარების ისტორიის შესასწავლად. და ეს გასაგებიცაა: მას შემდეგ რაც ვიცით თუ რას ამბობს ავტორი, იოლდება გარკვევა იმისა თუ რა იმალება ამ ნაოქვამის უკან.

ამავე თავში მოცემულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ დათარიღების ცდა. ამ ძეგლის წარმოშობა დაკავშირებულია ვახტანგ გორგასლის მიერ ქართული ეკლესიის რეორგანიზაციასთან, მის მიერ კათალიკოსობის დაწესებასთან. აქვეა მსჯელობა მცირე „ნინოს ცხოვრების“ შესახებ, რომლის შექმნა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანადროულად არის მიჩნეული, და მის უედანზე (რედაქცია N), რომლის წარმოშობა ივარაუდება ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ პარალელურად.

ამგვარად აღდგება „ნინოს ცხოვრების“ ციკლის ისტორიის საწყისი ეტაპი, კერძოდ, თვალსაჩინო ხდება, რომ ამ ციკლის პირველი ტექსტები წარმოიშვნენ ქართლის მოქცევის თითქმის თანადროულად, V ს. II ნახევარში კი მათ ბაზაზე შეიქმნა თვისებრივად ახალი ნაწარმოები, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, რომელშიც გაერთიანდა „ნინოს ცხოვრების“ ციკლის ორი შტო.

„ნინოს ცხოვრების“ ციკლის ისტორია ამით არ ამოიწურება. იგი გრძელდება გვიან საუკუნეებშიც და მისი ევოლუციისათვის თვალის გადავენება წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით გენეზისის პრობლემების გარკვევაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი როლია<sup>2</sup>. სამწუხაროდ, ამჟამად არა გვაქვს ციკლის ისტორიის ამ გვიანდელი პერიოდის ჩვენების საშუალება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიღებული შედეგების ისტორიული კვლევის პრაქტიკაში გამოყენება, ფიქრობთ, უკვე შესაძლოა. ფართოა ამ დასკვნების პერსპექტივა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი დებულებები წარმოდგენილია 1982 წლის დაცულ ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში — აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანიზაციის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები“. პირველი და მესამე თავების ცალკეული ნაწილები, როგორც შეენიშნავდით კიდევ, დაიბეჭდა წერილების სახით; რაც შეეხება მეორე და მეოთხე თავების მასალებს, ისინი ქვეყნდება პირველად.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

### შესავალი

1 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. დასაბუქლად შოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანციევმა და ც. ჭლამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. — თბ., 1963, წ. I, გვ. 98—163.

2 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. — თბ., 1955, ტ. I, გვ. 72—130.

3 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. დასაბუქლად შოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჟიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. — თბ., 1971, წ. III, გვ. 7—51.

4 ჭ ა ნ ა შ ი ა ს. ფსევდო-არსენი. — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის „შოამბე“, 1940, ტ. I, № 6, გვ. 475—482.

5 კ ე ე ე ლ ი ძ ე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია: ორ ტომად. — თბ., 1980, ტ. I, გვ. 311—314.

6 ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ი ვ. მეტაფრასული „ნინოს ცხოვრების“ ავტორის ვინაობისათვის. — მრავალკარგი, თბ., 1984, გვ. 73—87; შისივე. არსენ იყალთოელი. — თბ., 1978, გვ. 74—81; გაბიძაშვილი ე. რუს-ურბნისის კრების ძეგლისწერა. — თბ., 1978, გვ. 77—78.

7 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 52—83.

8 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 83—90. ტექსტი შობანილია შატბერდის კრებულში (X ს. ხელნაწერი) დატული „მოქცევაჲ ქართლისაჲდანი“. მართალია, აქ „ნინოს ცხოვრების“ განსახილველი რედაქცია ნაკლებულია, მაგრამ ამ კონკრეტული შემთხვევისათვის აღნიშნულ გარემოებას მნიშვნელობა არა აქვს. ქვემოთ სხვა ფაქტების დასამოწმებლად კი ხშირად მიემართავთ კელიშის კრებულში (XIV—XV სს. ხელნაწერი) წარმოდგენილ მცირე „ნინოს ცხოვრებას“.

9 იქვე, გვ. 91.

10 მცირე „ნინოს ცხოვრების“ დამოუკიდებელ ერთეულად გამოყოფის აუცილებლობის შესახებ აღნიშნავდით ადრეც (ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი შ. „ნინოს ცხოვრების“ პროტოქელიშური რედაქცია — მეტაფრასული რედაქციის წყარო. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1978, № 4, გვ. 98; შისივე. „ნინოს ცხოვრების“ მცირე და ვრცელი რედაქციები. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1980, № 1, გვ. 96; Ч х а р т и ш в н л и М. С. Источниковедческие проблемы христианизации Восточной Грузии: Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1982), და

თუმც, დღეს შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისმა ლიტერატურაში გზა უკვე გაიკვლია (მ ე ნ ა ბ დ ე დ. ქართული აგიოგრაფიის და საისტორიო მწერლობის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი: სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.—თბ., 1981, გვ. 75; А б а ш и д з е И. Г. К вопросу о структуре и истцественных „Обращениях Картли“. — Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Всесоюзная научная сессия 17—19 октября 1985 г. в Батуми: Тезисы докладов, Тб., с. 4), მისი საბოლოო დამკვიდრებასათვის სპეციალურად შეჩერება საჭირო ჩანს ისევე.

11 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 91.

12 ამ რედაქციის სახელდებაზე ყურადღებას საგანგებოდ ამახვილებდა ივ. ჭავჭავაძე. მაგალითად, მან დაიწუნა ამ ძეგლის პირველი გამოშვების ე. თაყაიშვილის ტერმინი „ახალი ვარიანტი“ (თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე. ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა.—ტფ., 1891) იმას გამო, რომ იგი დროებითი სახელწოდება შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ (ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ. ანდრია მოციქულისა და წა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში.— მოამბე, 1900, V, 56, სქოლიო).

13 მო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმანა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ა ბ დ ა ლ ა ძ ე მ.—თბ., 1984, გვ. 170—172.

14 М е л и к с е т-Б е к Л. М. „История креста Нины“. — Известия армянского филиала АН СССР, 1941, № 9, с. 59; С а а к я н А. С. История Нунэ в армянской действительности.—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა საკავშირო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1981, გვ. 50—51.

15 გეორგია. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ა ლ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე მ და ს ი მ ო ნ ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ მ ა.—თბ., 1961, ტ. I, გვ. 186—194. 201—207, 209—213, 229—234, 235—241, 243—244.

### თავი პირველი

1 ც ხ ა დ ა ძ ე ქ. უცნობი ავტორის „ნინოს ცხოვრება“. — კ. კეკელიძის მე-80: წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1956, გვ. 390—401.

2 ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა: თხზულებანი 12 ტომად. — თბ., 1977, ტ. VIII, გვ. 187; კ ე კ ე ლ ი ძ ე ქ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია: ორ ტომად.—თბ., 1980, ტ. I, გვ. 239; ქ უ რ ც ი ძ ე ე. წმ. ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის წყაროს საკითხისათვის.—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XLVI, 1967, № 1; ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი მ. „ნინოს ცხოვრების“ პროტოპელიშური რედაქცია — მეტაფრასული რედაქციის წყარო.—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1978, № 4, გვ. 98—106; მ ი ს ი ვ ე. მეტაფრასი „ნინოს ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისეულა“ რედაქციის შესახებ.—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1980, № 4, გვ. 119.

3 გ. მედიქიშვილმა „მოქცევა ქართლისაჲს“ ისტორიული ქრონიკის მონაცემებისა და „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი მონაცემების შეჯერების შედეგად

დასკვნა, რომ „მეფეთა ცხოვრებაში“ მოწეულთაგან განსხვავებული „მოქცევა ქართლისაჲ“ უნდა იყოს გამოყენებული (М е л и к и ш в и л ი Г. А. К истор ии древней Грузии.—Тб., 1959, с. 44). მოსაზრებას „მოქცევა ქართლისა“ განსხვავებული რედაქციის შესახებ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გვიდასტურებს „ნიინოს ცხოვრების“ მროველისეული რედაქციის შედარება.

ს. ყუბანეიშვილმა შენიშნა, რომ ეს რედაქცია მსგავსებას იჩენს ხან შატბერდულ, ხან კელიშურ „მოქცევა ქართლისაჲსთან“. ეს გარემოება მკვლევარს აფიქრებინებდა, რომ ავტორმა ორივე დასახელებული წყაროთი ისარგებლა (ყუბანეიშვილი ს. „მოქცევა ქართლისაჲს“ კელიშური რედაქცია.— თსუ შრომება, 1940, X II, გვ. 93). მკვლევარი უდარებდა ცალკეულ სიტყვებს. თუ სამივე ძეგლიდან ავიღებთ მთლიან წინადადებებს და მათ პარალელურად შევუდარებთ, გამოირკვევა: ლეონტი მროველი, ერთი წინადადების ფარგლებში ხან შატბერდულის გრამატიკულ ფორმას იღებს, ხან კელიშურის. ასევე ითქმის ცალკეულ სიტყვებზე, გამოთქმებზე. ეს მაშინ, როცა აზრს უცვლელად ტოვებს. ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ მროველი იყენებს ორივე რედაქციას, როგორც ფიქრობს ს. ყუბანეიშვილი. მაგრამ ეს თვალსაზრისი პრაქტიკულად სრულიად წარმოუდგენელია, რადგან აუხსნელია, რატომ უნდა მიმართოს ავტორმა ერთი წინადადების ასაგებად ხან ერთ, ხან მეორე რედაქციას. ეს ხომ საოცრად რთული და უშიზრო სამუშაოა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მროველი სარგებლობს არაუშუალოდ შატბერდულით ან კელიშურით, არამედ მათი საერთო დედნით, ამიტომაც, რომ მისეული რედაქცია განუწყვეტლივ ემთხვევა ხან ერთს და ხან მეორეს და ორივეს უფრო ჰგავს ერთად, ვიდრე თითოეულს, რადგან ხან შატბერდული ინარჩუნებს დედნისეულს და ხან კელიშური. მოვიტანთ მაგალითებს:

ა) „და განუტევა მღღელნი და განჰკარგა ყოველი წესი ქრისტიანობისაჲ“ (შატბერდული; იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 109).

„და დაუტევენა მღღელნი და განუწესა ყოველი წესი საეკლესიოა“ (კელიშური, იქვე).

„დაუტევენა მღღელნი და განუწესა ყოველი წესი ქრისტიანობისა“ (მროველისეული; იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 75).

ბ) „და მოეგებვოდეს მდინარესა დიდსა დამარასა (შატბერდული, გვ. 108).

„მოეგებნეს მდინარესა მას ზედა დიდსა და ღრმასა“ (კელიშური, იქვე).

„მოეგებვოდეს ესე ყოველნი მდინარესა ზედა დიდსა და ღრმასა (მროველისეული, გვ. 75).

გ) „და მომცა ამბორებაჲ საუკუნოა და წარვიდა წილ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელ რაჲ ყოფაჲ მისი იცის მისმან უფალმან იესუ (შატბერდული, გვ. 40).

„და მომცა ამბორისა ყოფაჲ და წარვიდა წილ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელთა ყოფაჲ მათი იცის უფალმან იესუ ქრისტე“ (კელიშური, იქვე).

„და დაუტევა ამბორის-ყოფა საუკუნო და წარვიდა წილ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, სადა-იგი ყოფაჲ მისი უწყის ღმერთმან ყოველისა ნეცნიერად დამბადებელმან (მროველისეული, გვ. 76).

დ) „რამეთუ პირველ ესმინა წარწყმედაჲ და მერმე მოქცევაჲ მშულობით“ (შატბერდული. გვ. 136).

„რამეთუ ესმა პირველად წარწყმედა და კუალად მოსკლამ მშდობით“ (ველიშური, იქვე).

„რამეთუ ესმა პირველ წარწყმედა და კუალად მოსკლა მშდობით“ (მროველისეული, გვ. 110).

მაგალითები ზემოთ მოტანილით არ ამოიწურება. მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ შესაღარებელი რედაქციების თითქმის სრული ტექსტები. ცხადია, გარკვეულ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე. ამრიგად, აშკარაა, რომ ლონტი მროველმა თავისი „ნინოს ცხოვრების“ შესაქმნელად ისარგებლა შატბერდული და ველიშური „მოქცევა ქართლისაჲს“ საერთო არქეტიპით (ერსტად იხ. ჩხარტიშვილი მ. „ნინოს ცხოვრების“ რედაქციები: საღიპლომო ნაშრომი. — თბ., 1977, გვ. 26—32. მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანიზაციის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. — თბ., 1982, გვ. 28—33).

სტატიაში, რომელიც ეძღვნება პროტოველიშური რედაქციის პრობლემას, სქოლიოში აღენიშნავდით „ქართლის ცხოვრებისეული“ (ე. ი. მროველისეული) „ნინოს ცხოვრების“ წყაროს შესახებ: „გამოკვლევამ დაგვარწმუნა, რომ ამ უკანასკნელის ავტორი სარგებლობს არა უშუალოდ შატბერდული ან ველიშური (პროტოველიშური), არამედ მათი საერთო არქეტიპისაგან — განსხვავებული არქეტიპით (ჩხარტიშვილი მ. „ნინოს ცხოვრების“ პროტოველიშური რედაქცია — მეტაფრასული რედაქციის წყარო. გვ. 100, სქოლიო 13).

დ. მენაბდეს ასეთი დასკვნა ნაადრევად მიუჩნევია. იგი წერს: „ნინოს ცხოვრების“ შესწავლის თანამედროვე ეტაპზე მსჯელობა ადრინდელ რედაქციაზე, რომლის რეკონსტრუირებულ მოდელი (ხაზი ჩენია) ჭერ არ მოგვეპოვება, ერთობ ძნელია. ყოველივე ამას მომავალი კვლევა გამოავლენს და წარმოაჩენს (მენაბდე დ. ქართული აგიოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1981, გვ. 89).

მკვლევარს ჩვენი დასკვნა დამაჯერებლად რომ არ მოეჩვენა, გაეცირებდას არ იწვევს. როგორც ითქვა, სტატია სხვა საკითხის კვლევას ეძღვნებოდა და მროველისეული „ნინოს ცხოვრების“ ჩვენთვის ცნობილსაგან განსხვავებული „მოქცევა ქართლისაჲსგან“ დამოკიდებულების შესახებ მხოლოდ შენიშვნა იყო გაკეთებული სათანადო საილუსტრაციო მასალების გარეშე. ჩვენთვის უცნაურია სხვა რამ: დ. მენაბდეს ამგვარი დასკვნის გაკეთება „მოქცევა ქართლისაჲს“ საკარაულო რედაქციის „რეკონსტრუირებული მოდელის“ წარმოდგენის შემდგომ რომ მიაჩნია შესაძლებლად. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ „მოქცევა ქართლისაჲს“ თუ „ნინოს ცხოვრების“ შესწავლის არც ერთ ეტაპზე ასეთი მოდელი არ იარსებებს, რადგან შეუძლებელია იმის ზუსტად აღდგენა, რაც აღარაა. ვფიქრობთ, ეს არცაა საჭირო. სხვა რედაქციათა საშუალებით ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია მოვიზაროთ დაკარგული რგოლები, მივეუთითოთ მათი ზოგიერთი ნიშნის შესახებ და ამით წარმოადგენა შევიქმნათ ძეგლის ისტორიაზე.

4 აღნიშნულის შესახებ მოუთითებდნენ ადრეც. იხ. ეგრ. ი. ახალი წყარო საქართველოს ისტორიისა. — „ივერია“, 1889, № 4; უორდანიან თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. — ტფ., 1892, წ. I, გვ. XVII; ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია: თხზ. 12 ტომად. — თბ., 1979, ტ. I, გვ. 216, 240—241.

5 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 83.

6 იქვე, გვ. 114.

7 იქვე, გვ. 86.



8 იქვე, გვ. 150—151.

9 იქვე, გვ. 87.

10 იქვე, გვ. 133.

11 იქვე, გვ. 87.

12 იქვე, გვ. 128.

13 იქვე, გვ. 84—85.

14 იქვე, გვ. 137. აღნიშნული მაგალითის შესახებ პირველად მიუთითა ივ. ჭაბიშვილმა (იხ. მისი „ქართველი ერის ისტორია“, გვ. 241).

15 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 87.

16 იქვე, გვ. 147.

17 იქვე, გვ. 86.

18 იქვე, გვ. 144.

19 უფრო ვრცლად ამ მეთოდის შესახებ იხ. Б о р о д к и н Л. И., М и л о в Л. В., М о р о з о в а Л. Е. К вопросу о формальном анализе авторских особенностей стиля в произведениях древней Руси.—Математические методы в историко-экономических и историко-культурных исследованиях, М., 1977, с. 298—326.

20 გვერდები „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ პირველი წიგნის მიხედვითაა მიითვებული.

21 პარამეტრების შერჩევისას ვხელმძღვანელობდით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ზ. სარჭველას კონსულტაციებით.

22 შ ა ნ ი ძ ე თ. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I.—თბ., 1973, გვ. 216.

23 მატრიცები დათვლილია გამომთვლელი მანქანის საშუალებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში. მათემატიკურ ენაზე ამოცანის ჩამოყალიბებაში დახმარება გაეწვია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა მერაბ ალექსიძემ. პროგრამა მანქანისათვის შეადგინა გუკა წულუისკირმა.

24 აღნიშნული თვალსაზრისი და მისი დასაბუთება პირველად წარმოდგენილი გექონდა ცალკე სტატიებში (ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი მ. „ნინოს ცხოვრების“ მცირე და ვრცელი რედაქციები.—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1980, № 1, გვ. 96—106; ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი მ., ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი ლ. „მოქცევა ქართლისაჲ“. ავტორისეული სტილის მათემატიკური ანალიზი.—მეცნიერება და ტექნიკა, 1981, № 1, გვ. 49—51). პირველი მთავანი აქვს მხედველობაში დ. მენაბდეს, როცა აღნიშნავს: „საგანგებო შესწავლამ ცხადყო, რომ „მოქცევა ქართლისაჲს“ სხვადასხვა ნაწილში შემონახულ „ნინოს ცხოვრების“ რედაქციათა შორის მართლაც არის გარკვეული სხვაობა, მაგრამ არა იმდენი, რომ შორს მიმავალი დასკვნები გაეკეთათ... ამ რედაქციათა შორის მართალია შეინიშნება სხვაობა, მაგრამ საფიქრებელია, ეს წყაროთა ბრალია და მხოლოდ იმას მოწმობს, რომ „მოქცევა ქართლისაჲს“ ავტორს წყაროთა განსხვავებული ჩვენება აღარ შეუთანხმებია“ (მ ე ნ ა ბ დ ე თ. ქართული აგიოგრაფიის და საისტორიო მწერლობის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, გვ. 75).

როგორც ვხედავთ, მკვლევარი არ გვეთანხმება რედაქციათა შორის მიმართების რაობაზე მსჯელობისას. მაგრამ მოტანილი შენიშვნა დასაბუთებული არ არის. დისკრტაციის არცერთ ნაწილში მას არ უჩვენებია საწინააღმდეგო. ხოლო აღნიშნულ ციტატას თუ კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს, ძნელი არაა შევნიშნოთ, რომ

გაუცნობიერებლად დ. მენაბდე ჩვენ გვეთანხმება: მცირე და ვრცელ „ცხოვრებებს“ შორის სხვაობა ყოფილა, ეს იმიტომ, რომ მათი წყაროები სხვადასხვა ინფორმაციას იძლეოდნენ თურმე (ე. ი. ერთი წარმომავლობისა არ იყვნენ) და ეს წინააღმდეგობა „მოქცევა ქართლისაჲს“ ავტორს ველარ გაუსწორებია. არსებითად ამაზე მეტს ჩვენც არ ვამბობდით!

25 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 82.

26 იქვე, გვ. 82—83.

27 იქვე, გვ. 157.

28 „და მეთათხმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადაგი, სახელით რიფსიმე, რომლისაჲ მიზეზისათჲს“ (მიზეზი არაა მითითებული); ან კიდევ: „და მეშუდესა წელსა მეფესა არწმუნა სასწაულითა ქრისტესმიერთა“ (რა სასწაული იყო, ნათქვამი არაა); ან კიდევ: „სუეტი იგი იყო ძელისაჲ, რომელი თჳთ აღემართა“ (როგორ აღემართა, განმარტებული არაა).

29 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 87 (ხაზი წგენია).

30 იქვე, გვ. 138.

31 იქვე, გვ. 144.

32 იქვე, გვ. 82.

33 წყაროთა მითითების უმეტესი შემთხვევა აღნიშნული ფორმით („ვითარკა“ + „წერილ არს“ + წყაროს დასახელება) ძველ ქართულ მწერლობაში მოდიოდა შემოკლებულ ადგილებზე. ასახელებენ ისეთ თხზულებას, სადაც მკითხველს ინფორმაციის შეესება შეუძლია (ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი მ. წყაროების მითითების წესი ლონტი მროველის თხზულებებში. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1982, № 2, გვ. 83—91).

34 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 114.

35 იქვე, გვ. 92.

36 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 138.

37 „ჩვენ კი ჩვენდა თავად უფრო იმ აზრისა ვართ, რომ ქართლის მოქცევის შემდგენელს ვრცელი დედნითგან უნდა ჰქონდეს გამოკრებილი ეს ცნობები. ყოველ შემთხვევაში მას უფრო მეტი მასალა უნდა ჰქონოდეს ხელში, ვიდრე ჩვენს ხრონიკაში არის“ (თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე. სამი ისტორიული ხრონიკა. — ტფ., 1890, გვ. XC VIII; იხ. აგრეთვე, ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: თხზულებათა კრებული შვიდ ტომად. — თბ., 1978, ტ. IV, გვ. 255).

38 თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე. სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. XC III—XC IV.

39 „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ განხილვა ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით პირველად წარმოდგენილი გვქონდა ცალკე წერილში. იხ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი მ. ქართული ისტორიული აზრის განვითარების ისტორიიდან („მოქცევაჲ ქართლისაჲს“). — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. — თბ., 1985, № 3, გვ. 124—130.

## თავი მეორე

1 შიქსისი ხორენაძე ოთომიძის დაჯიყ: აქსიოთიქსაძე შ. ა. ხ. ე. ქ. ა. ნ. — შიქსი, 1913, ლ. 234.

2 თარგმანი ჩვენია. შტრ. სხვა თარგმანები: *История Армении Моисея Хоренского*. Новый перевод Н. О. Э м и н а. — 1893, с. 133; *Studia Biblica et Ecclesiastica*, vol. V, part I.—Oxford, 1900, p. 66. Х а л а т я н ц Г. Армянские Аршакиды в „Истории Армении“ Моисея Хоренского.—М., 1903, с. 167; *С о н у б е а г е F. C.* The date of Moses of Khoren.—*Byzantinische Zeitschrift*, Leipzig, 1901, p. 500; ი ნ გ ო რ ო ყ ე ა პ. გ ო რ გ ი მ ე რ ზ ლ ე — ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ შ უ რ ა ლ ი მ ე ა თ ე სა უ ე ლ ნ ის ა.—თბ., 1954, გვ. 439; *Մովսես Խորենացի. Պատմություն Հայոց*. րարգմանությունը, ներածությունը և ծանոթագրություններն Սո. Մ ա լ ի ա ս յ ա ն ց ի. — Երևան, 1968, էջ 224; *Moses Khorenats'i, History of the Armenians*. Translation and commentary on the literary sources by R. W. T h o m s o n. — London, 1978, p. 240; მ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი. *ლომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმანა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა ლ ე ქ - ს ა ნ დ რ ე ა ბ დ ა ლ ა ძ ე მ.*—თბ., 1984, გვ. 172.

3 *Carrière A.* Nouvelles sources de Moïse de Khoren.—*Հანგის ამ-სიონი*, 1892, յունիս, էջ 183; Х а л а т я н ц Г. Армянские Аршакиды в „Истории Армении“ Моисея Хоренского, с. 168; *Moses Khorenats'i. History of the Armenians*, p. 45.

4 *Սուրբատի Սրուստիկոսի „Նկեղեցական պատմություն“* և „*Պատմություն վաղուց սրբոյն Սեբեաստոսի նպիսկայոսին հիովմայ*“: *Մխատասիրութեամբ Մ. Տ ե Ր-Մ ի վ ա է ս Յ Ո Ն.*—*Վարդաբյացատ*, 1897, էջ 211; *С о н у б е а г е F. C.* The date of Moses of Khoren, p. 497, 500; *ქ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ე.* ძველი სომხური საისტორიო მწერლობა.—*ტფ.*, 1935, გვ. 96—97; *მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ.* ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია.—*თბ.*, 1941, გვ. 74—75; *ა ბ ლ - ლ ა ძ ე ი ლ.* ძველი ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში.—*თბ.*, 1944, გვ. 079.

5 *Տ ե Ր-Ղ Ե Վ Ո Ն Ո Ղ Ս Ո Ա. Ն.* [Սղարսնդեղոսի խմբագրությունների հარցը *ըստ* სიւրհնացու տոქսონների.—*ԳՐԷ*. 1975, № 4, էջ 129—139.

6 გ. ხალათიანი მოსე ხორენელის მიერ აგათანგელოსის დასახელებას ისტორიკოსის უნებლიე შეცდომად თვლიდა. ქვემოთ გამოირკვევა, რომ არც ეს ახსნაა სწორი.

7 *Աղարსնդეղოս* *Պատմություն Հայոց*, *աշխատությունამբ Գ. Տ ե Ր-Մ կ რ տ ի - չ Ե ա Ն Ի Ս Մ. Կ ա Ն ա յ Ե ա Ն Ի ց.*—*Տվդիս*. 1509, էջ 439.

8 თარგმანი ჩვენია. შტრ. სხვა თარგმანები: Х а л а т я н ц Г. Армянские Аршакиды в „Истории Армении“ Моисея Хоренского, с. 167; *А до н ц Н. А.* Армяны в эпоху Юстиниана. — СПб, 1908, с. 327; *ქ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ე.* ქართველი ერის ისტორია: თბზღუბანი 12 ტომად.—*თბ.*, 1979, ტ. 1, გვ. 229; *Т о у м а н о ф ф С.* Studies in Christian Caucasian History.—1963, p. 459. r. 98; *А га т а н г е л о с.* History of the Armenians. Translation and commentary by R. W. T h o m s o n. — 1976, p. 377.

9 *Carrière A.* Nouvelles sources de Moïse de Khoren, p. 183; Х а л а т я н ц Г. Армянские Аршакиды в „Истории Армении“ Моисея Хоренского, с. 168; *Moses Khorenats'i. History of the Armenians*, p. 44, 45.

10 ამ თარგმანის შესახებ იხ. შიგნში: *Սուրբատի Սրուստիկոսի „Նկեղեցական պատմություն“* և „*Պատմություն վաղուց սրբոյն Սեբեաստոսի նպիսկայոսին հիովմայ*“, էջ 11—81.

11 *Moses Khorenats'i. History of the Armenians*, p. 238, 239.

12 აღნიშნული დასკვნის გამოტანისას ჩვენ ვეყარებით მხოლოდ „სომხეთის ისტორიის“ 11 წიგნის 86-ე თავის და „საეკლესიო ისტორიის“ მე-20 თავის შედარების შედეგს. მთლიანი მასალის შეჯიბრება მოცემული აქვს მ. ტერ-მოვსესიანს და სახელგებულებ ნაშრომის შესავალში (იხ. შენ. 57 ან 63).

13 სოკრატეს „საეკლესიო ისტორიის“ სომხური თარგმანი, რომელსაც აძვირად ვიხილავთ, ე. წ. „დიდი სოკრატე“, ზუსტად მისდევს ორიგინალს. ამიტომ მოსახერხებლად ჩავთვალეთ ქართულად ციტატები მოგვეტანა „გეორგიკიდან“, სადაც, როგორც ცნობილია, ბერძნული დედნის თარგმანია მოცემული. იხ. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 229—230. შდრ. მ. ტერ-მოვსესიანის და სახელგებულები პუბლიკაცია, გვ. 61—67. სომხური ტექსტის ნახვა შეიძლება აგრეთვე ნ. აინიანის შოვნში: Ա կ ի ն Ե ա ն Ն. Քրիստոնէութեան մուտքը Հայաստան և Վրաստան.—Վիեննა, 1949, էջ 68—73.

14 მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, გვ. 171.

15 გეორგიკა I, გვ. 232.

16 Carrière A. Nouvelles sources de Moïse de Khoren, p. 184, Халатянц Г. Армянский эпос в „Истории Армении“ Моисея Хоренского.—М., 1896, с. 32; მისივე. Армянские Аршакиды в „Истории Армении“ Моисея Хоренского, с. 108, 109.

17 მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, გვ. 171—172.

18 Ա կ ի ն Ե ա ն Ն. Քրիստոնէութեան մուտքը Հայաստան և Վրաստան, էջ 280—285.

19 შდრ. Սևրատի Մթալասիկուսի „Նկեղեցական պատմութիւն“ և „Պատմութիւն վաղուց սրբոյն Սեղբստոսի եպիսկոպոսին հռովմայ“, էջ Ա—ՃԱ.

20 „...որ վկարգ եկեղեցոյ ի նոսա հաստատուեսցեն ըստ առաքելուհւոյ կնոջն քարգուրծեան որում անուն էր Նունի“... იქვე, გვ. 67

21 იქვე, გვ. 61.

22 იქვე.

23 იქვე, გვ. 70; А б е г я н М. Х. Мовсес Хоренаци. — Культура раннефеодальной Армении (IV—VII вв.), Ер., 1980, с. 64.

24 С о п у б е а г е F. The date of Moses of Khoren, p. 499—500.

25 Халатянц Г. Армянский эпос в „Истории Армении“ Моисея Хоренского, с. 32.

მ. ტერ-მოვსესიანიც შესაძლებლად თვლის, რომ ხორენელის ცნობები მომდინარეობდეს ქართული წყაროდან (იხ. Սևրատի Մթալասիկուսի „Նկեղեցական պատմութիւն“ և „Պատմութիւն վաղուց սրբոյն Սեղբստոսի եպիսկոպոսին հռովմայ“. էջ 2Ա).

26 Մովսիսի հորեմացույ Պատմութիւն Հայոց, էջ 232.

27 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 83.

28 Մովսիսի հორեմացույ Պատմութիւն Հայոց, էջ 232.

29 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 84.

30 Մովսիսի հორեմացույ Պատմութիւն Հայոց, էջ 232

31 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 131—133 (ხაზი ჩვენია).

32 იქვე, გვ. 134—135 (ხაზი ჩვენია).

- 33 შიქსის სირხნაგოი ჳათმისქინ ჳაიოგ, ჳე 232.
- 34 იქვე, 233.
- 35 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 135 (ხაზი ჩენია).
- 36 შიქსის სირხნაგოი ჳათმისქინ ჳაიოგ, ჳე 234.
- 37 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 104.
- 38 შიქსის სირხნაგოი ჳათმისქინ ჳაიოგ, ჳე 234.
- 39 იქვე.
- 40 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 88—89.
- 41 იქვე, გვ. 154.
- 42 შიქსის სირხნაგოი ჳათმისქინ ჳაიოგ, ჳე 234.
- 43 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 155.
- 44 იქვე, გვ. 154.
